

ՃՐԱՅԻՆ

## ତୁମେରେଇ କୁରନ୍ଦାଳୀ

ଶ୍ରୀଲଙ୍କାର୍ଥିତାନ୍ତିରମ୍ ପିତୃଶ୍ଵରିଦୟ

## **Nº XIII**

ডেসেম্বর, ১৯০০

ଓফিল সি

1900

შ ი ნ ს პ რ ტ ი

	83.
I.—მუთისერულები. —მოთხოვბა. —XXII—XXVI—ს. ა—ასა.	1
II.—ხალხური ლექსიზი. — (გაგონილი ხევსური ვაუკონ არაბულისაგან). . . . .	56
III.—ვერტერი. —თხზ. გითტესი. —ჯარე. გერმანულიდან.— ა—ნისა (დასასრუ ო) . . . . .	60
IV.—არხეოლოგიური მოგზაურობანი და შეციფრება.— 60.—ე. თავაძეგილისა . . . . .	1
V.—სამეგრელოს აღმოჩენა. —XXI—XXII. — რეანჯელო ლაშჩერისა.—(თარგმანი იტალიურით), . . . . .	25
VI.—მ. 18 ს. გართული თეორია ლექსითა-ცყობი.— 65.—ა. ნაშეგილისა . . . . .	50
VII.—შიცარი 1900 წლის მოამზისა . . . . .	I—VI

8 (05)  
380

ଅ ମ ର ଦ ଶ କ

ତଥାପି କୁର୍ଣ୍ଣାଳି

ଶ୍ରୀଲଙ୍ଗିଷ୍ଠାନୀ ମୃତ୍ୟୁଜୀବ୍ୟ

N<sup>o</sup> XII

୧୯୦୦ ମସିହା



ଓଡ଼ିଆ

ମୋହନ ପାତ୍ର, ମୋହନ ପାତ୍ର ମୋହନ ପାତ୍ର ମୋହନ ପାତ୍ର

୧୯୦୦

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31-го Декабря 1900г.

I—შუთისოცელი. — მოთხრობა.—XII—XXVI	ს. დ—ასი.	1
II—სალეზრი ლექსიგი. — (გაგონილი ხევსური ვაუკო არაბულისაგან). . . . .		56
III—ვერტერი.—თხზ. გიორგესი.—თარგ. გერმანულიდან.— ა—ნისა (დასასრული)	. . . . .	60
IV—არსეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნა- ნი.—ე. თაეადშევილისა . . . . .		1
V—სამეგრელოს აღმოჩენა.—XXI—XXII.—არქანჯელო ლაშტერტისა.—(თარგმანი იტალიურით), . . . .		25
VI—მწ. 18 საუკ. ჩართული თეორია ლექსითა-ფილი- სა.—ა. ხახნაშვილისა . . . . .		50
VII—შიდაარსი 1900 წლის მოამზისა . . . . .	I—VI	

# ო უ თ ი ს ო ფ ე ლ ი

(მოთხრობა)

xxii \*)

ერთ საღამოს, როდესაც მოსამსახურებ თთახებში ლამპ-რები აანთო და ჩვენი ბედნიერი სპასოვიჩი მოუჯდა სამწერ-ლო სტოლს, კარები ვიღამაც გაუბედავად დააკაკუნა. რადგან ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო, აშიტომ სახლის პატრონმა აშ ამბავს ყურადღებაც არ მიაქცია. გავიდა ცოტა რამ ხანი და უცებ მას შემოესმა. ნელი და ნაზი ჩახრანტალება. ამ ხმაშ ელექტ-ტრონის ნაპერწკალივით გაუჩბინა მთელს ტანში მუაუნაშვილ-სა; კალამი ხელიდან გავარდა და თითონ თვალის დახამხამების უმაღლ ფეხზე წამოხტა. გაიხედა კარებისაკენ და იქ დაინახა ერთი ისეთი ვინმე, რომელშაც იმავე წამს სულ მთლად შეიძყ-რო მისი სული და გული.

კარებთან იდგა შავ ქართულ ტანისამოსში მოხდენილად გამოწყობილი ახალგაზდა მანდილოსანი, რომლის სილამაზე გათქმული იყო მთელს იმ მხარეში. მინახავს შემოდგომის ლა-მეში სავდრო ღრუბლებით შავად დაბურული ცა, უცებ და-უბერავს ქარს, გაუგლეჯია შუაზე ეს შავი ღრუბლები და მო-წმენდილი ცის პატარა სივრცეზე გამოჩენილა ობლად მოციმ-ციმე ბელვრიალა ვარსკვლავი, რომლის ნაზ ელვარებას მაღ-ლით აუცილი ცაცა და ქვეყანაცა. სწორედ ამ შავ ღრუბლებში მოელეარე ვარსკვლავსა ჰგავდა ეს ქალი. სპამოვიჩმა მოკრძა-ლებით გადასდგა შისკენ რამდენიმე ნაბიჯი და ენა დაბმით

\*) იხ. „მოამბე“ № X<sup>1</sup>, 19 00 წ.

მოიწვია თავის სტოლთან, სადაც ზღილობიანად მოუმზადა სა-  
კარძელი. ქალმა პაწია თეთრი ხელით ფუნჩულა კავები გაის-  
წორა; ჯიბიდან ხელსახოცი ამოიღო და ვარდიფერ ლამაზ ტუ-  
ჩებზე მოხდენილად მიისვ-მოისვა; მერმე აიღო თავი მაღლა და  
ნელ-ნელა გასწია დამზადებული ადგილისაკენ. კავალერი წი-  
ნიდან ჩამოეკალა, სავარძელზე მიუშვირა ორივე ხელები და  
მოწიწებით მოახსენა:

— გთხოვთ დაბძანდე, კნეინა!

ქალმა უცებ გაიკისკისა; მაგრამ თავი მალე შეიკავა და  
დაბალის ხმით იწყო გულიანი კუჭკუჭი. მეუღნაშვილი გაშ-  
ტერდა, ჰერა-გონება დაებნა და რამდენსამე ხანს შერცხვენი-  
ლი, პირდალებული და თვალებ-დაჭყეტილი დარჩა. უცებ ერთ-  
მა საიმედო აზრმა გაურბინა თაეში. ასე თავისუფლად მოკის-  
კისე ქალი სწორედ საჩემკბილო უნდა იყვესო. ჩვენმა მიხეილ-  
მა ამავე წამს სული მოიდგა; ხმა მაღლა გადიხარხარა ამანაც  
და თვალების პლუტური ბრეცით მოახსენა სტუმარსა:

— თუმცა თქვენი სიცილი სამოთხის გალობად ესმის ჩემს  
ყურებს, მაგრამ მაინც კი მინდა შევიტყო, — რა არის მიზეზი  
თქვენი უგრეთი მხიარულებისა!

— მე კნეინა არა ვარ, ბატონო! — წარმოსთქვა უკვე და-  
მშვიდებულის ღიმილით ქალმა; — მოქალაქის ქალი და ხელოს-  
ნის ქვრივი გახლავართ.

— მაშ, მაგაზე იცინით? — დაიძახა აღტაცებით შიხეილ-  
მა; — მადლობა ღმერთს! მაგრამ გულ-ახსნით მოგახსენებთ, რომ  
აგერ ოც და თხუთმეტი წლის კაცი ვარ, მრავალი ლამაზი  
კნეინები მინახაეს, მაგრამ მათში არც ერთი არ ყოფილა თქვე-  
ნისთანა ამომავალი ცისკარა, თქვენისთანა მოწყვეტილი ვარსკვ-  
ლავი, თქვენ ნაირად შემკული სიტურფითა და მშვენე-  
ბითა! ვაგლახ მე, რომ ღიდებულის მგოსნის ნიჭით არ ვარ  
ღვთისაგან დასაჩუქრებული! რომ ღღე და ღამ ხელში ჩანგი არ  
მიჭირავს და თქვენს კალმით აუწერელს სიკეკლუცეს განუ-  
წყვეტლივ არ ვაქებ და არ ვადიდებ!

ქალი ნაზად იღიმებოდა, სიამოვნებით ლოკები თურაშაული ვაშლივით დასტკრუპოდა და ეშხით აღგზნებული შავი თვალები ტროიალების ცეცხლიან ისრებს ელვასაეით ისროდნენ აქეთ-იქით. ჩვენი მიხეილ ბაადურიში თუმცა კაი გაქნილი „პლუტი“ იყო, მაგრამ ამ ისრებისაგან მაინც სასტიკად დაიჭრა. მთელი მისი სხეული ცახცახმა აიტანა, სისხლი მიაწვა თავში და პირუტყულმა ეინმა სულ მთლად მოიკავა მისი ბუნება. უცებ ქალის წინ დაეცა მუხლებზე და გაშალა ხელები, რომ შოხვეოდა მის ფეხებს, მაგრამ ქალი მარტად გაუსხლტდა ხელიდან. წამოხტა ფეხზე და კარებისაკენ გაიქცა-

— რას სჩადიხართ, ბატონო? — დაიძახა კარების ახლო შემდგარმა ქალმა, — რა საკადრისია მაგისთანა ქცევა! ჯერ სამი თვეც არ არის, რაც ქმარი დავმარხე და თქვენ კი.. .

— აბრამის წიაღსა შინა განუსვენოს იმ თქვენ ქმარს! — შესძახა მეგაუნაშეილმა. — ვფიცავ თქვენ ლამაზ თვალებს, რომ უოველ თვე და კვირა არ დავაკლებ იმას პანაშვიდს!. დად, უზარმაზარ მარმარილოს ქვას დავადებ მრს საფლავს!

— ნუ სწუხდებით, ყმაწვილო, ნუ სწუხდებით! — გააწყვეტინა ქალმა; შემდევ მსწრაფლად გატრიალდა უკან და ისე უეტრად გავარდა გარედ, რომ ჩვენმა სულ-წასულმა დონეუანმა ერთი დაძახებაც კი ვეღარ მოასწრო.

ხომ გინაზავთ, ჩემო ბატონო, მძიმე ტვირთ ქვეშ მოკაკული, ლაფში ჩაფლული ჯორაკა? — სწორედ ამ სულიერს ჰგავდა კაი ზანს ჩვენი ვაჟბატონი, როდესაც მარტოკა დარჩა თავის კაბინეტში. ორიოდ წამის შემდევ აზრები შემოიკრიბა და გაცხარებული ეცა კარებსა; გამოაღო და გავარდა ქუჩაში. აქ მრავალი ქალი და კაცი დადიოდა, მეღუქნეები რაღასაც გაჭკროდნენ; მოსეირნე ხალხი ხმა-მაღლა ლაპარაკობდა, ხუმრობდა, იცინოდა. ყველა ამან თითქო პანლური ამოჰკრა ჩვენს მიხეილს, რომელიც საჩქაროზე უკანვე შემოაგდო ათახში. მას ეგონა, რომ სახლში მომხდარი ამბავი ქუჩამ უკვე იცოდა და ყველაზე ფერი, რაც კი იმ ქუჩაში მან დაინახა, ან გაიგონა, ყველა-

ფერი შეეხებოდა მას. შუა ოთახში შეჩერდა, ორივ ხელები აიღო მაღლა და იწყო ცემა კისერში ხან ერთი მუშტით და ხან მეორეთი. თანაც ხმა მაღლა სიბრაზითა და ნიშნ-მოგებით იძახოდა:

— აი ასე გინდა, ასე, შე სულ-წასულო, შე მოუთმენელიო მგელო!... ედემიდან მოფრენილი მტრედი ხელზე გიჯდა და ისე გაგიფრინდა, რომ ერთი ბუმბულიც კი ვერ გაძოაძერი!... შე ვირო, შენა!.. შენ სპასოვიჩი კი არა, უტვინო დოკულა-პია, წუწკი ნაცარქექია უნდა გერქვას...

## xiii

რომ იტყვან: ამ კაცს ღმერთი გასწყრომიაო, სწორედ ჩვენს პატივცემულ სპასოვიჩზე შეიძლებოდა ამის თქმა. ლამაზი, უცნობი ქვრივის ისე მოულოდნელად გამოცხადებამ და შემდეგ მისმა საოცარმა გაქრობამ სულ ერთიან აურია მას ჭყუის დავთრები. მართალია, სასამართლოში წინანდებურად დალიოდა, ძველებურადვე სწერდა არჩებს, ლაპარაკობდა და ივსებდა ფულით ჯიბებს, მაგრამ ყველა ამას რაღაცნაირად გაუხუნდა ფერი, მოაკლდა შნო და მარილი. მსჯელობის დროს მას უცებ ავიწყდებოდა საჭირო სიტყვა, ეკარგებოდა აზრთა კავშირი, რისგამოც ერთგან რომ ოჩანი ცხენივით ჩერდებოდა, მეორე ადგილას კაჭკაჭივითა ხტოდა ერთი საგნიდან მეორეზე. აღარც ხმა ჰქონდა ისეთი რიხიანი, იმგვარად გამომხატველი მხნეობისა და გაბედულობისა, როგორც წინადა. მთელი ბუნება მჟაუნაშვილისა მოცული იყო გააფთრებული პირუტყვული ქინითა. საღლაც და როდესლაც ენახა ცირკში ერთი ნახევრად დედიშობილა ახალგაზდა მოთამაშე ქილი. ეს ქალი შემდეგ სრულიად მიაეციშყდა და მხოლოდ დღეს ხელახლა აღსდგა იგი ფიქრებში. აღსდგა, გამოეჭიმა წინ მის სულიერ თვალებს და დღე და ღამ აღარა შორდებოდა. ხანდისხან ისე გაუცხოველდებოდა ხოლმე ეს წარმოდგენა, რომ ხორციელის თვალითაც კი გასაოცარის სინამდვილით ხედავდა მის ტიტვე-

ლა ტლოკებს, პატარა ფეხებს, თეთრ მკერდსა, მოარშიყე თვა-  
ლებს და საკოცნელად დამზადებულ ტუჩებსა. ერთ წუთს თვალ-  
წინ ქართულიად თავდახურული ლამაზი ქერივიც გაურბენდა  
ზოლმე, მაგრამ, საკვირველია, მთელი ტანით კი არა, არამედ  
მხოლოდ თავი მისი, ტანი და ფეხები კი ისევ იმ ცირკის  
ქალისა ჰქონდა. მთელი თვე გასტანა ამგვარმა მდგომარეობაშ  
და ამდროს განმავლობაში ყოველ დღე გახელებული ეძებდა  
გაფრენილი მტრედის გზა და კვალსა. ბოლოს გაულიმა ბედმა:  
შეიტყო რომელ ქუჩაზე, რომელ სახლში სცხოვრობდა იგი.  
გაიგო ცოტა რამ მისი წარსული და აწმყო ცხოვრებიდან.  
კეთილმა ხალხმა არ დაიზარა და მის ზნესა და ხასიათზედაც  
გადასცეს რამდენიმე საყურადღებო ცნობანი. მეუღნაშეილმა  
შეიტყო, რომ იმ ქერივს სახელიც ერქვა მა შინკა. ქმარი მისი  
იყო კალატოზი, სახელ-განთქმული ოსტატი, უსტაბაში კალა-  
ტოზებისა. თავის ხელობით მას შეეძინა კარგა ლიდი ქონება-  
უყვარელდა მთელი ორი-სამი თვე განუწყვეტელი მუშაობა, და,  
როცა ამ სამუშაოს ფულს მიიღებდა, რამდენიმე დღის განმავ-  
ლობაში ერთ წამსაც ვეღარავინ ვერ ნახავდა მას ფხიზელსა.  
ორ-სამ თუნგ ღვინოს ჩანთქამდა, დათვრებოდა უგრძნობელად  
და იქვე სუფრაზე გაიჭიმებოდა მკედარივითა. გაიღვიძებდა თუ  
არა, მაშინვე სველ-სველ ნახევარ თუნგს სტაცებდა ხელს,  
მოითხოვდა დოშსა და ხიზილილას და იმდენსა სვამდა, სინამ  
ხელახლა არ დაჰკარგავდა გრძნობასა. ამნაირად გაატარებდა  
ხშარად მთელ კვარიაკეს, შემდეგ კვალად დგებოდა ფეხზე,  
შოულობდა საქმეს და გამგელებული იწყებდა მუშაობასა. საუ-  
ცხოვო სანახავი იყო ის ამ ღროს!. მოხდენილის დაბალის  
ხმით განუწყვეტლივ ღილინებდა და თან ორივ ხელებით, თვა-  
ლით, ფეხით გალომებული იბრძოდა. მისი მუშაობა სწორედ  
გაცხარებული ბრძოლა იყო: შვიდი-რვა მარჯვე ბიჭი ვერ  
ასწრობდა მასალის მიტანას. სწორედ, მაგრა და მოხდენილად  
ამოჰყავდა კედლები, ჰყრიდა შეურყეველ ბურჯებს, გადაჰყავდა  
ცის გუმბათივით ლამაზად დაქნილი თაღები. საღაც საჭირო  
იყო, კედელს ისე ააჭრელებდა, ისე გაალამაზებდა, რომ კალა-

ტოზის ნამუშავარი კი არა, კალმით ნახატი ჩუქურთშა გეგო-ნებოდათ. ამიტომაც ნიკოლა კალატოზის სახელი შორს იყო გავარდნილი, და ვისაც კი დიდი და კარგი რაიმე შენობის დაწყობა უნდოდა, მას ეწეოდა ორივ კალთებით თავისკენ. ფულს ბლომად შოულობდა და ამ ფულით ყიდულობდა ვენა-ხებს, დუქნებს, სახლებს. ფულადაც კარგა ბლომადა ჰქონდა გაცემული. გარდა საქეიფო დღეებისა, კალატოზი ხელმომ-ჭირნე კაცი იყო: თვეებს ისე გაატარებდა, რომ ორი-სამი მანათის მეტს არ დახარჯავდა თავის თავზედა. მარად ძველი, დაგლეჯილი ტანისამოსით დაიარებოდა, მაგრამ თავის ლამაზ მაშინკას კი ქალბატონივით ინახავდა. სახლში ოროლი მოსამ-სახურე ჰყავდა: ბიჭი და დედაკაცი, ამის გამო სულ უბრალო და სუმბუქ ხელსაქმის გარდა, მაშინკა არაფერს არ ეკარებოდა-იცვამდა მკერეალებისაგან საუცხოვოდ დამზადებულ ტანისა-მოსასა, ირთვებოდა ოქრო-ვერცხლის, თვალ-მარგალიტის ძვირ-ფასი სამკაულებით. ზოგიერთა ქმარს ძილი და მოსვენება ეკარ-ება, როდესაც მისი ცოლის სილამაზეს აქებს ვინმე; ხოლო ჩეგნი კალატოზის აღდგომა მაშინა თენდებოდა, როცა მაშინ-კას სიკეკლუცე ქება-დიდების საუნადა ხდებოდა. ამ დროს მთელი მისი სახე ნეტარების შუქით იმოსებოდა, გულიანად ხითხითებდა. თუ ესეთი ლაპარაკი თავადიშვილებში ჩამოვარ-დებოდა, მაშინ მათთან შელაზლანდარავებული კალატოზი-სიცილ-ხარხარს შემდეგ სიტყვებსაც დაუმატებდა ხოლმე: ლმერთს ერწმუნე, ლმერთსა, ჩემ მაშინკას დუჭინ-ნახევარ კნეი-ნებშიაც არ გაუცვლი.—რაგვარ შთაბეჭილებას ახდენდნენ ეს სიტყვები „კნეინებზე“, ამას მკითხველი თითონ მიხვდება. ხოლო „კნიაზების“ შესახებ კი ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავსა მოგახსენოთ, რომ ზოგიერთა მათგანნი სრული თანა-მგრძნობელნი ბრძანდებოდნენ ამ აზრისა. ამ თანაგრძნობას ხშირად საქმითაც ამტკიცებდნენ: კეთილ-მორწმუნე ბწყინვალე მეუღლეებს ანებებდნენ თავსა და გულის გასართობად იკრი-ბებოდნენ ხოლმე კალატოზის კოხტა, მოარშიყე ცოლთან.

## xiv

მათ ბწყინვალებათა შორის უფრო ერთი განძრჩეოდა სხვებისაგან თავის შინაურული დაბლოვებით ამ ოჯახთან. ეს იყო დიდი მემამულე, მთისა და ბარის პატრონი, კარგი შემძლებელი თავადი თონიკე ბადრიძე. თონიკე იმ დროს სამოც წლამდე რქნებოდა მიხწეული, მაგრამ შეხედულობა კი ჯერ კიდევ ჭახმაჟი და მაგარი აგებულობის ვაჟკაცისა ჰქონდა. ივი, როგორც ჩატარ-დახურებით, ისე ქცევითა და დინჯი, ზღილობიანი სიტყვა-პასუხით სასიამოვნოდ მოგაგონებდათ ძველ და აზ-ბაისებ ქართველს. თავადი დაუახლოვდა ამ ოჯახს ისევ მაშინ, როდესაც დიდი თავმდაბლობა გამოიჩინა და ყმაწვილ ლარიბ კალატოზს ქორწილში მეჯვარედ გაჰყვა. ჯვრის წერის შემდეგ კალატოზმა ზედ შეა ქალაქში იყიდა კარგა მოზღიული ადგილი, რომელზედაც ორ სართულიანი ლამაზი სახლი გამოსკია. ხმა იყო გავრცელებული, რომ ნიკოლამ ეს სახლები თონიკეს ფულით აიშენაო. მათი ბწყინვალება ქვრივი იყო; ხშირად დაიარებოდა კალატოზის ოჯახში და რჩებოდა იქ იმ დროსაც, როცა სახლის უფროოსი შინ არა ბძანდებოდა. თონიკეს ერთად-ერთი ვაჟი ჰყავდა და ისიც წლით-წლობამდის ქალაქში, გიმნაზიის პანსიონში, სცხოვრობდა. ამიტომ რა საკვირველი უნდა იყვეს, რომ მამულის მოელით გაჯერებული, უზარ-მაზარ ციხე-დარბაზში მარტოლ-მარტო დარჩენილი თონიკე ხშირად გამოქცეულიყო სოფლიდან და მისგან დავალებულ კალატოზის ოჯახში ცოტა რამ სიამოვნებას მისცემოდა. ჯვრის წერის შემდეგ, მეორე წლის დამლევს, მაშინ კას ეყოლა ქალი და ბოროტი ენები შეუპოვრად გაიძახოდნენ, რომ ეს ბავშვი თონიკეს უფრო ჰგავს, ვიდრე კალატოზსაო... ესა და სხვა მრავალი ამგვარი ჭორები თონიკესა და მაშინ კას შესახებ პირველ ხანად ბლობად დადიოდნენ იმ უბანში, მაგრამ, რაკი მათ ყურადღება არავინ არ მიაქცია, ამიტომ თავის-თავად გაჰქრნენ.

ყოველივე ეს ცნობანი აქა-იქ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად სხვა  
და სხვა პირთაგან შეჰქიბა მიხეილ ბააღურის ძემ. თუმცა ამ  
ცნობებს ბევრი რამ აკლდათ; ურწმუნო აღამიანს შეიძლებო-  
და არც სავსებით მიეღო იგინი, მაგრამ ჩვენშია გმირმა მაინც  
მაგრა მოხვია მათ ხელი. თავის პრაკტიკულის ჭურით მან ეს  
უკავშირო ამბები შეაერთა, საფუძვლიანი წარმოდგენებით შე-  
ავსო და შემდეგ უსათუოდ ჭეშმარიტ დასკვნასაც გამოიყვანდა  
აქედან, თუ რომ აზრის სწორ მოქმედებას აქოთებული გრძნო-  
ბა არ გადასდგომოდა წინა. როგორ? სიბრაზით დაიძახა მან  
ერთ სალამოს.. აქაც ის წყეული თავადები მელობებიან გზაში!.  
მიფთხილდით, ბატონებო, მიფთხილდით!.. დღეს ისეთი ვირ-  
ეშმაკა ნულარ გვინივართ, როგორიც ვიყავ მაშინ!. ეხლავე,  
ემ წამში მოვდევარ თქვენთან და მაშ სპასოვიჩი ნულარ ერ-  
ქვას ამ ბიჭსა, თუ მაგ სახლში თქვენი სინსილა არ გავაწყო.  
— მარჯად წამოხტა სკამიდან, ჩაიცვა ფარჩის ახალუხი, ყომ-  
რალ თვეთიკის ჩოხაზე ოქროში დაფერილი ქამარ ხანჯალი  
შემოიკრა, წაბლის ფერი პატარა, სუმბუქი კალმუხის ქუდი  
დაიხურა; შემდეგ ჩაიტო შარვლის ჯიბეში სავსე რევოლვერი  
და ამაყად, თავმომწონედ გამოვიდა გარედ.

— ღმერთი კი არ გამიწყრეს და ამ საქციელით საუკუ-  
ნოდ საქმე არ გავიფუჭო!. ნეტა ვიცოდე, უზდელობა ხომ არ  
არის, რომ ასე დაუპატიჟებლივ მივდივარ იმის სახლში, რო-  
მელსაც იმ წყეულ სალამოს მე ისე ბრიყულად მოვექეცი!.. —  
უთხრა მან თავის თავსა, როდესაც ერთ წამს თავის კარებ  
წინ შესდგა. მცირეოდენი ფიქრის შემდეგ დაცინვით გაიღიმა,  
ხელი უსიამოენოდ ჩაიქნია ძირსა და დალრეჯით წარმოს-  
თქვა.

— რას მიქეიან ზღილობა?. ზღილობა ქლესა, ფარისეფე-  
ლი ხალხის საქმეა; მე პირდაპირი კაცი ვარ და, ი რაღაც ზღი-  
ლობა ბძანდება, ფეხებზედაც არა მკიდია!..

თუმცა ხშირი ბინდი იყო დედა-მიწაზე დაცემული, მაგრამ ზაფხულის გრილ სალამოს მრავალი ხალხი გამოეწვია დახულ, წამხდარ ჰაერიან სახლებიდან ქუჩაში სასეირნოდა. კოხტად გამოწყობილმა მიხეილმა ამ ხალხს გვერდზე აუარა და ჩქარის ნაბიჯით გასწია წყაროს უბნისკენ. რამდენმამე ნაკნობმა ჩაუარეს გვერდზე, დააცქერდნენ, მაგრამ ახალ ქართულ ტანისამოსში კერ იცნეს იგი. ეს გარემოება კეთილ ნიშნად ჩასთვალა და უფრო გულმაგრა მოუმატა ნაბიჯსა. გაიარა უმთავრესი ქუჩა, გავიდა წყაროს უბანში და ბოლოს, გულის ფანცქალით, მიაღდა ორ სართულიან ქეით-კირის სახლსა, აიარა კიბე და, ბალკონზე გასულმა, ნელ-ნელა, გაუბედავად დაუკაკუნა კარები. იმავე წამს შიგნიდან ვიღამაც მოიჩინა კარებთან, გაალო იგი და „ვინა ბძანდების.“ მეგივრად, შინაურულად შეიპატიუა სახლში. სიბნელისა გამო სპასოვიჩა კარის გამლები ვერ გაარჩია, მაგრამ წმინდა, ნაზ ხმაზე კი შეატყო, რომ ის უნდა ყოფილიყო ქვრივის ქალიშვილი, რომელზედაც უკვე ცოტა რამ ჰქონდა გაგონილი. ყმაწვილმა ქალმა გააღო შემდეგ ევროპიულად მოწყობილი, განათებული ოთახი და ახლა იქ შეიპატიუა სტუმარი. ოთონ კი მაშინათვე უკან გამობრუნდა, შეირბინა დედის ოთახში და სიცილით დაიძახა:

— დედიკო, დედიკო! ერთი ვიღაც უცხო კავალერი გეწვია! მე ვინმე ნაცნობი მეგონა; შინაურულად მოვიპატიუე და, როცა სანათზე შევხედე, შაშინ კი დავინახე, რომ ის ამის მეტად არსად არა ყოფილა აქა.

დედა მისი თითქო მიხედა, ვინც უნდა ყოფილიყო ეს კავალერი, ცოტა სახე შეუწიოთლდა. საჩქაროზე გამოიცვალა კაბა, ლეჩაქ-თასაკრავი გაიკეთა და, ყარყატივით ყელმოლერებულმა, გასწია სასტუმროსაკენ. კარებთანვე დახვდა ფეხზე

მდგომარე სპასოვიჩი, რომელმაც მძიმედ დაუკრა თავი და მოკრ-  
ძალებით მოახსენა:

— იმედი მაქს სასტიკად არ გაჰქიცხავთ ჩემ სითამამეს  
და სულგრძელობით მაპატივებთ, რომ გავბედე ასე უდროვოდ  
თქვენთან მოსვლაი...

— რად ბძანებთ მაგას!.—მიუგო ქვრივმა,—მეც იმ ღდეს  
თითქმის ემ დროს მოვედი თქვენთან, თუმცა კი მე, როგორც  
ქალს, არ შემშვენდა ის საქციელი. მოვტყუვდი, ერთის მხრივ,  
იმის გამო, რომ მეტის-მეტად ალელუებული, გამწარებული  
ვიყავი, და მეორეს მხრივ, კიდევ იმიტომ, რომ თქვენ მხო-  
ლოდ ადუკატად, საჭმის კაცად წარმოგიდგინეთ, და, რაკი  
ძიელ საჭირო საჭმე მქონდა, გავბედე თქვენთან შემოსვლა.  
ჩემი სითამამისათვის აკი ლმერთმაც დამსასჯა.. ოხ, როგორ  
შემაშინეთ!.

— უფრო მაგ გარემოებამ გამაბედვინა დღეს თქვენთან  
ხლება. მინდა მივიღო თქვენგან სასჯელი იმ ბრიყვული დანა-  
შაულობისათვის, რომელიც იმ საღამოს მე ჩაეიდინე.

— სასჯელი გნებავთ?. ძალიან კარგი!.—წარმოსთქვა ქვრივ-  
მა მოხდენილის ღიმილით.—მაშ მომინდვია შესრულება იმ  
საჭმისა, რომელმაც მომიყვანა იმ დღეს თქვენთანა!

კავალერმა ცალ მუხლზე დაიჩიქა, თავი ოდნავ დახარა  
ძირსა და, გულზედ ხელის მიღებით, წარმოსთქვა:

— ეგ ჩემთვის სასჯელი კი არა, არამედ ღიღი, ენით  
გამოუთქმელი ბედნიერებაა! სასიამოვნოდ ვრწმუნდები, რომ  
მაგ ეშით სავსე თვალებს, ვარდ-შაქარა ბაგეს და ენას ამო-  
ქმედებენ კეთილი გული და მაღალი, ანგელოზური სული.—  
საქვა თუ არა ეს, კოხტად წამოხტა ფეხზე, ნამდეილ აქტი-  
ორულად გადადგა ერთი ნაბიჯი უკან და წარმოსთქვა სწო-  
რედ ისეთის ხმით და ხელების ქნევით, როგორც არა ერთხელ  
ენახა სცენაზე:

— უბრძანეთ თქვენს ყურმოკრილ მონას, რაში მდგომა-  
რეობს საქმე?.—ქალმა ჯერ გულიანად ჩიცინა, შემდეგ ენად

გაკრეფილი კავალერი სტროთან მიიწევია, ჩამოჯდა სკამზე და მასაც სთხოვა დაბრძანება. როცა დასხდნენ, ქალმა ლამაზი თვალები მიაპყრო მეუნაშვილს, რომელსაც ამის გამო მსუნავი კატასავით პირი ნერწყვით აევსო და ტანში, თაეით-ფეხებამდე, სასიამოვნო ურუანტელმა დაურბინა... შეხედა და იწყო:

— საქმე აი რაში გახლავთ, ჩემო ბატონო!. ჩემ უბედურ ქმარს...

— ღმერთმა აცხონოს!. — წაიბუტბუტა მიხეილმა.

— რას ბძანებთ?

— არაფერს, ქალბატონო, არაფერს!. გთხოვთ გააგრძელოთ...

— ჩემ უბედურ ქმარს ერთი ცუდი ზე სჭირდა: ორ-სამ თვეში ერთხელ აიხემებდა ლვინის სმას და რამდენსამე დღეს უგრძნობელად თერებოდა. შეურჩევიათ მისთვის ესეთი დრო და ხელი მოუწერინებიათ ერთ ქალალდზე. ეს ქალალდი ნას-ყიდობის ქალალდი გახლავთ: ვითომც ჩემ ქმარს თავის ძმის-თვის ას თუმნად მიუყიდნია ერთი მოზდილი, ორი-სამი დღის, ვენახი და ათი დღიური სახნავ-სათესი მიწა. ამ ამბისა მე არა-ფერი არა ვიცოდი რა, და მხოლოდ იმ დღეს შევიტყო, რა დღესაც თქვენთან შემოვედი. მაშინათვე გავეჭი იმ სოფელ ში, დაეიბარე მამასახლისი და მოვატავინე ის ქალალდი. დავხედეთ არა, მაშინათვე ვიცანი ჩემი ქმრის ნაბლაჯნი. დავუწყე მუ-ქარა: მთვრალისთვის მოგიწერინებიათ ხელი მეთქი.. ამაზედ მოშევეს პირი და მაკადრეს ყველაფერი, რაც კი მათ ცოლსა და ქალებს ეკადრებათ.

— ვაი იმათ ტყავსა, რომ იმ წამში იქ არ გავჩნდი!. — წამოიძახა სიბრაზით მიხეილმა. მერმე მიუბრუნდა ქალსა და უთხრა:

— იმ ქალალდს სულ ნაკუშ-ნაკუშად დავაფხრეშ მე იმათ თავზედა! ერთი ეს მიბძანეთ: თქვენი ქმრის ნაწერი ხომ არა გაქვთრა?

— არა მგონია: წერა ჭირივით ეჯავრებოდა, მაგრამ, მოიცა... იქნება აიქ, შეაფში, იყვეს რამე. წამოდგა ფეხზე მაშინკა,

გავიდა მეორე ოთახში და ათიოდე წამის შემდეგ იქიდან შემოიტანა ერთი დაეთარი, რომელშიაც კალატოზის ხელით ეწერა ზოგიერთა რამ ხარჯი ოჯახისა და ერთიც პატარა ბარათი, ხელ-მოწერილი კალატოზისაგან. ესენი გასინჯა ვექილმა და გაიძვერულის ღიმილით დაეკითხა სახლის პატრონს:

— როგორც გაშიგონია, თავადი თონიკე თქვენ ოჯახთან დაახლოვებული კაცია, თქვენს ქმარს კარგად იცნობდა... არ შეიძლება, რომ მან ცოტა რამეში გვიმოწმოს?

— ტყუილად, თუ მართლა?

— ტყუილად!

— არ იზამს!... ის ამ უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში ძრიელ გატყდა, სიკვდილს დღე-დღეზე მოელის და სულის ცხონების საქმეს არის შემდგარა. როცა აქა რჩება, მთელს და-მეებს ლოცვა-ველრებაში ატარებს ხოლმე.

ეს სიტყვები იაზმის წყლად ეპკურა მჟაუნაშვილის ეჭვით დაჩხვლეტილ გულსა. მან მხიარულად გაიცინა და სთქვა:

— არც არის საჭირო! მე ამ ქალალდებს შინ წავიღებ, ამაღამვე გადავწერ; გადავწერ ცოტათი მსგავსი ხელითა. შევა-დგენ კიდევ ერთ ათიოდე სხვა-და-სხვა ბარათებს, წერილებს და სხვ. შემდეგ თქვენ უნდა მომცეთ ორასი თუმნის თამასუქი. მე გიჩივლებთ თქვენ და მერჩე აგიშერთ იმ ვენახსა და მიწებს. რაღა თქმა უნდა, ისინიც დაფაცურდებიან, იშოვნიან ვინმე ჯაგლაგ აღვოკატს და იმ ნასყიდობის ქალალდს სუდში წარა-დგენენ. ჩვენ იმ ქალალდს „პადლოგად“ გამოვაცხადებთ. წარ-ვადვენთ ჩვენს დოკუმენტებს და მათის წყალობით დავამტკი-ცებთ იმ კეშმარიტებას, რომ მათი ქალალდი მათკანვე ხელ-მოწერილი „პადლოგი“. თქვენ იქნება არ იცოდეთ, რასაც ნიშნავს ეს „პადლოგი“? — მრისხანებს ხმით შესძახა სპასოვიჩა; — ეს იმასა ნიშნავს, რომ ბანსა და ერდოს თავზე დავაქცევ! დედაბუღიანად მიწასთან გავასწორებ იმ პირუტყვ ნაღირებს, იმათა! თქვენ შეურაცხება მოგაყენონ და მე კი მათი ჯავრი

არ ამოვიყარო? მაშ რაღა კაცი ყოფილა სპა... მიხეილ ბაადუ-  
რიჩი მეუნდშვილი?

— გმადლობთ, გმადლობთ მიხეილ ბაადურიჩი.—იმეორებ-  
და ქალი და თან მხიარულად კუჭკუჭებდა.—ეგ სუსველა კარ-  
გი, მაგრამ ახლა თქვენი გასამრჯელოც უნდა ბძანოთ,

— ჩემი გასამსჯელო? მოგახსენებთ, ჩემთ საგვირგვინო  
დელიფალო! ნება გიბოძეთ, რომ ხშირად გნახოთ ხოლმე: მა-  
ლიმალ დავიტებო თვალი თქვენის ცქერით და ყური თქვენი  
ხმის სმენითა. ეს იქნება ჩემთვის ფას-დაუდებელი გასამრჯელო,  
შეუდარებელი საჩუქარი! ფულის გახსენება ჩემთვის სიკვდილი  
იქნება. ბანკში იმდენი ფული მაქვს შენახული, რომ ას წლიმ-  
დე მეყოფა, თავზედ რომ მუჭით ვიყარო. ჩემს ობოლს, მარ-  
ტოხელა გულს ალენსი უნდა, თანაგრძნობა და სიყვარული  
სწყურიან.

— კარგით, კარგით! — გააწყვეტინა ქალმა... — მაგ საგანზე  
შემდეგ ვილაპარაკოთ, შემდეგ, როცა უფრო დაახლოვებით  
გავიცნობთ ერთმანეთსა. ეხლა კი მშვიდობით. აგერ დერეფნი-  
დან ფეხის ხმაურობა ისმის. ვილაც მოდის. მშვიდობით ბძან-  
დებოდეთ.

ქალმა ხელი ჩამოართვა და კარებისაკენ დაიწყო ცქერა.  
მეუნაშვილმა მაგრა ჩამოართვა ხელი, გამოალო ეს კარები და  
აღვლებულ-აღტაცებულის გრძნობით გამოვიდა გარელ. დე-  
რეფნიში მას არავინ არ შეხვედრია, მაგრამ მეორე ოთახის კა-  
რები კი ამ დროს ნელ-ნელა იხურებოდა შიგნითკენა.

## XVI

• სპასოებიჩი ჩვეულებრივის მხნეობით დატრიალდა, მეორ-  
მესამე დღესვე საჭმე სრულიად გაჩარხა; იმ კვირიაკის დამლევს  
გას მსელელობაც მისცა. გაკეთებული „დოკუმენტებით“, ცრუ  
მოწმებით, რევოლვერისა და ხანჯლის ტრიალით უბედური  
გლეხკაცი, მა კალატოზისა, მიწასთან გაასწორა: წაართვა-

სადაც ვენახი და მიწები, აუწერა შემდეგ საკუთარი სახლი, კალო-საბძელი, პაწაწკინა ვენახი და უსათუოდ შარაზე გააგ-დებდა ცოლ-შვილით, თუ რომ რძალს არ შესცოდებოდა ისინი და არ ჩარეულიყო საქმეში. ქმრის ნაჩუქები უკანვე წაართვა, ხოლო სხვა ყველაფერი აპატიე, დაუბრუნა. ამ საქ-შემ თუ წლამდე გასტანა და ამ ღროს განამავლობაში ლამაზი ქვრივი და მეურნაშვილი სრულიად დაუახლოვდნენ ერთმა-ნეთს. ამ უკანასკნელმა აისრულა თავისი მურტალი გულის წადილი. ქვრივი ჯვარისწერას ემუდარებოდა, მაგრამ ის სხვა და სხვა მიზეზებს იგონებდა და ამ თხოვნის აღსრულებას ყო-ველ ჟამს იშორებდა თავიდანა. საქმე იმაში გახლავთ, რომ მოხსენებულ ორი წლის განმავლობაში ჩვენმა ვაჟბატონმა დაახლოვებით გაიცნო ქვრივის გასათხოვარი ქალიც, რომლის კალმით ნახატმა ნორჩმა სიტურფებ დიდი შთაბეჭდილება მოახ-დინა ამ ღმერთ გამწყრალ აღამიანზე. დედასთან რომ დაიკა-ყოფილა ჟინი, მასზედ უგლი აიყარა და ახლა თექვსშეტი წლის ახლად გადაფურჩვნილ კოკობ ვარდს უწყო მსუნავის თვალით ცქერა. გარდა სიტურფესიყმაწვილისა, ეთერის ცოლად შერ-თვა უფრო სარფიანი იყო, ვიდრე მისი დედისა; კალატოზის მთვლი ქონება ექვესას თუმნამდე გაცემული ფულით სრულიად ქალის სახელობაზე იყო დამტკიცებული. მთელი ტარტარო-ზული ძალა მეურნაშვილის უკუა-განებისა ამ ჟამად იმაზე იყო მიქცეული, თუ როგორ აესხლიტა თავიდან დედა, რათა სრუ-ლიად მის ქალს დაპატრონებოდა. გაქნილ - გაოსტატებული აბლაკატი ამას აღვილად მოახერხებდა, მაგრამ ერთი გარემო-ება იყო აქ ვეშაპივით ჩაწოლილი. ამ ვეშაპს ბევრი ურბინა გარეშემო, მაგრამ გადასახტომი დაბლობი მაინც ვერსად ვერ უპოვნა. ქვრივი ორსულად იყო. უნდა გეთახათ ეს ამაყი, თა-ვის სილამაზის მცოდნე, მოხდენილი ქალი. ამ ჟამად როგორ მობუზულიყო წყლიდან ამოყვანილი სველი ქათამივითა. მარ-ტოდ მყოფი ხშირადა ტიროდა, ხოლო როცა მეურნაშვილ-თანა რჩებოდა, დაშამცირებელ, გამათახსირებელ თხოვნა - ვედ-რებად იყო გადაქცეული. გულნამცეცა სპასოვიჩი კი განგებ

არ აქცევდა ყურადღებას მის მდგომარეობასა; უზღელად ექცეოდა, ხეირიანად ხმას არა სცემდა, უტევდა, ებუზღებოდა. საშინელი იყო საწყალი ქალის მდგომარეობა!.. მაგრამ ამაზედ ბევრად საშინელი ის იყო, რასაც თავის ქვარტლიან გულში ფიქრობდა ხოლმე მასზე მეუნაშვილი. საწამლავი უკვე ნაშოვნი ჰქონდა და, ვითარცა იუდა ისკარიოტელი, მხოლოდ მარჯვე დროს ეძიებდა. მაგრამ გარემოება მაღე ისე მოეწყო, რომ საწამლავი საჭირო აღარ გახდა: მისი საზარელი დანიშნულება მისმა პატრონმა შეასრულა. ერთ დღეს სპასოები სადღაც მიიმაღა. ოთხი დღის შემდეგ გამოჩნდა მწარედ ცხვირ ჩამოშეებული. მკლავზე სამკლოვიარო ლენტი ჰქონდა გაკეთებული. გამხდარ - გაყვაილებულ ქვრივს ოხვრათ კვნესით გამოუტხადა თავისი, უკვე მაწად-ქცეული, მამის გარდაცვალება. საწყალი ქალი სრულიად ვერ მიუხედა ვერა-გობასა; მისი ფარისევლური მწუხარება ხალას ოქროდ ირწმუნა. და, თვალ - ცრემლიანი, ალერსიანი ხვევნა - კოცნით აძლევდა ნუგეშსა. მაგრამ გველ-ნაკბენივით გადახტა იქით, როდესაც მგლოვიარე ვაჟაბარონმა განაცხადა: ერთ წლამდე ჯეარს ვერ დავიწერ მამის სიკვდილის გამოვო. მაშინვე მთლიად გაშრა, გაიყინა და დაცემულის ხმით დაიკვნესა: ხომ ლაფი დამესხმის თავზე, ოთხი თვის შემდეგ შვილი მეყოლებაო. ამაზედ დამშვიდებულის კილოთი უპასუხა: ნუ მიიყვან იქამდისინ საქმეს, წაიხდინე მუცელი... მორჩება და გათავდებაო!. ეს საზიზლარი, უკიდურესი შეურაცხება კი ვეღარ მოათმინა: ძუ ლომივით გააფორებული ეძგერა თავის შემარცხვენელს, ცალი ხელი მაგრა ჩასჭიდა თმებში, ბოლო მეორეთი ცხეირ-ზირში უწყო გამეტებით ცემა. მაგრამ რას გახდებოდა თავისი სუსტი ღონით, თვის პაწია, დალეული თითებით!. რაღა თქმა უნდა, მეუნაშვილს ამ ცემით არა ეტკინებოდა-რა... სირცხვილს კი მათმა კეთილ-შობილებამ დიდი ხანია პანლური ჰქონა და ზიზლით შეაქცია სამუდამოდ ზურგი... რაკი, ამნარად, გაკაპასებული ქალის ქცევაში სრულიად არა იყო-რა გასაჯავრებელი, ამიტომ ჩვენმა პატიოსანმა გმირმა ძალათა გაიპრაზა თავი. საჩ-

ქაროზე ააშვებინა ხელი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჰკრა წიხლი შიგ მუცელში და, გულ-შეწუხებული ქალი, უგრძნობლად დასცა იატაკზედა. საპლში ორავინ იყო; ფაცი-ფუცით დაიხურა ქული და ქურდულის შეუმჩნევლობით გამოვიდა გარეთ.

## xvii

რამდენისამე წამის შემდევ თავის-თავად მასულიერდა მაშინკა; რის ვაი-ვაგლახით მივიდა ტახტთან და დაწვა ზედ. პატარა ხანს უკან იგრძნო საშინელი ტკივილი გვამში. მიხვდა, რომ ნამდვილად მუცელი უხდებოდა და ამიტომ უველაფერი დაუმალა შინ დაბრუნებულ თავის ქალს. ამ უკანასკნელს ექიმის მოწვევა უნდოდა, მაგრამ ივადმყოფმა არა ჰქმნა. იქვე ახლო ერთი მოხუცი დედა ბერი იდგა, ის მოაყვანინა. იმ ღამეს საშინლად შესწუხდა ქრიიე და გათენებისას ჯოჯოხეთურ ტან-ჯვაში დალია საბრალომ სული. იმავე დღეს ჩამობძანდა სოფ-ლიდან თ. თონიკე, და მეტის-მეტად შესწუხდა, როდესაც საიღმლოდ შეიტყო მოხსენებული დედა-ბერისაგან მიზეზი მაშინ-კას გარდაცვალებისა. თუმცა სამოც წელს კარგა გადაცილებული იყო, მაგრამ მაინც თავის თავს მიაწერა მომხდარი უბე-დურება. მას ეგონა, რომ ორსულმა ქრიიემა ამ უამად კი ვე-ლარ აიტანა მუცლის წამახდენელი წამლის მიღება და ამის გა-მა მოელო ბოლო... გარდაცვალებული თავის ხარჯით დამა-რხა; ოცდა-ით თუმნიანი ლამაზი მატური შეუკვეთა მისი საფ-ლავისათვის, ხოლო ობოლი ქრისტიანულის კაცთა-მოყვარეო-ბით იშვილა და წაიყვანა თავისთან სოფელში. მთელი სამი დღის განმავლობაში მიხეილ მეუნაშეილი ერთ წამსაც არ მო-შორებია მოხუცებულ თავადს. ყოველ წამს თვალსა და წარ-ბში შესცეკროდა და დაუყოვნებლივ ასრულებდა მას სურვი-ლსა და ბძანებათ. თავისი პრაკტიკული, სწრაფი და მარჯვე მოსაზრებანი ამ შემთხვევაშიაც უხეად გამოიჩინა, რის გამოც დაიმსახურა სრული ყურადღება და პატივის-ცემა შემძლე-

ბელი მებატონისა. ორცა სახაფლაოდან დაბრუნდნენ, სპა-  
სოვიჩმა ცალკე თთახში გაიხმო თავადი თონიკე და უჩვე-  
ნა ქვრივისაგან ხელმოწერილი შინაური ანდერძის ქალალ-  
დი, ომძლითაც განსვენებული თავის ქალის მზრუნველად ნიშ-  
ნავდა მიხეილ ბაზდურის-ძე მუაუნაშვილს. თონიკემ დახეტა ნა-  
წერს და იცნო ხელი მაშინკასი. გულში საშინლად ეწყინა ესე-  
თი არა მეგობრული საქუალი ქვრივისა, მაგრამ ეს წყენა გულ-  
გარედ არ გამოუშვია. „ალბად მეტის-მეტად იყო საწყალი ჩემ-  
ზედ გაჯავრებული, ორმ არც თავის მდგომარეობის შესახებ  
უთქვამს რამე ჩემთვის და არც ამ ანდერძის ქალალდში ვუხსე-  
ნებივარ მე“. — ფიქრობდა თავადი... თონიკემ სრული თანხმო-  
ბა განაცხადა ქვრივის უკანასკნელის განკარგულებისა. მუაუნა-  
შვილის შთავონებით ის წავიდა ვისთანაც საჭირო იყო და  
სთხოვა თავის მხრივაც, ორმ ობლის მზრუნველად რაც შეიძ-  
ლება მალე დაენიშნათ მუაუნაშვილი. ხუთიოდე დღის შემდევ  
თონიკე გაემგზავრა სოფლისაკენ და თან წაიყვანა ეთერი და  
აშის მომავალი მზრუნველი. სახლში მისვლის უმაღლვე თონიკემ  
გადასცა მუაუნაშვილს რამდენიმე არევ-დარეული, საღაერ-დარა-  
ბო საქმე და სთხოვა — გაერჩია და გაესწორებინა ეს საქმეები.  
უკეთუ საჭირო აღმოჩნდებოდა, ეწარმოებინა იგინი სასამართ-  
ლოებშიაც და დაპირდა ოცი. თუმნის მიცემას თვითოული  
საქმის გაკეთებაზე. ვექილი დატრიალდა!.. დასწერა რამდენიმე  
ქალალდი, ორმელთაც ეძახოდა ზოგს რწმუნების ფურცელს,  
ზოგს მოწმობას და ზოგსაც პირობის ქალალდს. სიბერისა და  
ანლვრეული სინიდისის მხილებისაგან გამოსტერებულმა მოხუცმა  
ჟველა ამ ქალალდებზე დაუფიქრებლივ მოაწერა ხელი. საუც-  
ხოვო გუნებაზე დადგა სპასოები!.. ამ მგლოვიარე ხალხშიაც  
კი ველარა მალაედა თავის აღტაცებას, კმაყოფილებას!...  
ეთერს ისე შესცნაოდა თვალებში, ორგორც ზღაპრული მშეე-  
რი მელია მაღლა დაკიდებულ სუქან ძეხვებს. რამდენჯერმე  
გაეხუმრა; ტკბილი, ალერსიანი სიტყვები გაუგორა წინა, ბო-  
ლოს არშიყობაც დაუწყოს იმ დილით, რა დღესაც სპასოვიჩი

ქალაქში აპირობდა დაბრუნებას, თონიკემ შეიცვანა იგი თავის თოახში და უთხრა:

— მე გავიგე, შვილო, რომ შენ ბანკში ფულები გაქვს შენახული. ღმერთმა ხომ იცის, ძიელ მიამა!. ახლა ხუთასი თუმანი დამჭირდა, შეიძლება ცოტას ხნობით შენგან ხელი მოვინაცულო?

— რატომ, ბატონო!. დიდის სიამოენებით... ხვალვე გიახლებით ქალაქში, გამოეიტან ფულსა და ზეგ დიდის კმაყოფილებით მოგართმევთ.

— ქალაქში ჩახვალ?. მაშ იცი, შვილო, რას გეტუვი!. აიღე ის ხუთასი თუმანი ფული და ამ ობლის სახელობაზე შეიტანე სახემწიფუ ბანკში. ზევ, როგორცა სთქვი, ამოდი და ის ბილეთიც ამომიტანე აქა... დიდად დამავალებ, დიდად!. თამასუქიც დასწერე; სარგებელი აბაზზე ნაკლები არ ჩასწერო!. ისიც მომიტანე, რომ ხელი მოვაწერო.

— თქვენო ბწყინვალებავ, — დაიძახა ალტაცებულის ხმით მეუნაშვილმა; — თქვენ ისეთ კეთილ საქმეს სჩადიხართ, რომ დავალებაზე ლაპარაკი აქ სრულიად მეტია!. პირიქით, მეცა და ყოველი პატიოსანი აღამიანიც თქვენის ნამდვილ ქრისტიანულ კაცობრულებით გახლავართ დიდად დავალებულნი! თქვენს ბძანებას წმინდად ავასრულებ.

### xxviii

ეთერი დარჩა თავადის სახლში. ყოველ წამს მარტოდ-მარტოკა ყოფნაში მწუხარება გაუმწვავა და გაუკორეცა. დღე-და-დამ ცრემლი არ შრებოდა მის სევდით სავსე მაყვალა თვალებს. დედის მოულოდნელი სიკვდილი და თავისი ოხერ-ტიელ ობლად დარჩენა თავზარსა სცემდა. თუმცა პატარობითვე დაახლოებებული იყო მოხუც თავადთან: მას სიყვარულით ეგებებოდა ყოველთვის, რადგან იცოდა, რომ — „ბატონ პაპას“ უსათუოდ რაიმე საჩუქარი ექნებოდა. მისთვის მოტანილი, მაგრამ უცხო სახლში ყოფნას

არ იყო დაჩვეული და ამიტომ მოხუცის ახლო ყაფნაც ვერ უსუმბუქებდა., გულში მძიმე ღოლივით ჩაწოლილ, დარღაა და ვარამსა. სასახლის უკან, ზვარში, იდგნენ რამდენიმე კაკლის ხეები, რომელთა შევანედ დაბურული ტოტები კარავივით იყვნენ დაშვებულნი წმინდა ბალახით ახავერდებულ დედა-მი-წაზე. ეთერი მთელ დღეს აქ ატარებდა. გაუშლიდნენ ხალი-ჩას, დაუწყობდნენ მუთაქებს, წამოწვებოდა ზედ და ჩუმად, მდუმარებით ატარებდა აქ მთელ საათებსა. წოლით რომ დაი-ღლებოდა, მერმე დგებოდა ფეხზე, რომელსამე ძირ დაშვებულ ტოტს გადახვევედა მკლავებს, დაებჯინებოდა ზედ მკერდით, ნელ-ნელა აქანავებდა მას და თითონაც აყოლებით მოხდენილად ინძრეოდა მასთან. მაღლა, მოკრიალებული ლაუგარდი ცისა-კენ, ამაყად წასულ უზარ-მაზარ ტოტებ შორის კი ამ ღრუს უთეალ სულდგმულთა სიცოცხლე მხიარულად სღულდა და გა-დმოდიოდა მრავალს დიდსა და პაწია ფრინველებს მოეყარათ აქ თავი, გარდად დაცენიალობდნენ ტოტიდან ტოტზე, კური-პინობდნენ, უსტვენდნენ, გატაცებულის უვილ-ხიეილით ავსებ-დნენ იქაურობას. გრილი, წმინდა, სურნელოვანი ნიავი მო-უსევნრად დაძრებოდა უთეალავ ყლორტებ შეუა და სქლად დაბურულ ფოთლებს ნაზად არხევდა, აშრიალებდა. ეს საიდუმ-ლო ხმაურობა უსულდგმულო ბუნებისა მწყობრად უერთდე-ბოდა ფრთოსან სულდგმულთა გალობას და ირგვლივ სუფევ-და ისეთი შშეიღობა, ნეტარება, სიხარული, რომელთა შეგავსს ჩვენს ცოდვილ დედამიწის ზურგზე ხშირად ვერ შეხვდება აღა-მიანი. მაგრამ ის ადამიანი კი, რომლის გარეშემო ბუნებას გაე-მართა ეს დღესასწაული, ყველა ამას თითქო ვერც კი ამჩნევდა. წყეულს და პიროტ მწუხარებას მისთვის ყურთა-სმენა დაეხშო-და თვალთა წინაშე შავი, სქელი ფარდა ჩამოეშვა. მხოლოდ მაშინ ერკვეოდა ფიქრებიდან, როცა ზემოდ ტოტებში უეცრად გაისმოდა უსიამოენო ჩხავილი საიდანლაც მოფრენილის ყვავი-სა; ის ამ ღროს იღებდა თავს მაღლა და შეშინებულის თვა-ლებით მოუსვენრად აშტერდებოდა იმ ადგილს, სადაც უნდა მჯდარიყო შავი და ბნელი მოციქული სიკედილისა. ღმერთო

ჩემო, რა ენით გამოუთქმელი მშვენიერება იყო ის ამ წამს! სადღაც და როდესლაც მინახავს მშვენიერი სურათი სევდით ბოლული მფარეველი ანგელოზისა, რომლისათვისაც ეშმაკებს წაერთოიათ ცოდვილი ადამიანის სული და მიჰყავდათ ჯოჯონებისაკენ. სწორედ იმ ანგელოზს პგავდა იმ დროს ეთერი თავისი ფერმჟრთალი სახით, სევდით სავსე დიდრონი თვალებით, მაღალი სამხატვრო შუბლით და გულზე გადბოფენილი სქელი, შეეი თმითა... წყდებოდა უბედური ფრინველის ხმა და ეთერის გულშიც კვალიდ გროვდებოდნენ სევდა-ნალველით გაულინთული სამწუხარო ფიქრები.

როცა ფეხზე დგომით დაიღლებოდა, ხელახლა ჯდებოდა ისევ ხალიჩაზედა. ჩაიდებდა კალთაში მუთაქას, ორივ იდაყვებით დაებჯინებოდა ზედ და მიეცემოდა ახლა წარსულ დროთა წარმოლგენა-მოგონებასა. მას აგონდებოდა ხოლმე თავისი სიბავშვე და იმ დროინდელი ცხოვრება უბედური დედ-მამისა; ხშირად უფრო დედისა, რადგან მამა ორ-სამ დღეობით თუ გაჩნდებოდა სახლში, თორემ მომეტებულ დროს ის ატარებდა გარედ, ბევრჯელ შორეულ სოფლებსა და ქალაქებში. თითქმის ყოველ დღე მათ სახლში სტუმრები არ ილეოდნენ. ლამაზი მაჭარა გოგონა ამ სტუმრების ნებიერი და საყვარელი სათამაშო იყო. მრავალი ლამაზ-ლამაზი ტიკინები, კანფეტებით საესე ყუთები, შლაპები და საკაბეები მოჰქონდათ მასთან. ესეც ყოველ მიმსელელს სიხარულით უღებდა კარსა და თავისი მოტიკტიკე ენით ეპატიურებოდა სახლში. პატარა იყო, მაგრამ კარგად ხედავდა, როგორც ექცეოდნენ ეს სტუმრები მის დედას. პირველ ხანებში გრძნობდა მხოლოდ შურსა მათ წინააღმდეგ, რომელნიც ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ მაშინკას. ტირილით მივარდებოდა ხოლმე წრეს-გადასულ მოარშიყეთ, აშორებდა დედას და თითონ ეკროდა მას გულში. შემდეგ, როცა მოიზარდა, თითქო მიხვდა იმ ხვევნა-კოცნის ხასიათსა და იწყო მორიდება: მეორე ოთახში გადიოდა, დასხამდა ტახტზე ტიკინებს. და მათთან ერთობოდა, სინამ ძილი არ დაუხუჭავდა პატია თვალებსა. გახდა შვილი-რეა წლისა; მიაბარეს საქალო სას-

წავლებელში. ამ დროს მას უკვე შეტყობილი ჰქონდა ბევრი ისეთი რამ, რაც სრულიად არ შეეფერებოდა მის წლოვანებასა. კარგად იცოდა, რისთვისაც ეხვეოდა მის დედას უმაშვილ კაცობა; რადა რჩებოდა ხალმე მათ სახლში კალარა-შერთული თავადი თონიკე და როგორ აჭარებდნენ ღამეებს ისა და მაშინკა. უკვე იცოდა და მტკიცედ ჰქონდ შეთვი-სებული ზოგიერთა საარშიყო ზნე-ჩვეულებანი. როდესაც დარ-ბაზში მის დედას სტუმრები ეხუმრებოდნენ, ეთერი ახლა სულ ტიყინებთან როდილი იჯდა ხოლმე. დგებოდა, ჩუმად იპარებოდა ბნელ დერეფანში და ლია კარებიდან, ან გასაღების ჭუჭრუ-ტანადან შეიცქირებოდა შიგნითა. რაც უფრო თავისუფალი იყო ყოფა ქცევა დიდებისა, იმდენად უფრო წინ იწევდა პატა-რა, იმდენად უფრო აცეცებდა თვალებსა; აკვირდებოდა მოქ-მედებასა, როცა შენიშვნავდა, რომ კარებისაკენ წამოვიდოდა ვინმე, ის საჩქაროზე ბრუნდებოდა თავის ოთახში, უჯდებოდა სათამაშოებს და დარბაისლურის სიტყვა-პასუხით უბამდა თვა-ლებს მჩს დასაზვერავად გასულთა. გამოცდალ და ჭკვიან უფ-როსებს ეკონათ, რომ აცეცებდნენ პაწაწკინა გოგოსა, ნამ-დვილად კი სრულიად წინააღმდევი ხდებოდა. ამ პაწაწკინა გოგოს ბევრჯელ შუალამემდის უყარაულნია დედისთვის. სულ განაბული წოლილა ლოგინში და ისე ოსტატურად დაუწყვია ფშვინვა, რომ მოტყუებულა დედა: წამომდგარა ლოგინიდან, გასულა მეორე ოთახში და იქ ჩაუდენია ისეთი საქციელი, რასაც ადამიანი მოწმებონ არას დროს არ იზამს!.. გავი უოდა თუ არა დედა ოთახიდან, პატარა ყარაულიც ფეხ-და-ფეხ შიპყვებოდა ხოლმე მას. დაინახავდა, გაიგონებდა ყველაფერს, მერმე ფახილად ბრუნდებოდა უკან, წვებოდა ლოგინში, იდებ-და გულზე მუთაქს და მის ქვეშ ინძრეოდა და ხვნეშოდა სწორედ ისე, როგორც დედა მისი მეორე ოთახში. გახდა თოთხმეტ-თხუთმეტი წლის კალი. ამ დროს მას უკვე მოწყე-ნილი ჰქონდა დედის ცქერა-ყარაულობა: მის ყოფა-ქცევაში ახალს ვეღარაფერს ხედავდა. ახლა გარეთ, ქუჩასა და სასწავ-

ლებელში გადიტანა უნარი თავის დაკვირვება-შემჩნევისა და ხრიკები ბაეშეობაშივე შეძენილი არშიყობისა.

## xix

არა ერთხა და ორ ყმაწვილ კაცს ჰქონდა მისი, ვარსკვლავიერ მოციმციმე და გველივით შხამიანი, თვალებისაგან გული დაჭრილ დასერილი! ეინ მოსთვლის რამდენ ნიჭიერ და კეთილ ზნეობიან მოსწავლეს აურია ამ წყეულმა გზა და კვალი, აუცრუა სწავლაზე გული და დამშვიდებულ სულში ჩაუსხა შხამი ლელვა-შფოთვი სა და მოუსვენრობისა!! როცა სახლიდან სკოლაში მიდიოდა, ან სკოლიდან ბრუნდებოდა შინა, მთელი ხროვა ამ გვარ მოარშიყოთა დასდევდა უკანა. შორის-ახლო მისდევდნენ და დაბალის ხმით უმღეროდნენ საარშიყო ლექსებსა. აი სწორედ ამ დროს დაერქვა ეთერს „სულიკო“. აღბად რაღაც ბედნიერ გარსკვლავზე იყო დაარსებული მოხსენებული საქალო სასწავლებლის!! იმ უამად მასში მხოლოდ ერთი მამაკაცთაგანი იყო მასწავლებლად და ისიც სამოც და ათი წლის ნემეცი, კაცი მრისხანე, მარად მუნდირში გამოჭიმული, წარბ-შეკრული. წარმოიდგინეთ, რომ იმ ეშმაკის ფეხმა, არ გასაშვებმა სულიკომ ესეც კი არ დაინდო! ესეც კი ააცუნცრუკა თავისი ანგელოზური სიტურფითა და ტარტაროზული არშიყობით. ხშირად აიყოლიებდა ხოლმე კლასში და ფრანგული ენის ნაცელად, საარშიყო ამბებს ათქმევინებდა. ორ აზროვანი სიტყვების ხმა-რებით აცნებდა. რამდენჯერმე „ატანცავა“, ორჯელ თუ სამაჯერ ამღერა კიდეცა. უბადრუკს პამპულად ხდიდა და მთელ სასწავლებელს გასხე აცინებდა. უკვე ხანში შესული გასათხოვარი მასწავლებელი ქალები სიბრაზისაგან გულზე სკდებოდნენ, რომ მათ არც აფიცრები და არც სხვა ვინმე ყურადღებასაც არ აქცევდნენ, მაშინ, როდესაც ჯერ ისევ ბალდს მათ მოსწავლეს ხროვა-ხროვა დასდევდნენ თაყვანას-მცემელი კავალრები. ამის გამო მეტის-მეტად შეიძულეს მათთან სრულიად უდანა-შაულო სულიკო. „ელინიცა-დვოიკები“ სეტყვასავით ცვიოდა

მის თავზე, მაგრამ ეს კოპტია, მოხდენილი თავი აინუნშიაც არ იგდებდა ამ სეტყვას. როდესაც კი დროს უპოვიდა. უსა-თუოდ რომელსამე მათგანს გააჯავრებდა, გააწიწმატებდა და ცოფიანიერ გაკაპასებულს სასაცილოდ გახდიდა ხოლმე. მერ-მე ვარდის ფერ ტუჩებსა ზიზღით მიიგრეხ-მოიგრეხდა და ქართულად გადასახებდა ამხანაგებსა: ამ უცხვირპირო მოსკო. ველ ჯოჯოებს შურთ ჩემი სილამაზე და იმიტომ მექუევიან ასეო! მთელ კლასში ერთბაშად გაისმოდა სიცილი, რისგამო მასწავ-ლებელი უფრო კაპასებოდა, წიოდა, კიოდა და ბოლოს ცრემ-ლებითა და ტირილით გარბოდა გარედ. იმავე წამს მასწავლებ-ლის სტოლთან სულიკ ამოჰყოფდა თავს. ათას ნაირად დაი-ღრეჯდა სახეს, უხეირო ბატივით დაიწყებდა კლასში ბაჯბაჯსა და თანაც მოჰყვებოდა გაკვეთილის ახსნას, ისეთი საშინელის ხმით, თითქო შვიდი-რვა უსაპნო ურემი ერთად ჭრივინებსო. გაათავებდა ახსნას, დაუძახებდა შემდეგ რომელსამე მოსწავლეს და უბრძანებდა ახსნილის გამეორებას. დაიწყებდა თუ არა მოსწავლე ლაპარაკს, ის გოჭივით დაიკუვირებდა, შეაყენებდა და ცტყოდა დორბლების ყრით: არ მიყარხარ, არ მომწონ-ხარ! შენ აზიური ცხვირი გაქვს, ქართულად აჭყეტამ თვალებს, სომხურად იქნევ ხელებსა... ედინიცას, დეოიკას დაგიწერ ამ წამში... მაშინათვე ორმოცხე მეტი მოსწავლე ქალები სალოკ თითს ნესტოებთან მიიღებდნენ და ცხვირის წვერს, რაც კი შესაძლებელი იყო, აიწვედნენ მალო. გადახედავ ამათ თავისთავად განწესებული მასწავლებელი და უშნო-უხეირო სიცილით იტყოდა; ვიშ, ვიშ, გენაცვალეთ! რა მშვენიერები ხართ! რა კალმით ნახატები ხართ! თქვენ კი თავშემოგვლოთ აგრაფინა მიტრო-ჭანოვნა და მატრიონა ტროჭიმოვნა! ეშმაკობდა, მაიმუნობდა, მაგრამ ცალი თვალი და ყური კი კარებისაკენ ეჭირა. გაიგო-ნებდა თუ არა იქიდან ფეხის ხმას, მაშინათვე თავის ადგილს გაჩნდებოდა, ჩალუნავდა თავსა და გაცხარებით იწყებდა ბუტბუტ-სა, ვითომც ერთი შემომხედვეთ და სცანით, როგორა ვარ წიგნის კითხვით გატაცებულიო. ეს ამბები, რალა თქმა უნდა, მასწავლე-ბელთა ყურამდეც მიახწევდა ხოლმე. ცხადია, როგორც დაუ-

წყებდნენ სულიკოს ცქერას, ისედაც მასზედ გულ-ანლრეული მასწავლებელნი. როგორც იყო, დასრულდა სასწავლო წელი-წალი. მაისის გასულს, უკანასკნელ პედაგოგიურ კრებაზე, მას-წავლებელთა მოთხოვნილებისამებრ დადგენილ იქმნა სულიკოს შესახებ: მიეცეს წინადადება, რომ თავის ნებით გაეიდეს სას-წავლებლიდანათ. როცა სულიკოს გამოუცხადდეს ეს გადაწყვეტილება, მან მხიარულად დაუკრა თავი უფროსს; შევიდა სას-წავლო ოთხში; თავის წკრიალა ხმით ერთი კიდევ იმღერა „სულიკოს“ ლექსი, შემდეგ გამოეთხოეა თვალ-ცრემლიან ამ-ხანაგებს და გასწია შინისკენა. „ოხ, რა წუწკები იყვნენ ის უცხვირ-პირო ჯოჯოები, ისინი!.. დაიძახა მან ხმა - მაღლა.. ამ ხმამ მის ყურებამდეც მიახწია, ფიქრები გაუფანტა, თავი მაღ-ლა აღებინა და აქეთ-იქით მიახედ-მოახედა: სხვამაც ხომ არა-ვინ გაიგონა ესე მაღლა წარმოთქმული ჩემი სიტყვებით. ამ დროს კაკლის ტოტებ შეუ მან დაინახა ახლად წვერ-ულვაშ ამწვანებული, მშვენიერ შეხედულობის ყმაწვილი კაცი, რო-მელიც ერთ ადგილას შეჩერებულიყო და გაოცებით დაეშრე-რებინა თვალები ხალიჩაზე წამოწოლილ ლამაზი ქალისათვის. ცოტა ხანს კიდევ იდგა იქ, შემდეგ მოიხადა გიმნაზიური ქუ-ლი და სიჩქარით წამოვიდა სულიკოსაკენ. უკანასკნელმა მაში-ნათვე ფერი იცვალა: სქელი თმა გულზედ გადმოიფინა, ცალი ხელით მუჟაქას დაებჯინა და გაცოცხლებული, აწთებული თვა-ლები მდუშარებით შეანათა ყმაწვილ კაცსა. გიმნაზიელი ხა-ლიჩის ნაპირას შეჩერდა, შეკრთა; ერთ წამში რამდენჯერმე გაყვითლუ-გაწითლდა... ბოლოს, როგორც იყო, მოიკრიბა გა-ბედულობა, ხელი გაუშვირა ქალსა და წარმოსთქვა:

— მე გახლავართ გედევან თონიკეს ძე ბაზრიშვილი.

ქალმა ხელი ჩამოართვა, ცოტა უკან გაიწია, თითქმ დასა-ჯდომ ადგილს უცლისო, და ნაღვლიანის კილოთი უთხა:

— დაპძანდით!.. ეს ორი-სამი დღეა ჩვენ ყველანი მოუ-თმენელად გელოდით... თვალები დაგვებრიცა თქვენი გზისა-კენ... დაბძანდით, გენაცვა!.. დალლილი იქნებით,

გედევანი ერთად-ერთი შვილი იყო თავდი თონიკესი. მა-  
მას კარგად ესმოდა სწავლა-განათლების მაღალი მნიშვნელობა  
და ამიტომ შვილის აძახრდელაც არ ერიჟებოდა არავითარ  
ხარჯსა. არც თონიკეს მეუღლე იყო უჭიურ დედაკაცი. ამა-  
საც გულით უნდოდა, რომ თავისი ვაჟი განათლებულ, მაღალ  
სამსახურში მყოფ „ჩინოვნიკად“ ენახა. რამდენადაც კი შეე-  
ლო, კიდეცა ცდილობდა ამ დანიშნულებისათვის შვილის მომ-  
ზადებასა. მართალია, რუსული არ იცოდა, მაგრამ ქართული  
ენა და სალშროთო წერილი კარგა ზედ-ზიწევნით ჰქონდა შე-  
თვისებული. ამ ცოდნას დისის გულ-მოდენებით უზიარებდა  
თავის „მზესა და მთვარეს“ თითქმის იმ დროდგან მოკიდებუ-  
ლი, როდესაც ბავშვმა ენა ამოიგდა, ცოტაოდენ ჭკუაში ჩავა-  
რდა. სამის წლისახე მეტისა არ იქნებოდა გედევანი და უკვე  
რამდენსამე ლოცვებს ზეპირიდ ამბობდა ხოლმე. ეკლესიაში  
მოწიწებით დგომა, მუხლის მოყრა და ლაშაც პირჯვრის წე-  
რა ლოცვებზე უფრო ადრე იცოდა. ცოცხალი მგრძნობიარე  
სულის ბავშვი დედის მაგალითს უკეროდა და ამ მაგალითის  
გავლენით ლვითს შიშა და სიყვარულს, სარწმუნოებრივ ცხო-  
ველ გრძნობას ითვისებდა. როდესაც ბავშვს ექვსი წელიწადი  
შეუსრულდა, დედამ ქართული ანბანიც დაწყებინა. ყმაწვილი  
პატარაობიდანვე ყოველ დღე ხედავდა წიგნის მკითხველ დე-  
დას, სულ განაბული უგდებდა ყურსა და თუმცა არა ესმოდა-  
რა, მაინც აღტაცებაში მოდიოდა ძვირფასი ადამიანის. ლმო-  
ბიერი ხვითა, მისი ტუჩებისა და თავის ნძრევითა. წიგნი სუ-  
ლით და გულით შეიყვარა, რადგან იგი უყვარდა მის ტკბილ  
დედიქოსა; ამიტომ, როცა ანბანის წიგნი მისცეს, მის სიხა-  
რულს საზღვარი აღარა ჰქონდა. ერთი თერს განმავლობაში  
გედევანმა დაისწავლა ჩათვლით კითხვა. შემდეგ ხელი მიჰყო  
წერასა. სამიოდე თვის შექდეგ იგი მკაფიოდ კითხულობდა  
პატარ-პატარა მოთხრობებსა, ზეპირად სწავლობდა.

ლექსებსა, ანდაზებსა, გამოცანებსა. ლამაზი მრგვალი ზელით სულ დაწერილი ჰქონდა საში-ოთხი რვეული. ის იყო ხუცუ-რიც უნდა დაეწყებინებინათ, მაგრამ დედა მისი ერთ საღამოს როგორლა/კ გაცივდა, ფილტვების ანთება გაუჩნდა და ერთი კეირის შემდეგ საუკუნოდ გამოესალმა საყვარელ შვილსა. და ქმარსა. მეორე წელიწადს გედევანი ჩაიყვანეს ქალაქში და იქ ერთ საუკეთესო გიმნაზიის პანსიონში მისცეს სასწავლებლადა. პირველ წელიწადს ბაეშვეს ცოტა უძნელდებოდა სწავლა, მაგრამ მეორ-მესამე წელიწადს იგი უკვე გაიმართა რუსულ ენა-ში და მისმა დალოცვილმა ნიჭმაც თავისუფლად გაშალა ფოე-ბი. მალე წინ გაუსწრო ყეელა თავის ამხანაგებს; და ამ დრო-დან მუდამ პირველ მოსწავლედ გადადიოდა კლასიდან კლას-ში. იმ წელსაც, როდესაც გედევანი გავიცანით, იგი პირველ შეგირდად გადვიდა მეხუთე კლასიდან მეექვსეში, და გახარე-ბული გამოფრინდა სამშობლო ადგილ-მამულისაკენ. თავიანთ სახლში ეთერის ყოფნა მან მხოლოდ შინ მოსელისას შეიტყო. მამამ გააცნო იგი „ოხერ-ტიელ ბაეშვის“ სახელით და მაშინვე გაგზავნა ზეარში შის სანახავიდა. ყმაწვილი კაცი ცნობის მო-ყვარეობამ გაიტაცა: უნდოდა მალე ენახა სტუმრად შემო-ხიზნული ობოლი ქალი, მაგრამ თავის ყოველ წლიურ ჩვეუ-ლებას მაინც არ უდალატა. ჯერ ეკლესიაში შევიდა, დედის საფლავის. წინ დაემხო პირქვე, შუბლი საფლავის ქვას დააყრ-დნო და რამდენსამე წამს გულმხურვალედ ტიროდა და ლო-ცულობდა. შემდეგ გამოვიდა ტაძრიდან და პირდაპირ „ოხერ-ტიელი ბაეშვის“ სანახავად გასწია კაკლებისკენა. მან ეს ბავ-შვი მართლა. შვიდი-რვა წლის, მზისაგან გარუჯულ, ჩითის კაბაში გამოხვეულ სოფლელ გოგოდ წარმოიდგინა... და რო-დესაც ხალიჩზე წამოწოლილი, ფიქრებში გართული, ლამაზი, მოხდენილად ჩატულ-დახურული ყმაწვილი ქალი ნახა, გაო-ცებით შეკრთა. პატარა ხანს უცქრია და შემდეგ ჩუმად, ნელ-ნელა გამოტრიდალდა უკანა. ალბად ეს სხვა არის ვინმეო, გაი-ფრქრა მან გულში. ზერის კარებთან მას შეხვდა მოურავი და ამას ჰკითხა ეინაობა კაკლებ ქვეშ მწოლიარე ქალისა. ეგ ის

ობოლი ქალია, მამა-თქვენმა რომ მოიყვანა ემ წინაზედა; — მიუგო მან. ამ სიტყვებზე გედევანს რაღაც მაღლიანმა სხივმა ჩაანათა გულში. მცირე ხანს იყოყმანა: არც ზეარიდან გასვლა უნდოდა და ქალთანაც ვერ ბედავდა მისვლასა. ბოლოს თმა ზე ხელი გადისეა, ბლუზა გაისწორა და გასწია პირდაპირ უცნობი სტუმრისაკენ. გაიცნო იგი და პირველსავე წამს მისი ქცევისა, სიტყვა-პასუხისა და სილამაზისაგან მთლად მოჯადო ებულ იქმნა. ჩვენს კეკლუცა ჯალო-ქალსაც კავალრებზე ბადის სროლა ამ უამად როგორლაც ვერ მოუვიდა ძველებურად, თავისებურად. მართალია, ლაპაზი ყმაწვილი გიმნაზიელი ადვილად მოიგდო ბადეში, მაგრამ თითონაც, მასზე არა ნაკლებ, გაება და გაიხლართა იმავე ქსელში. ამ დროდან მათ იგრძნეს რაღაც ძლიერი მაღლი, რომელიც საიდუმლოდ გადმოეფინა შათ ჭიუა-გონებას, მათ გრძნობას და გულისთქმათა. ამიერიდან ყოვლად წმინდა სიყვარულმა დაიდგა მათ გულში თვისი ბწყინვალე ტახტი და სუსტ, მომაკვდავ არსებათ მოჰვინა ს, აუკუნო ნათელი უმაღლესის სიხარულესა, ნეტარებისა, ბედნიერებისა.



ცხოველმა, აღგზნებულ მა გრძნობამ გედევანი და ეთერი მაღლე დაუახლოება ერთმანეთს. მათი ყოველ დღიური ცხოვრების გარემოებანიც ხელს უწყობდნენ ამ დაახლოვებას, მოხუცი თავადი, სხვა და სხვა საქმეების გამო, ხშირად დადიოდა აქა-იქა. ბევრჯელ სამ-ოთხ დღეობით მას კაცი სახლში ვერ ნახავდა. ყმაწვილ ვაუსა და ქალთან, ანუ, როგორც ჩვენი გლეხები იტყვიან ხოლმე, თრვასა და ცეცხლთან, რჩებოდა ოთხმოცი წლის მოხუცი თინათინი, გამდელი გედევანის დედისა და შემდეგ თვით გედევანისაცა. თინათინი დიდის ერთგულებით ემსახურებოდა თავად თონიკეს, ლვიძლ დედასავით თავს ევლებოდა გედევანსა, დაუფიქრებლივ შესწირავდა სიცოცლეს ამათ ოჯახს, უკეთუ ეს მსხვერპლი რითიმე სასარგებლო.

იქნებოდა შათოვის. ძლივს დაპანპალებდა, მაგრამ ძველებურადვე შეერჩინა აზრი და მხნეობა კვიიანი ადამიანისა და ამათის წყალობით მთელი ოჯახის ვითარებას ყოჩალად აღევნებდა თვალ-ყურსა. ყმაწვილი ქალისა და ვაჟის მდვომარეობა ვერ გამოეპარა მის გამოცდილ ყურადღებასა, მაგრამ—ამ მხრივ გამოუცდელ მოხუც ქალწულს—მხოლოდ ახალგაზდურ თამაშობით, ყმაწვილურ დროს გატარებით ეჩვენებოდა იგი. თონიკეს ოჯახში დატრიალებდა კიდევ ერთი ადამიანიც. ეს გახლდათ ცალ-თვალი ბრუკიანი დემეტრე, დიდი ხნის მოურავი, კაცი ორმოცდა-ათ წელს გადაცილებული, ცბიერი, გაიძვერა, შეელი ქვეყნის მატყუარა. ქართველი კაცი აპბობს: კოჭლისა და ბრუკიანისაგან არის ქვეყანა ამოვარდნილიო. და ეს ჩვენი დემეტრე მოურავი სწორედ ამგვარ, ქვეყნის ამომგდებ, კაც ეკუთვნოდა. თუმცა უშვილო იყო, მაგრამ ცალი გროშისათვის სულს მიპყიდდა ეშპაკსა. გასაოცარის ოსტატობით ატყუებდა ბატონსა, თინათინსა, მოჯამაგირე ბიჭებსა, ნაყმევ გლეხებსა, გარეშეთა და მეზობელთ. სხვაგან ფეხის გაშლა უყვარდა, ლხინი და ქეიფი მოსწონდა; თავის სახლში კი წელიწადში ორჯერ არ გაატარებდა სტუმარსა და მაშინაც ცხვირი მამალი ინდოურივით ჰქონდა ხოლმე ღაშვებული. იძენდა და აგროვებდა სარჩო-საბადებელს; რომ გეკითხნათ — ვისთვის?.. მერწმუნეთ, უერაფერ გეტუყდათ. მისი მეზობელი გლეხები კი უჟეველია მოგიგებდნენ: — ეშპაკებისთვისაო, ეს არა — წმინდა სულის კაცი, რაღა თქმა უნდა, არავითარ დაბრკოლებას არ აღმოაუჩნდა ახალგაზდა ბატონის მაშინდელ გულის თქმა, პირიქით, ალლო რომ აელო როგორმე, ყოველგვარ მოუმართავდა, ხელისა, ყოველ საბაზლობაზე წააქეზებდა. ამნირად, სრულიად თავისუფალნი იყვნენ ჩვენი შეყვარებულნი... და, ხომ მოგეხსენებათ, რა ნაყოფიერ ნიაღაგს წარმოადგენს თავისუფლება ყოველ-ვერ გრძნობათათვის!.. გეფევვანი და სულიო ერთმანეთს თითქმის არც დღე და არც ღამე აღარა შორდებოდნენ. ოთახში ყოფნა-მუსაიფი რომ მოსწყინდებოდათ, ზეა-რში გადიოდნენ ხოლმე, ლამაზ ჩდილებ ქვეშ სეირნობდნენ,

სურნელოვან მწვანე ბალახზედ გორაობდნენ და ერთმანეთის ხვევნა-აღერსშა ნერარებით ატარებდნენ დროსა.

ერთ სალამოს ამ გვარად გამოვიდნენ ზვარში, სიყვარულით გადახვის ერთმანეთს ხელი და ნელ-ნელა იწყეს სიძრული ვენახის ბილიკა გზებზე. კარგა ხშირ ბინდი იყო დედა-მიწაზე დაცემული. გარეშემო ისეთი მშვიდობა და მყუდროება იყო დაშვარებული, თითქო ყოველი არსი ამა ქვეყნისა რაღაც ღრმა. ფიქრებში იყო ჩანთქმული. გაშტერებული იდგა ცოტათი ნოტიო ჰაერიც, გაედინთული ათასნაირ ყვავრლების სურნელებითა, მარად დაუყენებელ ცელქ ნიავსა თითქო სადღაც მისინებოდა, რისგამოც უთვალავი ფოთლები ვაზისა და ხეჯისა გაუნძრევლად დაპირისპირდნენ ყლორტებს და, დაღლილ-დაქანულ სულდგმულებივით, მდუმარებით გისც. მოდნენ მოსვენებასა. მაღლა მთელი ცა ნაკერ-ნაკერი ჰატარ-ჰატარა თეთრი ღრუბლებით იყო დაფარული. ამ ღრუბლებშირის აქა-იქ გაწოჩნდა მოწმენდრლი ლავარდი ცა, რომელზედაც მხიარულის ციმციმით ბელვრიალებდნენ ვარსკვლავები. გაფანტული ღრუბლებიდან ეს კუდიანები ისე გამოიჭიობენდნენ, თითქო ქვეყანაზე რაღაც სასიამოვნო ამბავსა ხელავდნენ, ამრს გამო ერთ-მანეთს თვალს უშვრებოდნენ და ჩუმის საიდუმლოებით ნაზად იღიმებოდნენ. ამბობენ: ბედნიერთა და უბედურთათვის ცისა და ქვეყნის სიმშევნიერეს არავითარი შინიშვნელობა არა აქვსო. არ ვიცი, საზოგადოდ რამდენად მართალია ეს აზრი; ხოლო ამ შემთხვევაში, ჩვენი ბედნიერებისათვის, სრულიად უმნიშვნელოდ რჩებოდა იმ სალამოს მშვენიერება. იგინი ვერც კი ამჩნევდნენ მას. დაბურულ ხეებ ქვეშ დამსხდარიყვნენ და, თუმცა იმრაგვლივ სუფეცდა სამარისებური წყვდიადი, ერთმანეთს მაინც კარგა ხედავდნენ. რომელი მზე და მთვარე, ლამპარი და ჩირალდანი გაანათებენ ისეთის მაღლითა და ბწყინვალებით, როგორც ანათებენ თვალები შეყვარებულისა?

გედევანმა მებალის ქოხიდან მოარბევინა ნაბალი და მუთაქა. ნამიან ბალახზე გაშალა ნაბალი, დასდო ზედ მუთაქა და წამო-

წვა. სულიკომ მიჭბაძა მას, მაგრამ დასდო თუ არა მუთაქაზე თავი, საჩქაროზე წამოჯდა ისევა, მუთაქას ოფლისა და კუჭუკის საშინელი სუნი ასდიოდა. ტანიდან გაიძრო საზაფხულო წამოსასხამი, გადააფარა მუთაქას და მერმე ზედ დაუდო თავი გედევანსა. თითონაც წამოწვა ნაბაღზე და მხურვალებით ჩაეკრა გულში სათაყვანო არსებას.

— ვინა სთქვა: ქვეყანაზე ბედნიერება არ არისო?! — ჩუ-მად, სასოებით წარმოსთქვა გედევანმა. — მაშეს რა არის, თუ არ სრული, უკვდავი და უმაღლესი ბედნიერება?..

— ბედნიერებაა, გენაცვალე! სამოთხის ნეტარებაა, თავ-შემოგევლე!... მაგრამ გული კი, როგორლაც მოუსვენრად მიჩროლამს. — დაბალის ხმითვე სთქვა სულიკომ... — მომავალის შიში არ შორდება დღევანდელ სიამოვნებასა და ამის გამო მეშ-ხამება წუთისოფელი!..

— რადა, გენაცვალე, ჩემო ლვთაებავ!.. მოიშორე თავი-ლან ეგ შავი ფიქრები... უშენოდ ჩემი სიცოცხლე შეუძლე-ბელია.

— ვიცი, ჩემო ნეტარებავ, რომ გიყვარვარ, მაგრამ მამა არას დროს არ დათანხმდება ჩენს ჯვარის წერაზე. შენს თავს მომაშორებს, რომელსამე დიდ მზითვიან თავადის ქალს შეგრ-თავს და მე კი საუკუნოდ დავიღუბები!

— ეგ სულ ტყუილი ფიქრებია, ჩემო ანგელოზო! მამის უარის თქმა ვერას დროს ვერ დამიშლის შენთან შეუღლე-ბასა. თუ მართლა გაჯიუტდა, თავს დაეანებებ კველაფერს: მასაც, ნათესავებსაც, მამულსაც... ქალაქში ჩაგიყვან და იქ ვიცხოვერებთ ბედნიერადა.

— ბედნიერადა?.. ოხ, ღმერთმა ინებოს! მაგრამ მე კი გული როგორლაც მიკვნესის, გედევან! მარტო მამა ხომ არა, მთელი თავად-აზნაურობა აშფოთდება, პირს დააღებს და ღრი-ალს მოჰყვება: როგორ თუ ბწყინვალე თავადმა ვიღაც კალა-ტოზის გლეხუჭა გომბიო შეირთოვო...

— ჩვენ ერთმანეთის სიყვარულში სიცოცხლე დავიტკ-ბოთ გენაცვალე; სხვების ლაპარაკს კი მოვუყრუოთ ყური: დაე, ვისაც რა ნებავდეს, ის იყბედოს.

— ამ საქმეს ეგრე ადვილად ნუ უცქერი, საყვარელო!.. წოდებრივ განსხვავებას, ზნესა და ჩვეულებას დიდი, დიდი მნიშვნელობა აქვს, გეთაყვანე!.. გლეხებსა და თავადებ ზორის მთელი უფსკრულია გათხრილი; მთელი უზარმაზარი ჭობია აყუდებული.

— მართალია, მაგრამ ჩვენს დროში მაგათ როდი-ლა აქვთ აგრე რიგად დიდი მნიშვნელობა. ყოელად შემძლებელი სიყვარული ამოაქსებს იმ უფსკრულს; ყოვლად ძლიერი განათლება შემუსრავს იმ მთებსა, და ჩვენ შეა, ჩემო ძვირფასო თვალის ჩინო, დამყარდება ხელისგულივით სწორე ვაკე, რომელზედაც თავისუფლად გადავეხვევით ერთმანეთსა.

— ეგ ლამაზი სიტყვებია, ჩემო გედევან, მაგრამ მათი გან-ხორციელება კი ჯერ არც მინახავს და არც გამიგონია! პირ-იქით, არ შემხვედრია არსად ისეთი განათლებული თავალიც კი, რომელიც თავის შთამომავლობას, გულში მაინც, დიდ მნიშვნელობას არ აწერდეს, არ ამპარტავნობდეს მამა-პაპით, თუნდა რომ ამ მამა-პაპას მოძმეთ შეწუხებისა, ქვეყნის რბე-ვისა, მამულისა და სარწმუნოების ღალატის მეტი არა ჩაედიანოს-რა! ამ ეამად შენს გულში, ჩემო არჩილ, წოდებრივი გრძნობა გვერდზეა მიგდებული, სიყვარულის მადლის ქვეშ არის მოქ-ცეული. შემდეგ კი, როცა სიყვარულის მღელვარება განელ-დება, ის გრძნობა კვალად ამოძრება ზემოდ, დაგავიწყებს აწინ-დელ ლამაზს სიტყვებს და მათ მაკივრად წარბ შექმუხვნილს გაბრძანებინებს: ჰეი, კალაჭოზის ქალო, გლეხის გომბიო, მოი-ტა ჩეარა ტასტი და წყალი; ხელ-პირი მინდა დაეიბანო!

— სუკი-ჯან, გენაცვალე, თავშემოგევლე, ნუ ლაპარაკობ ეგრე! ყოველივე ეგ მე სრულიად არ შემეხება. მალე დაგიმ-ტკიცებ, ჩემო ღმერთო, რომ სრულებით ტყუილად აზვიადებ ი რაღაც წოდებრივი გრძნობაა, იმის ძალასა და მნიშვნელო-

ბას. შენ იქნები დედოფალი, მე შენი ქვეშევრდომი; შენ იქნები მბძანებელი, მე შენი ყმა. ვინც შენ შთამომავლობის გამორაიმე შეურაცხებას გაგიბედავს, მე იმას სიცოცხლეს გამოვასალმებ. გლეხი და თავადი, ჩემო სამოთხევ, ერთი და იმავე დედ-მამის შვილები არიან. დიდი, ენით გამოუთქმელი ვნება მოგვრტანა ერთი ერის რამდენსამე ნაწილად დაგლეჯამა. დროა ახლა კი შეგრგნოთ ეს ვნება! დროა დაეუბრუნდეთ მას, რაც ლვოსაგან გვქონდა მონიჭებული და ზიზლით გავდევნოთ ის, რაც ბოროტმა ეშმაკმა ჩამოსთესა ჩვენში. ჩვენი მამა ქართლოსი იყო და ჩვენ, ყველა ქართველები, მისი შვილები ვართ.

— გენაცვალე, გეთაყვანე, ჩემო ღმერთო, ჩემო საყვარელო გედევან, მშვენიერად ლაპარაკობ, მაგრამ სხვები, შენზე უფრო გამოცდილი ჭკვიანი კაცები რომ არ ამბობენ მაგას? ხომ გახსოვს, გუშინ რომ ორი მოთხრობა წავიკითხეთ? ხომ გახსოვს, როგორ უბედურად გათავდა ორივე თხზულებაში გლეხისა დი თავადის სიყვარული!

— იმ მოთხრობებში, ჩემო ანგელოზო, თითქო განგებარის არევ-დარეული ეს საგანი. ერთ მოთხრობაში აწერილია განათლებული გლეხი; მეორეში გამოყვანილია განათლებული გლეხის ქალი და გაუნათლებელი თავადი. ერთი მიბძანე, გენაცვალე, რა აქვთ განათლებულს და გაუნათლებელს თვის შორის საერთო? როგორ უნდა გაჩნდეს მათ გულში ნამდვილი სიყვარული? დეილოთ მაგალითად ჩყენი თავი! ვფიცავ შენს სახელს, რომ არას დროს არ შევირთავდი გაუნათლებელ „კინიაუნას“, თუნდაც რომ იგი მეფის შთამომავლობისა ბძანებულიყვეს! აგრეთვე დარწმუნებული ვარ, რომ არც შენ გათხოვდებოდი რომელსამე გაუნათლებელ გლეხზე. ჩვენი მდგომარეობა კი სრულებით სხვა ნაირია: ჩვენი ორივენი ნასწავლები ვართ; საერთო, სამეგობრო ბევრი, ძლიერ ბევრი რამ არის ჩვენ შორის და მაშასადამე ჩვენი ცოლ-ქმრობა ბუნებრივიც იქნება და სასურველიც.

ყოველს ამ სიტყვებს გაფაციცებით უურს უგდებდა, დამშეული კაცივით ჰყლაპავდა სიხარულით გატკრციალებული

სულიკო და როდესაც შესდგა გედევანი, ორივ ხელები მაგრა მოხვია კისერზე და გაგიუებით უწყო კოცნა თვალებში, ტუჩებ-ში, შუბლზე, ხელებზე. გედევანმაც მოხვია წელზე ხელი და, ტრფიალების ცეცხლით აღგზნებულნი, ერთად დაეცნენ მუთა-ქაზე. რამდენსამე წამს აღარა ისმოდარა, მაგი გულის გაცხარებული ფანცქალის მეტი. ბოლოს ქალი წამოხტა ფეხზე.

— ქმარა, გენაცვალე, გედევან! ქმარა, თორემ დავიღუ-ჰები!..

— ცოტა ხანს კიდევ დაწექ, ჩემო ღვთაებავ .. ერთი, ერთი კიდევ ჩაგირა გულში!

— არა, თავშემოგვლე, არა!.. მე რომ უბედურება მეწ-ვიოს, შენც ხომ გაუბედურდები!.. ადე, სიცოცხლევ, ადეჭი, წაეიღეთ შინა!..

გედევანი წამოჯდა, ცალი ხელით შისწვდა სულიკოს, მაგრამ ეს უკანასკნელი გაუსხლტა ხელიდან და გიოჭა ზვა-რის კარებისაკენ... მცირე ხანს უკან დამშვიდდა ყმაწვილი კაციც, წამოხტა და სულიკოს გამოუდგა უკანა... დაწია, შეა-ყენა და უთხრა:

— ჩემო სულიკო, მაპატივე, თავშემოგვლე!.. ხომ არ მიჯავრდები, გენაცვალე...

— არა, ჩემო სასოებავ!.. მე შენზე გაჯავრება არ შემი-ძლიან. მე შენი ერთგული მონა ვარ... შენ გეკუთვნის ჩემი სული, გული, ჭკუა, აზრი... ჩემი სხეულიც შენია, მხოლოდ დროებამდის მოვიცადოთ, გენაცვალე!...

— კარგი, თავშემოგვლე!. იცი სულიკო!. დღეს დავრ-წმუნდი, რომ შენ უფრო მაგარი, ძრიელი ხასიათისა ყოფილ-ხარ, სინამ მე... პირუტყულმა ქინმა მე კი დამიმორჩილა, შენ-კი ერა!... და ამისათვის უფრო, უფრო მეტად შემიყვარდი, ჩემო ლამაზო, დახატულო, მშენიერო ანგელოზო...

— არა, ჩემო ძვირფასო, შენ ჩემზე ყველაფრით მაღლა სდგევხარ!. პირუტყული ქინი ჩემში შიშმა დასძლია და არა ხასიათის სიმუკიცემ...

## xxx

მარიამობის თვის გასულს გედევანი ქალაქში უნდა წასულიყო სასწავლებლადა. მაგრამ გული მეტად დაუმძიმდა; სევდა-ნაღველი, შავი ლრუბელივით, გადაეფარა მისი სიცოცხლის ყოველ წამსა. რამდენიც ახლოვდებოდა წასვლის ვადა, იმდენად ესეთი მდგომარეობა უფრო უწმველებოდა, მისგან გამოწვეული ტანჯვა უფრო ძრიელდებოდა. რომ უოტას ხნობით მაინც გაენელებინა ეს ტანჯვა, ავაზმყოფაბა მოიგონა და ქალაქისაკენ გამგზავრება ძლივ-ძლიობისას შესძლო მხოლოდ ენკენისთვის გასულსა. გასწია ქალაქისაკენ. მაგრამ ვა ამ წასვლას!. იქ მიღიოდა მხოლოდ სხეული, ფერმერთალი, უსიცოცხლო, სრულიად მოღუნებული სხეული, ხოლო გული კი, სავსე სიყვარულის სანეტარო მადლითა, რჩებოდა სოფელში. გასაოცარი იყო მდგომარეობა მისი სულისა!. ყველაფერი, რაც კი დედამიწის ზურავზე ადამიანის გრძნობათ ექვემდებარება, თვით უკანასკნელი ფეხთა-მტვერი რომელიმე უმნიშვნელო სულდგმულისა, მას ეჩვენებოდა ღვთაებრივი სხივით მოსილ მშვენიერებად; მაგრამ, ამავე დროს, გული არსად არ უდგებოდა, სული ყველგან აშეოთებული ჰქონდა, რადგან აქ ვერსად ვერ ხედავდა იმ მანათობელს, რომლის ბწყინვალე სხივებით მოფენილი იყო ყოველი სულიერი და უსულო ამა ქვეყნისა. ფიქრითა და ოცნებით ყოველ წამს მას უცქეროდა, მას ეტრფოდა, ეთაყვანებოდა... და ამასთანავე გმინავდა, კვნესოდა, სასოწარკვეთილების გენია ეკიდებოდა, რომ ამ ოცნებათა მეუფეს თვალით ვერ ხედავდა, მის წინაშე მარად მუხლმოდრეკილი არ იდგა და მთელ თავის სიცოცხლეს მოწიწებით არ უშლიდა. მას ფინანზაზადა, ეტლი, რომელშიაც გედევანი იჯდა, ხან ნიავსავით მიჰქოდა, ხანაც ნელ-ნელა ტატით მიღიოდა, დილით მზე იდგა და თავის ცხოველ სხივებს უხეად აყრიდა ყმაწვილ-კაცს ქუდ-მოხდილ თავსა და სახეზე; შესა დღისას ლრუბლებმა დაპფარეს მზე, შემოდგომური ცივი ქარი ამოვარდა და წერილმა ეიუმარა წვიმამ გა-

ჯავრებით წამოუშინა ეტლში მჯდომარეთა. გზაზე დიდ ძალი ზალხი მიღი-მოღიოდა. მათ შორის მრავალნი იყვნენ მცნობნი გედევანისა. ესენი პატივის-ცემით სალამს აძლევდნენ მიმავალს, ქუდს უხდიდნენ, ხმა-მაღლა ეუბნებოდნენ „გამარჯვებასა“, მაგრამ ფიქრებში ჩანთქმული გედევანი გარინდებულ-გაშტერებული იჯდა ერთს ადგილზე; ვერაფერს ხედავდა, ვერავის ამჩნევდა, არა ესმოდა-რა მთელი ოც და ათი ვერსი ისე გაარბინა, რომ ერთ წამსაც არ გამოფხიზევებულა. რკინის გზის საღარებულო ის მცირე ხანს გამოერკვა, მაგრამ დაიძრა თუ არა მატარებელი, იგი ხელახლა გაჩნდა ოცნებათა სამთაეროში და აქ ხან უკვდავების წყაროს ეწაფებოდა, ხანაც შხამიან გველთა და ასპიტთა შორის ეგდო და ჯოჯოხეთურ ტანჯვა-ვაებასა გრძნობდა. ამ ყოფით ჩავიდა ქალაქს, გამოცხადდა სასწავლებელში, აიღო ხელში წიგნები, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ წიგნებისა დი სწავლის ხალისი საღლაც გაპარულიყო. უფელ ცისმარე დღეს გედევანი უსიცოცხლოდ, უხალისოდ დადიოდა თოახებში; არაფერსა სწავლობდა, ყურს არავის არ უგდებდა. პირველად ის ავადმყოფი გვონათ და ამიტომ უფოთხილდებოდნენ, ძალას არაფერში არ ატანდნენ. მაგრამ როდესაც ექიმმა გასინჯა და ვერავითარი სნეულება ვერ ჰპოვა, მაშინ მთავრობამაც გული აიყირა მასზე. როდესაც რამდენმამე თვემ გაიარა, და წინანდელი ნიჭიერი მოსწავლე უკანასკნელ შეგირდად გარდიქცა, მაშინ კი განათლებულმა და მსწავლულმა უფროსებმა ბრძნულად დაადგინეს და მეცნიერულად დაამტკიცეს ის კეშ-შარიტება, რომ უკულტურო აზიელს, მართალია, ცოტას ხნობით შეუძლიან ნიჭისა და ჭიკუა-ბონების. გამოჩენა, მაგრამ ეს ნიჭი და ჭიკუა-გონება მეცადანობას დიდ ხანს ვერ აიტანს, მალე იღლება, იქანცებაო. თუმცა ესეთი განაჩენი, მის დამადგენელთა აზრით, მტკიცე საფუძველზე იყო დამყარებული, მაგრამ ხანდისხან, მათსავე თვალში, ძირიან-ფესვიანად ირყეოდა, დაშლა-დაფუტკვნასა ლამობდა იგი. ორ-სამ თვეში ერთხელ გედევანი უცებ გამოერკვეოდა ხოლმე ფიქრებიდან, ამაყადილებდა თავს მაღლა, ძველებურად აფრინდებოდა წიგნებს და

მისი ნიჭიერება კვალად შლილა ფრთხებს, კვალად მიპქროდა წინ. გაოცებული მასწავლებელნი უაზროდ შლილნენ ხელებს, იკრავდნენ წარბებს, ფიქრობდნენ და ვერაფრით ვერ აეხსნათ ეს „სასწაული“. მაგრამ ესეთი გამოფხიზლება გედევანის კუუა-გონებისა გასტანდა ხოლმე მხოლოდ რამდენსამე დღესა. შემ-დეგ ხელა ახლა უბრუნდებოდა ოცნებათა სამთავროს, სადაც სახელმწიფო ტახტზე მზესავითა ბწყინავდა მშვენიერი ღმერთი პოეზიისა, ლვთაება სიყვარულისა. ასე მიღიოდა გედევანის საქ-მე მაისის გასვლამდე.

## \*\*\*

დასრულდა სასწაული წელიწადი. გედევანი იმავე კლას-ში იქმნა დატოვებული, მაგრამ ეს გარემოება მას აინუნშიაც არ ჩაუგდია! იგი ამ დროს მხოლოდ ერთი აზრით, ერთი ნა-ცვრით იყო გამსჭვალული. მას უნდოდა, ენატრებოდა თავისი ძვირფასი, საყვარელი, სათაყვანო სულიკოს ნახვა. სამი, სამი დღე კიდევ და მერმე ეს ნატვრაც აუსრულდება გედევანსა. მაგრამ, სამი დღე, ღმერთო ჩემთ, როდის მოედება ბოლო ამ სამ დღესა? ნალვლიანად ფიქრობდა არჩილი. მას ეს სამი დღე სამ საუკუნედ ეჩვენებოდა. და აპა, გარემოებათა მსელელობამ თითქო შეიბრალა იგი... ერთ დღეს, ჯერ ისევ დილის თერთმე-ტი საათი იქნებოდა, როდესაც სასწაულებლის მოსამსახურებ-გადასცა მას დეპეშა, რომლითაც ატყობინებდნენ მამის ავალ-მყოფობას და სთხოვდნენ რაც შეიძლება მალე მისვლასა. იმავე დღეს გედევანი ასოფელში დაიბადა. კარგა ხშირ ბინდი იყო, როდესაც იავის სახლ-კარს მიადგა. ეზოს კარებში მას დახვდა ცოტა გამხდარი, ფერ-მკრთალი, მაგრამ დიდად გალამაზებული სულიკო. აქამომდე გედევანს ხშირად აგონდებოდი ავადმყოფი გამა. სულიკოს დანახვაზე კი ყველანი და ყველაფერი მიავიწყდა. ჯერ ისევ მომავალი ეტლიდან მარდად გადმოფრინდა და მარ-ტო მყოფ სულიკოს ტუჩებს დაეკრო და დაეწება. ასე იდგნენ იგინი დიდ ხანს სულ განაბულნო, სუნთქვა შეხუთულნი. შემ-

დეგ, როცა ერთმანეთს მოშორდნენ, თვალ-ცრემლიანმა გედე-  
ჭანმა ნეტარებით შეხედა ბედნიერებით გატკრციალებულს, სი-  
კეკლუცის ღვთაებად გამოპრწყინვებულ სულიკოს და აღტა-  
ცებით წარმოსთქვა:

— ოხ, რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ჩემი სული და გუ-  
ლი, გრძნობა და აზრი, მთელი ჩემი სიცოცხლეც შენს მშვე-  
ნიერს სხეულში იდგეს, რომ ჩვენ ორნი ერთ არსებად ვიყვეთ  
გადაქცეული!

— ეგრეც იქნება, გენაცვალე, ეგრეც, ჩემო ბედნიერებავ,  
ჩემო იმედო, ჩემო სასოებავ! — შესძახა სულიკოშ და აღზე-  
ბულის მხურვალებით კვალად ჩაეკრო და ჩაეკონა გულში. ამ  
დროს მათ შემოესმათ ფეხის ხმაურობა, ფიცხლავ განშორდნენ  
ერთმანეთს, მხოლოდ ახლა მოაგონდათ მოხუცი ავადმყოფი.  
გედევანი შევარდა სახლში. პალტო და ქუდი ტახტზე მიჰყარა  
და გაპქანდა მამის ოთახისაკენ. ფთხილად შეაღო კარები და  
შეეიდა შიგნით. პირველად მან დაინახა ოლარ ჩამოგდებული  
მღვდელი, რომელსაც პატარა კოეზით წმიდა საიდუმლო ეჭი-  
რა ხელში. მღვდლის წინ, მაღალ განიერ ტახტზე მან შენიშნა  
ლოგინში მწოლარე, ბალიშებზე მისვენებული, გამხდარ-გაყვით-  
ლებული მოხუცი, რომელიც ისე იყო გამოცვლილი, რომ კაი  
ხანს სრულიად ვერ იცნო იგი. მოხუცს, როგორცა სჩანდა,  
თვალები კარებისაკენ ეჭირა. დაინახა თუ არა შვილი, სახე  
გაუბრწყინდა, თავი მაღლა აიღო და ხელით ანიშნა — მოიცა-  
დეო. მოწიწებით მიიღო საიდუმლო. შემდეგ დაუძახა შვილს  
და რამდენჯერმე აკოცა შუბლზედა. როცა ცოტა შეისვენა,  
თავი გადმოიღო შვილისაკენ და დაბალი, სუსტი ხმით წარ-  
მოსთქვა. ა

— ვმაღლობ ჩემს გამჩენს მეუფეს, რომ შენი უნახავი არ  
შომკლა! — შემდეგ მღვდელს ანიშნა, რომ გასულიყო გარედ.  
ოთახში მხოლოდ მამა-შვილი დარჩა. კაი ხანს გარეშემო სა-  
მარისებური სიჩუმე იყო დამყარებული. მაკრამ, ესე თხუთმე-  
ტიოდ წამის შემდეგ უცებ გაისმა მთელ სასახლეშა შემაძრწუ-

ნებელი ლრიალი. მაშინათვე მღვდელი, ექიმი, თინათინი, სულიკო შეცვინდნენ ავალმყოფის ოთახში. ტახტის წინ, იატაკზე მათ დიინახეს გულ-შეწუხებული გედევანი, ხოლო ტახტზე უგუნურად თეალებ-დაჭყეტილი, მთლად გადარეული სულთმბრძოლი მოხუცი. გედევანს დასტაცეს ხელი, გამოიტაცეს მეორე ოთახში და სიჩქარით უწყეს მოსულიერება. გულშეწუხებული მალე მოეიდა გრძნობაზე. დაუბრუნდა თუ არა მოაზრება, გედევანი წამოვარდა ფეხზე, ტორტმან-ბარბაცით შევარდა მამის ოთახში და, უკვე მიბინარებულ მომაკვდაეს, დაეცა გულზედა.

— მამა, მამა, შენი ჭირიმე, ერთი კიდევ გამაგონე: მართალია, რაც მითხარი, თუ არა?

მომაკვდაემა თვეალები გაახილა, ჯერ ხატს მიაპყრო იგინი, მერმე შვილსა და ყველას გასჩგონრად, ცხადად და მკაფიოდ წარმოსთქვა:

— მართალია!...—და დალია სული.

გედევანმა ორთავ ხელები ლონივრად შემოიკრა თავში და, აცახუახებულის ხმით, დაიძახა:

— სულიკო!..

— რა გინდა? შენ თავს შემოგევლოს სულიკო!. აქა ვარ, აქა, შენ სახელს ვეთაყვანე, გედევან!.—სულიკო მივარდა გედევანს და, თავდაეიწყებული, მხურვალედ უპირობდა. მოხვევნას, მაგრამ მთლად გაყვითლებულმა, სახე შეშლილმა გედევანმა ხელი ჰკრა, თავიდან მოიშორა და უთხრა:

— შორს, შორს ჩემგან სულიკო!.. რაც ვცოდეთ, ისიცა კმარა!. ახლა შენ კი არ მინდიხარ, დანა მინდა, ხანჯალი, რევოლვერი, სიკედილი მინდა, სიკედილი!!

— მოშორდით ყველანი...—დაიძახა ექიმმა. მერმე მივიდა გედევანთან, ხელი. წააელო ჭა ნელნელა გაიყვანა განაპირა ოთახში. სულიკო მისდევდა უკან, გიუივით ურბენდა გარეშემო, ლამაზ თმებს გამწარებით იბდლვნიდა და გულამოსკენით ქვითინებდა.

იტირე, იტირე, ჩემო საბრალოვ!. ამიერიდან დასრულდა  
შენი სიცოცხლის ვარდბულბულიანი გაზაფხული!. ულმობელ-  
მა გარემოებამ მტვრად აქცია შენი წინიდათა წშიდა!.. ყელი  
გამოსჭრა შენს ღვთაებას!. დედამიწის ზურგიდან აღვავა შენი  
ბელნიერება!.. შენისთანა უბადრუქს ამ ქვეყანად სხვა რაღა  
დარჩენია, თუ არ ტირილი და თავში ცემა!... ოხ, მუხთალო,  
უსამართლო წერისოფელო!. წყეული იყვეს, წყეული შენი  
ბოროტი დაუდგრომლობა, შენი ცბიერი, უსწორ-მასწორო,  
წალმა-უკულმა ტრიალი!!...

## xxiv

მეორე დღეს, დილა ადრიან, მოიჭრა ქალაქიდან ჩვენი  
ძველი ნაცნობი, მიხეილ ბაადურიჩი. ამან ჯერ მაღალის ხმით  
გამოიტირა განსვენებული თონიკე და შემდეგ, ვითომდა მე-  
ტის მეტად შეწუხებულმა გედევანის მდგომარეობით, გასწია  
ავადმყოფის ოთახისაკენ. აქ დახვდნენ ექიმი, სულიკო, მოხუცი  
გამდელი. და ლოგინში უვრძნობელად მწოლიარე ახალგაზდა  
მემკვიდრე გარდაცვალებულის თავადისა. ექიმმა აუხსნა მჯაფ-  
ნაშვილს გედევანის ავადმყოფობა, რომელსაც უწოდა სახე-  
ლად ტვინის ანთება. წინააღმდეგ ექიმთა ჩვეულებისა, გაა-  
ბა ლაპარაკი მოხსენებულ ავადმყოფობაზე, ილაპარაკა, ილა-  
პარაკა, იმდენ ხანს, სინამ თითონაც არ დაიღალა და თა-  
ვის მომომინო მსმენელთაც თავი არ მოაბეჭრა: ბოლოს  
დაუმატა, რომ თუმცა ავადმყოფი დიდს განსაცდელშია, მაგ-  
რამ—ერთის მხრივ—ახალგაზდა ბუნებისა, მეორეს მხრივ—  
მოვლისა და წამლობის იმედი მაქვს, რომ განსაცდელიდან იგი  
უვნებელ გამოვაო. ყველა ეს ჩვენმა მიხეილმა ყურადღებით მო-  
ისმინა, მძიმე თავის დაკვრით მაღლობა განუცხადა ექიმს მო-  
ვალეობის კეთილ-სინდისიერად შესრულებისათვის და სთხოეა,  
რომ არ დაეზოგა მას არავითარ ღონისძიება, ეხმარა ყოველი  
საშუალება, რათა ძვირფასი ავადმყოფი მალე ფეხზე დაეყენე-  
ბინა. შემდეგ დაკვირვებით მიესალმა მწუხარებისაგან სახე შე-

შლილ სულიკოს. საწყალმა ამ ექამად კი ფერარ შესძლოთ თავისი გრძნობის დამალვა!.. ორივ ხელები გაუშეირა მიხეილს და ცრემლით შესთხოვა მორჩენა გედვეანისა. აქამომდე თუ რაიმე ეჭვი ჰქონდა ამ ყმაწვილი ქალ ვაერის ურთიერთ გრძნობის შესახებ, ახლა, როცა ასე მჭევრმეტყველურად გამოიხატა ეს გრძნობა, მეუნა შევილმა ყველაფერი ცხადად დაინახა. გულში რამდენჯერმე გაბრაზებით შეუკურთხა საზოგადოდ ყველა თავადებს, ხოლო ენით კი მშვიდობიანად წარმოსთქვა შემდეგი:

— კარგად მესმის ჩემი მოვალეობა და ყოველის ღონისძიებით ვეცუდები, რომ მას არ ეულალატო. დაგარწმუნებთ, რომ აეადმყოფს არა დაუშავდება-რა.

ამის შემდეგ მეორე ოთახში გაიხმო მოხუცი თინათინი და მასთან დიდ-ხანს ითათბირა თონიკეს დასაფლავების შესახებ. დაიპარა მოურავი, გასცა საჭირო ბძანებანი შესახებ დიდის სანოვაგის დამზადებისა; დაათვალიერა მარანი, სავსე საუცხოვო ძეველი ლეინონებითა; გაგზავნა აქეთ-იქით ბიჭები სხვა და სხვა გვარის მინდობილებითა, ხოლო თითონ იმავე დღეს გაეჩარა ქალაჭისაკენ. აქედან გაგზავნა რამდენიმე დეპტა, რომელთა შორის ერთი უფრო მეტის მეტადინეობით შეადგინა. ეს იყო ტელეგრამა თონიკეს დის, კნეინა რუსულანის, სახელმობაზე. შემდეგ შვილისა მოხსენებული კნეინა ბძანდებოდა ყველაზე დაახლოვებული ნათესავი თავადი თონიკესი. იგი იყო გათხოვილი საქართველოს ერთ განაპირო მხარეში. მეულლე მისი, თავადი ზურაბი, სამსახურიდან გამოსული გვარდის პოლკოვნიკი ბძანდებოდა. დიდი შეძლება, ლამაზი შეხედულობა, მხიარული ხასიათი და თვით სამსახურიც ნებას აძლევდნენ ახალგაზდა აფიცერს, რომ უდარდელად ეტარებინა შესაფერი სასიამოვნო ცხოვრება. ყველამ კარგად იცის ამ ცხოვრების დედა-აზრი! სიცოცხლე ხანგრძლივი არ არის!.. რამდენადაც კი შეიძლო, დაეწაფე წუთისოფლის სიტკბოებასაო!.. ამბობს იგი. და ჩვენი უდარდელი რაინდი ერთ-გულად ასრულებდა ამ მოძღვრების მცნებათა. იგი იყო ყოველი ლხინისა და დროს

გატარების თაიგული. სადაც კი სუფრა გაიშლებოდა, იქ აუცილებლად ტოლუბაშობდა თავადი ზურაბი. თავის ჩინობაზე იგი უველავრით შემკული იყო, მხოლოდ საუბედუროდ, ერთი რამ ნაკლულევანება ჰქონდა: ბახუსის ერთგულებით სახელ განთქმული თავადი, სამსახურში ვერ იჩენდა ერთგულებასა. ამის გამო ოც და ათ წელიწილზე მეტი გაატარა სამსახურში და მაინც პოლპოლკოვნიკობაზე ზევით ვეღარ აიწია. ორმოც და ათ წლამდე იყადა და როცა ამ წლოვანებისა შესრულდა, გამოვიდი სამსახურიდან, შეირთო სილამაზით განთქმულა, დროს შესაფერად განათლებული რუსუდანი და სამუდამოდ დაემკეიდრა მამა-პაპეულ ადგილ-მამულში. წარსული ცხოვრებით დაღლილ-დაქანცული, იგი ადვილად დაემორჩილა მშვიდი და წყნარი მეუღლის გაელენას. იქეთ-იქით სიარულს, ფულის უხეიროდ ფლანგვას, მშვენიერ სქესთან ფრენა-ლხენას თავი დაანება, ერთი ნაწილი მამულისა გაყიდა, ეს ფული მეუღლის მზითევს დაუმატა და მით ძლიერდლიობისას გაინთავისუფლა მუდამ მოვალეების ბჭყალებში მყოფი თავი. დანარჩენი მამულის შემოსავლით და თავისი პენსიით იწყო არა მდიდრაჯული, მაგრამ მყუდრო და ლაზაგიანი ცხოვრება. საქმე ისე კარგად წაიყვანა, რომ ბეჭნიერ კაცად ჩარაცხდა თავის თავს, ერთი წყეულა გარემოება რომ არ აპკვიატებოდა. ეს გახლდათ უშვილობა, რომელიც ცოლსაცა და ქმარსაც ძრიელ აწუხებდა. ბევრ ნაირი საშუალებანი სკადეს; ექიმებსაც მრავალჯერ მიმართეს, ერთ წელიწადს სამზღვარ გარედაც ბძანდებოდნენ, მაგრამ მოხსენებულ გარემოებასთან მაინც ვერა გააწყეს-რა. რუსუდანმა იცოდა ქრისტიანი წარსული ცხოვრება და ამის გამო უშვილობის მიზეზად მხოლოდ მას რაცხდა. დიდის სიფთხილით და საიდუმლოებით იგი მთელი ოთხი წლის განმავლობაში ბეჯითად სცდიდა ამ დასკვნის სიმართლეს, მაგრამ ბოლოს მწუხარებით დაინახა მისი სრული უსაფუძვლობა. ამის შემდეგ კნეინამ მიმართა ლოცვა-ვეღრებას, მონასტრებსა და სალოცავებში სიარულს. საუბედუროდ, აქედანაც ხელ-ცარიელი დარჩა. რაკი სხვა საშუალებაზი ვეღარა გამოსძებნა-რა, იძუ-

ლებული გახდა — დამორჩილებოდა თავის უწყილო ბედსა. ამა-  
სობაში გავიდა დრო და უამი! მეუღლე უდროვოდ მოუხუცდა,  
დასნეულ და სასიამოვნო ზურაბს ამ უამად კაცი  
ვეღარ იცნობდა. წყეულმა ავადმყოფობამ, გამუდმებულმა ლო-  
გინში წოლამ სრულიად შეუცვალა არა მხოლოდ გარეგანი  
შეხედულობა, არამედ თან მიაყოლა მისი ხასიათიცა. დილიდან  
სალამომდისინ მის თთახში ისმოდა მხოლოდ ერთი უსიამოვნო  
ბუზლუნი და ხანდისხან ამ ბუზლუნს ამაზედ უფრო უსიამოვ-  
ნო ლანძლეაუგინებაც მისდევდა. რაც უნდა მტკიცედ აგესრუ-  
ლებინათ მისი სურვილი, ის მაინც იპოვიდა რაიმე მიზეზს და  
სულ უბრალო რამეზე ასტეხდა ერთ უშველებელ, დაუსრუ-  
ლებელ აურზაურსა. გაანჩხლებული, გაბოროტებული ქმარი  
ბშვიდსა და ჭკვიან ცოლსაც არ აყრიდა ხეირსა. ხშირად გა-  
მოიგონებდა ხოლმე რაიმე სულელურ ამბავს, თავის უდანაშა-  
ულო მეუღლეს ჩაურევდა იმ ამბავში და შემდეგ ბალლიერი  
მოჰყვებოდა ტირილს, წუწუნს, ორ-სამ დღეობით ებუტებოდა  
ცოლსა, ხმას არა სცემდა. როცა ამ უნძრახობას ათავებდა,  
მერმე სხვა-და-სხვა ცილის-წამებას მიჰყოფდა ხოლმე ხელსა და  
უშვერი საყვედურებით ახრჩობდა საწყალ მეუღლეს. ყოველ ამ  
სიკეთეს ბოლო უამს ეჭვიანობაც დაემატა. ტვინ-შერყეული  
მოხუცის აზრით, არა მხოლოდ სტუმრები, არამედ მოსამსახუ-  
რენიც კი სარგებლობდნენ მისი კნეინის სარეცელითა, მომე-  
ტებულად აითვალწუნა ერთი ლაშაზი ხელზედ მოსამსახურე იმე-  
რელი... აითვალ წუნა და სინამ არ გააგდო, მოსვენებას არავის არ  
აძლევდა. საკვირველია, ყველა ეს შედეგი იყო ხანგრძლივის სნე-  
ულობისა, მაგრამ თვით ეს შედეგიც უმნიშვნელოდ როდი წყდე-  
ბოდა... ტრიალდებოდა ხშირად უკანა და თავის მიზეზზედ აზდენ-  
და გავლენას, მის ძალასა და ბოროტებას აორკეცებდა. ამის გა-  
მო უბედური ზურაბი მალე სრულიად დაუშლურდა და ერთ ლა-  
შეს თავის საბედნიეროდ და მის გარეშემო მყოფთა სასიამოვ-  
ნოდ გამოეთხოვა იმ წუთისოფელს, რომელიც, პოეტისა არ  
იყვეს, „არვის დაინდობს, არვის გაიტანს; უდროვოდ ალხენს,  
უდროვოდ აწყენს, კაცს აბურთავებს, ჭად არ გაიტანს“. თავა-

დი ზურაბი გამოეთხოვა წუთისოფელს, მაგრამ ამ წუთისოფელის ჰოგიერთა რამ საქმეები კი წესიერად დასტოვა. აღმოჩნდა კანონიერად შედეგენილი ანდერძი, რომლითაც მთელი მოძრავი ქონება განსვენებულისა რჩებოდა კნეინა რუსულანს. ანდერძთან აღმოჩნდა აგრეთვე იმავე რუსულანის სახელობაზე სამი ათასი თურმის თამასუქი, რომლის შემწეობით განსვენებულის უძრავი ქონებაც ქვრივმა კნეინამ დაინარჩუნა. რუსულანი ამ დროს ორმოც წელს გადაცილებული იყო... უკანასკნელმა წელიწადმა მასზე საშინელი ვავლენა მოახდინა: ბუნებით მაგარი აგებულების ქალი უდროვოდ გასტეხა, თმაში ჭალარა გამოურია, ლამაზი სახის კანი. ათასნაირად დაუნაოჭა, თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ დაქვრივების შემდეგ მაინც პლომად აღმოჩნდნენ მისთვის „გაგიებული უენიხები“. ჭკვიანმა რუსულანმა ყველა ესენი ზდილობიანად მოიშორა თავიდან, დარჩა ქვრივად და სიამოვნებით მიეცა თავისუფალ, ნებრერ ცხოვრებასა.

## \*\*\*

კნეინა რუსულანს რკინის გზის სადგურზე დახვდა მიხეილ მეურნაშვილი. ენა მოქარებული მიხეილ რამდენიმე ფარისევლური სიტყვით და თავდაბლური მორჩილებით მიესალმა მწუხარე კნეინას. დამზადებული ეტლი მიართვა მას და მაშინათვე გამოაქანა სოფლისაკენ. გზაზედ მიხეილმა ცხადად დაინახა, რომ კეთილი შთაბეჭდილება მოახდინა ხნიერ მანდილოსანზე. ხოლო ეს კეთილი შთაბეჭდილება ერთი-ორად გაძლიერდა, როდესაც მათმა ბწყინვალებამ თავისი თვალით იხილა სამგლოვიაროდ დამზადებული დარბაზი, რომელშიც იდგა ძვირფასი კუბო, მოფენილი ათასნაირი ყვავილებითა; აგრეთვე როდესაც მიიხედ-მოიხედა და გამოცდილის თვალით ყველგან შენიშნა საკვირ-ეგლი წეს-რიგი და შესაფერი მზადება განსვენებულის ბრწყინ-ვალედ დასაფლავებისათვის. კნეინამ მაშინათვე ჭკვიან კაცად აღიარა მეურნაშვილი და ოჯახის ურთვეულ მეგობრად სცნო

იგი. პირველ გამოტირების შემდეგ ესეთი თავისი აზრი რუსულანშა სიტყვითაც გამოსთქვა: აქმ მიხეილის ყველა განკარგულება და გულწრფელი მაღლობა გამოუცხადა მას. გამოცდილმა მეუზნაშვილმა ისარგებლა ამ წამით და მოახსენა კნეინას:

— თქვენო ბწყინვალებავ! ვიდრე თქვენ აქ არა ბძანდებოდით, უბედურმა შემთხვევამ ამ ღირსეულ ოჯახში პირველობა მარგუნა! მე ვახლენდი განკარგულებას, ვაძლევდი ბძანებას. ამ უამაღ კი თქვენა ბძანდებით უფროსი ამ სახლისა. რაცა გნებამ, ბძანე და მე უმორჩილესად ავასრულებ ყოველ თქვენს ბძანებასა!. მოახდინეთ განკარგულება და იგი იმავე წამს იქნება აღსრულებაში მოყვანილი.

— არა, ჩემო კარგო, — უპასუხა პატივისცემით კნეინამ, — სიამოენებით ვხედავ თქვენს გონიერებას, თქვენს ერთგულებას და ამიტომ ამ უამაღაც ისევ თქვენ უნდა დარჩეთ უფროსად თქვენგან დაწყობილი საქმეებისა. როცა ჩემი გედევანი კარგად გამიხდება, მაშინაც თქვენ უნდა იყვეთ მისი ხელმძღვანელი რამდენსამე წელსა. — ამის შემდეგ მიხეილი მეორე ოთახში გაიყვანა და დაბალის ხმით უთხრა:

— თუმცა ეხლა დრო არ არის ამ საგანზე ლაპარაკისა, მაგრამ; სინამ შემდეგ დავუბრუნდებოდეთ მას, შინდა ცოტა რამ ეხლავე გავიგო. მითხარით, გულგახსნით მითხარით ყველაფერი: ვინ არის ის ლამაზი ყმაწვილი ქალი, რომელიც ჩემი ძმისწულის ოთახშია და ისე ერთგულად უვლის ავადმყოფსა?

— ეგა, ბატონო, ერთი ობოლი გლეხის ქალი ვახლავთ. განსვენებულს თქვენს ძმას შებრალებოდა და მოიყვანა აქა. „სამიოდ-ოთხი წელიწადი ჩემთან ვაყყოფებ და მერმე მე თითონ გავათხოვებო...“ იტყოდა ხოლმე თავადი თონიკე.

— რამდენი ხანია, რაც ეგ ქალი აქ არის?

— ეს მეორე წელიწადი სრულდება!

— განა მავნებელი არ არის მაგისთანა ლამაზი გოგოს დარჩენა. ჩემ ძმისწულობანა?

— დიდად მოხარული ვარ, კნეინა, რომ ამ საგანზედაც ჩვენ ერთი და იმავე აზრისა ვყოფილვართ. განსვენებულს რამდენჯერმე მოვახსენე რამდენიდ მანებელია ახალვაზდა ქალვაუის დაახლოვება, მაგრამ ის ყურიდლებასაც არ აქცევდა ჩემ სიტყვებს, და მეც იძულებული გავხდი — გაეჩუმებულიყავ.

— ჩემი უბედური ძმის პატივისცემით მე მაგ ქალს ამ ოჯახიდან არ დავითხოვ, მხოლოდ გელევანს კი უთუოდ უნდა მოვაშვილოთ. ეხლა კმარა ამაზედ ლაპარაკი... ვიფიქროთ კი-დევ, და ხვალ თუ ზეგ ასე, თუ ისე გადავწყვიტოთ. დღეს კი ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ გარდაცვალებული ისე დავასაფლავოთ, როგორც შეჭვერის მის გვარიშვილობას. — მეუნაშვილმა ნიშნად თანხმობისა და მორჩილებისა მძიმედ დაუკრა თავი და გამობრუნდა უკან. საჭირო იყო ყველგან მის ყოფნა. ყოველის მხრიდან აუარებელი სტუმარი მოაწყდა თონიკეს ოჯახს. მობრძანდა ღრმად მოხუცებული ეპისკოპოზი მრავალი სამღვდელოებით; მოვიდნენ გუბერნიისა და ორი ხამი მაზრის კეთილშობილთა წინამდლვარნიც, რომელთაც დიდალი თავად-აზნაურობა მოჰყვა. მთისა და ბარის მცხოვრებნი, დროებით ვალდებულნი გლეხნი თონიკესი ჭიანჭველასავით ირეოდნენ მთელ სოფელში. დაიკლა ორას სულამდე წვრილი და სხვილი საქონელი. მარტო თევზეულობა სამოცი თუმნისა იქმნა ბაზრიდან მოტანილი. დაინთქა და დაილია ას კოკამდე ლვინო. დიდის ამბით და ყოფით გამოასვენეს გარდაცვალებული და უთვალავი ხალხის ფანადასწრებით. შეასვენეს იგი ბაგრატ დიდის დროს აშენებულ, დროთა პრუნვისაგან. დაძაბუნებულ, დიდებულ ტაძარში, სადაც იყო დამზადებული საუკუნე სავანე განსვენებულისათვის. წირვასა და პანაშვიდზე რამდენიმე სიტყვა იქმნა წარმოთქმული. მეადაგებელთ ქება-დიდებით მოიხსენიეს განსვენებულის თეთრი პური, წითელი ღვინო, სტუმართ მოყვარეობა, მისი მოხდენილი ახოვანება, ვაუკაცური შეხედულობა, რომლის გამო იგი შეადარეს ვახტანგ-გორგასლანს და დავით აღმაშენებელს. არ დასტოვეს უყურადღებოდ მისი ღაზათიანი ქართული ჩაცმა-დახურვა, მისი მოს-

წრებული, მახვილი სიტყვა-პასუხი... ერთის სიტყვით, მოხსნეს შევერმეტყველების გუდას პირი და, რა გინდა სულო და გულო, რომ იქიდან არ ამოყაჭეს?. ბოლოს, პანაშვილის დასასრულ, ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზმაც წარმოსთქვა მოკლე, მაგრამ დიდად საყურადღებო სიტყვა, რომელიც მომყაფს აქ თავით ბოლომდე. მათმა მეუფებამ პირველად აიღო თავი მალლა და იწყო თვალიერება ტაძრისა; შემდეგ ხელი გაიშვირა ეკკლესიის გუმბათისაკენ და ხმა-მაღლა დაიძახა: —აის რა ამ-ბაეგი?. რა მოსვლია ამ მშვენიერ გუმბათს?. —მთელში საზოგადოებამ აიხედა მაღლა, ორაოდ წუთის შემდეგ გაისმა რაჭ-დენიმე ხმა: —წვეთი ჩამოსულა!. დიახ, —დაიძახა მოხუცმა მღვ-დელ-მთავარმა, —სწორედ, წვეთი ჩამოსულა და გაუჟხებებია ძვირფასის ხელოვნებით შემკული გუმბათი. ავერ, მარკენივ თაღშიაც ჩამოსულა წვეთი, ჩამოურეცხავს მთელი კედელი და თან ჩამოუტანია საუკეთეო ძველი მხატვრობანი, წაუშლია წმიდა მამათა სახენი. აჲა, დიდებული ხატი ცისა და ქვეყნის შემოქმედისა!. შეხედეთ —რა ყოფაშია! აქაც წვამა ჩამოსულა და ჩამოუნგრევია ზემოთა პირი კედლისა. ახლა, ამ რდესმე მშვენიერ კანკელსაც მიაქციეთ. თქვენი ყურადღება, რანაირ დაძველებულა, გაფუჭებულა ყველაფერი. მთელი ტაძარი შიგნით, თუ გარედან უზრუნველობას, უპატრიონობას ნაოხრად გარდაუქცევია. ახლა მიბანეთ: ვინ არის დამნაშავე ყოველ-სავე ამაში?. შენ, შენა ხარ უმთავრესად, განსვენებულო თავა-დო თონიკე!. რას აკეთებდი შენ მაშინ, როცა ეს სასიქადუ-ლო ძეგლი დიდებულ წინაპართა ამ ყოფაში ვარდებოდა?. რა შრომა გაგიწევია, რა ამაგი დაგიდვია ამ ტაძრისათვის, რომ მის წმიდა კედელთა შორის განგიზრახავს დასაფლავება? ვინ-მე, მუქთა ხორა, რომ შემოსულიყო შენის სასახლის რომელ-სამე ოთახში და მოენდომებინა სამუდამოდ იქ დარჩენა, რას ეტყოდი მას, განსვენებულო?. ეჭვი არ უნდა, განრისხდებოდა თქვენი ბწყინვალება და ბატონ-კაცური ფეხების ბრახუნით გამოაგდებდა კარზე იმ თავხედ ვაჟპატონს. ხოლო შენ რო-მელი უფლების ძალით შემოსულხარ შრავალ ტანჯულ მეფი-

საგან აგებულ ღვთის ტაძარში და გნებავს საუკუნოდ მოკა-  
ლათება ჰასში?. მიბძანე, ერთი: რა გაქვს შენ შენის მეცადი-  
ნეობით, გამჭრიახობით შეძენილი?. — არაფერი! ყოველივე, რაც  
კი გაქვს ღვთისა და ხელმწიფის წყალობას ღმერთმა მოკუ-  
სარჩო, ხელმწიფემ გაგიმრავლა დოვლათი. ხოლო შენ ვის  
აძლევდი შემწეობას? ნუგე შს!.. ვის უწევდი წყალობას?.. საზო-  
გადო და საქვეყნო საქმეზე რა დაგიხარჯავს? დარწმუნებული  
ვარ, სულიც რომ გედგას; ამ კითხების პასუხად სიტყვასაც  
ვერ მოახერხებდი, კრინტსაც ვერ დასძრამდი! ისევე გაიკმენდ-  
დი ხმას, როგორც ეხლა ხარ, უბადრუკო, ენა ჩავარდნილი.  
მაგრამ აქ, ზეციერ სამსჯავროში, ეკ სიჩუმე ველარაფრად გა-  
მოგაღება! საცოდაჲო, უსულ-დგმულო მთვარისაგან მაინც მი-  
იღებდი მაგალითსა! მთვარე მზისაგან იღებს სინათლეს, ხოლო  
ამ სინათლეს იგი მარტო თავისთვის როდი ინახავს: ღამლამო-  
ბით ჩვენს დედა-მიწასაც უგზავნის იგი ნათელსა; ღამსა და  
ჭარარას, ღარიბსა და მდიდარს ერთ-გვარად უშუქებს და უტ-  
კბობს სიცოცხლესა. შენ?.. შენ მხოლოდ შენს თავს ასიამო-  
ვნებდი: სჭამდი, სვამდი, აფუფუნებდი იმ სხეულს, რომელიც  
დღეს ასე გახრწნილა, აყროლებულა და დღესვე სამარის ჭიისა  
და მატლის მსხვერპლი შეიქმნება. ახლა, მიბძანეთ ერთი: ამ  
გახრწნილი გვამის პატივსაცემელად რამდენი თუმანი ფული  
დაიხარჯება დღეს?.. როგორც გავიგონე, დღევანდელი ხარჯი  
ათას-თუმანს აღმატებაო. ღმერთო ჩემო!.. ათასი თუმანი აყრო-  
ლებული გვამის გასაპატიოსნებლად? რა უბედურებაა ჩვენს  
თავსა?! ეკლესიას, სამშობლო ქვეყანას, ქვრივ-ობოლთ, ჩვენს  
ესოდენ სიღარიბეს და გაჭირვებას რაღამდენი თუმანი უნდერ-  
და განსეენებულმა? ამაზედ არაფერი არა ისმის-რა და ღარ-  
წმუნებულიც ვარ, რომ არაფერიც არ იქნება. ყველა მაში  
მარტო გარდაცვალებულს როდი ვამტყუნებ. აქ დიდად დამ-  
ნაშავეა ის სასულიერო წოდებაც, რომელიც ამ გვარ სულიერ  
შეიღებსა ზდის; ხოლო ყველაზედ უფრო მეტად დამნაშავე  
ვარ მე ცოდვილი და უბადრუკი მონა ღვთისა. სჩანს მეც დი-  
დად ცოდვილი ვარ, რომ ამ გვარ შვილებს შევესწარ, მათთან

ვცხოვრობ და მათ კი არა ესმით-რა ჩემი. ცოდვილთა შემწყნარებელო ღმერთო, შემინდე ბოროტებანი ჩემნი, აღხოცე უსჯულოება ცხოვრებისა ჩემისა!.. მოჰფინე მადლი შენი ქვეყანასა, შენთვის ჯვარცმულსა! აღადგინე ჩვენს ერში სული მათი, რომელთაც აღაშენეს წმიდა ესე ტაძარი, სული ბაგრატისა, ძისა მისისა გიორგისა და ყოველთა მათთა, რომელნიც გასაოცარის მხნეობით და ვაჟკაცობით ებრძოდნენ უძლეველ მტარეალ, ღვთის რისხვა თემურსა; ხოლო ამ უბედურსაც, განსვენებულ თავადს, თონიკესაც, მიუტევე ყოველივე შეცოდებანი მისნი და დაამკვიდრე სული მისი წიაღსა შინა აბრაძმისასა. ამინ.

გათავდა სიტყვა, გაჩუმდა ყოველად-სამღვდელო. დიდი გაელენა მოახდინა ამ უბრალო სიტყვამ საზოგადოებაზე. მცირეოდენი შეგნებული ნაწილი საზოგადოებისა აღტაცებული იყო სიტყვის შინაარსით, ხოლო უმრავლესობა აღშთოთდა, ეკლესიაშივე აღრიალდა, მოხუც მქადაგებელს მუქარითა და ლანძღვა-გინებით იხსენიებდა.

— გამოყრუებულა სიბერისაგან ეგ უბედური!.. იძახოდა ერთი.

— მთელს თავად-აზნაურობას შეურაცხება მოგვაყენა... უსათუოდ მარშლებმა უნდა მოსთხოვონ პასუხი, — ყვიროდა მეორე.

— გიქია და ამასთანავე გაუზღელი, ბრიყვი... ან კი რა ზღილობა უნდა მოსთხოვონ მაგას. მამა ჰყავდა გუთნის-დედა, ძმები და სახლის-კაცები დღესაც მელორებად და, მეწისქვილებად უდგანან.—ლრიალებდა მესამე.

კაცების ამ გვარ ალიაქოთს, დედა-კაცებიც კვერს უკრავდნენ: თავიანთი ცნობილი მართებული სიტყვა-პასუხი ამ უაზად გვერდზე მიეგდოთ და კეშმარიტების მღალადებელ უფლის მსახურს უწმაწური სიტყვებით იხსენიებდნენ. ყველა ამათ იმედი ჰქონდათ, რომ კნეინა რუსუდანი ეპისკოპოზის წინააღმდეგ ხშას აღიმაღლებდა, გამზედავ ბერს ენდს მოაკვნეტინებდა, მაგ-

რამ ეს მოლოდინი უსაფუძველო გამოდგა; კნეინა რუსულანი, არა თუ სიტყვით არა უთქვამს-რა მქადაგებლის წინააღმდეგ, სახეზედაც კი არა გამოუხატავს-რა ამ გვარი. მხოლოდ საღილო უკან, როცა ხალხი დაშლას პირობით, მეაუნაშეილი გაიხმო ცალკე ოთახში და წყნარად ჰკითხა:

— ეპისკოპოზისთვის რამდენი გაქვს გადადებული?

— ოცი თუმანი მქონდა, მაგრამ ქხლა ბევრი მირჩევს, რომ ოცი მანეთის მეტი არ მოეცე.

— ყურს ნუ უგდებ იმათ! ოც თუმანს ოციც დაუმატე და ორმიტკი თუმანი მიართვი. მშიერს მაშინ გააჩუმებ, როცა მაძლრისად მისცეშ საჭმელსა.

მოხუცმა მღვდელ-მთავარმა ლოცვა-კურთხევით მიიღო ორმოცი თუმანი, იქვე საზოგადოების წინაშე გაპყო ოთხ ნაწილად და ბავშურის გულწრფელობით იწყო: ეს ათი თუმანი წმიდა გიორგი მთაწმიდელს; ეს მეორე ათი თუმანი ქართულ გალობას; მესამე ათი თუმანი წმიდა ნინოს სამრევლო სკოლას; ხოლო უკანასკნელი ათი თუმანი ღარიბ სტუდენტებს.

— თქვენა, ყოვლად სამღვდელო, — თქვენ რალა? — დაიძახა ამ დროს ერთმა ყმაწვილმა მღვდელთავანმა.

ეპისკოპოსმა სიბრალით ვადახედა ამას მთქმელს, შემდეგ წარბა შეიკრა და ხმა-მაღლა დაიძახა.

— მღვდელო, მღვდელო, ნუ სცოდავ, მაცდურს ნუ ჰბა-ძავ... განვედ ჩემგან, განვედ, უგუნურო!

### xxvi

თონიერს დასაფლავების შემდეგ სრული თვე დარჩა რუსულანი მამა-პაპეულ ოჯახში. იგი მთელს დღესა და ღამეს ატარებდა გედევანთან. ღვიძლი დედა ვერ მოუვლიდა საკუთარ შვილს ისეთის ერთგულებით, როგორც კნეინა რუსულანი. უვლიდა ავადმყოფ ძმისწულსა. გარდა ნათესაური გრძნობისა, რუსულანს საგვარეულო თავმოყვარეობაც ამოქმედებდა, მისი.

გვარი ერთ დროს უწარჩინებულეს გვარად ითვლებოდა მთლად საქართველოში; ძლიერება მისი ხანდისხან იქამდისინ შიდიოდა, რომ სახელმწიფოში პირველობას ჩემულობდა, აგროვებდა შეიარაღებულ ჯარს და ბევრჯელ ძლევა-მოსილებით ებრძოდა მეფებს. მეცხრამეტე საუკუნის ცვლილებას ეს გვარეულობა აღტაცებით მიეგება. რუს-მთავრობის დამყარებას დიდი ერთგულებას უწევდა, სწორედ ისე, როგორც უწინდელ დროში ხონთქრისა და ყენის ძალმომრეობას ემსახურებოდა ხოლმე. ამის გამო დიდება და გავლენა მისი ამ საუკუნის პირველ ნახევარში არა თუ არ შემცირებულა, არამედ უფრო მეტად ამაღლდა, ამ ქვეყნიური ბრწყინვალებით შეიმოსა. მაგრამ ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ სახელოვან გვარეულობას რაღაც ძლიერი სენი გაუჯდა ძვალსა და რბილში. ბრძოლის ველზედ დაბადებული და ოლორძინებული გვარი, მშვიდობიანი შრომის ასპარეზზედ თვალებ ახვეულ ადამიანს დაემსგავსა. სინამ ორიოდ-სამი მოხუცებული გენერლები ჰყავდა ამ გვარეულობას, თვის ძევლს სახელსა და მნიშვნელობას კიდევ არა ჰყარგავდა; მაგრამ როდესაც ეს გვნერლები ერთი-მეორეს ჩაჰუნდნენ სამარეში, მოხსენებულმა სნეულებამ თავი იჩინა. სამსახურში მყოფნი მისი წევრნი ნელნელა, სხვა-და-სხვა დანაშაულობისათვის, გამოძევებულ იქმნენ. სასწავლებელში მყოფი ახალგაზღვობა ზოგი ზარმაცობისა და უნიჭობისა გამო და ზოგიც აბეზარი, აუტანელი ხასიათისათვის გამორეკეს. დაეცა, დაწვრიმაღლდა როგორც ქონებით, ისე ზნეობით, დაუძლურდა დიდებული გვარი. ამ ბოლოს დროს საქმე იქამდისინ შივიდა, რომ ერთი ამ გვარის წარმომადგენელი რკინის-გზაზე მსახურებს უბრალო კონდუქტორად, ხოლო მეორე დღესაც სატუსალოში ზის ნახირიდან ლორების მოპარვისათვის. ერთად-ერთი ოჯახი, რომელმაც დაიცვა ძევლი სახელი, იყო ოჯახი თონიკესი. რუსულდანი ჰქვიანი, გამოცდილი მანდილოსანი ბძანდებოდა. ამან იცოდა თავის გვარის წარსული დიდება და ენატრებოდა, რომ ამ გვარს არ მოჰკლებოდნენ ლირსეული წარმომადგენელნი. ამ გვარ წარმომა-

დგენლად მომავალში ხედავდა იგი განსვენებული ძმის ერთად-  
ერთ შემკვიდრეს თავის საყვარელ ძმისწულს, რომელიც ამ  
უამაღ შეწუხებული ავადმყოფი იწვა და მის მოვლა-ერთგულე-  
ბას თხოულობდა. კნეინა რუსულანი არ ზოგავდა თავის თავს.  
ნებიერ ცხოვრებას დაჩვეული, იგი დღეს სიამოვნებით ეწეო-  
და მოვლელი დედაკაცის მძიმე უღელსა. ყოველ წამს თავს  
დასტრიალებდა ავადმყოფსა, მაგრამ ამავე დროს სულიკოს  
ქცევას, მის მცირეოდენ მოძრაობასაც კი ერთ წამსაც არა  
სტოვებდა უყურადღებოდ. ზღილობიანი კნეინა პირდაპირ მის  
საწყენს არაფერს ამბობდა, არაფერს არ სჩადიოდა, მაგრამ ყო-  
ველი მოქმედება, თვითონეული სიტყვა მისი ისე იყო მიმარ-  
თული, რომ ყველა ეს ლახვარივითა ჰქონდებოდა სულიკოს და-  
ტანჯულ გულსა. მას ოთახში თითქო სრულიად ეტრავინა ხე-  
დავფა; მისი სიტყვა მუდამ უპასუხოდ რჩებოდა; მისი დახმა-  
რება არავისათვის საჭირო არ იყო. არა თუ ავადმყოფის მოვ-  
ლას, არამედ მასთან ახლო მისვლასაც კი მუდამ რაიმე დაბრ-  
კოლება ელობებოდა წინა. ამ გვარის ქცევით იგი მეორე დღე-  
სვე იძლებული გახადეს — გასცლოდა ამ ძვირფას, ტაძარზე  
უწმინდეს, ოთასს. კნეინას განკარგულებით იგი დააბინავეს სა-  
სახლის მეორე მხარეს, ერთ განაპირა ოთახში. ექიმმა აუკრძა-  
ლა ყველას და მათ შორის სულიკოსაც ავადმყოფთან სი-  
არული. ამ აკრძალვამ მყრის-მეტად შეაწუხა სულიკო. პი-  
რველ ხანებში ისე ძლიერი იყო ეს შეწუხება, რომ მას  
ევონა ჭკუაზე შევიშლებიო. მაგრამ შემდევ ნელ-ნელა და-  
წყნარდა, სასოწარკვეთილების საზარელმა სიმშეიდემ მოი-  
კავა მთელი მისი არსება. გამხდარ-გაყვითლებული ქალი დღე  
და ღამ ერთ ადგილას იჯდა, უაზროდ გაიყურებოდა ფან-  
ჯარაში და თითქმის განუწყვეტლად რაღასაც ბუტბუტებდა.  
მხოლოდ ხანდისხან ოცნება გაიტაცებდა ხოლმე, ხმას იმაღ-  
ლებდა და ამ დროს ისმოდა სევდა-ვარამით სავსე სიტყვები:  
„სწორედ ასე უნდა მომხდარიყო, სწორედ ასე! ვინ მე და ვინ  
ისა? სად ვიღაც ოხერ-ტიელი კალატოზის გომბიო და სად  
დიღი და მდიდარი თავადის შვილი? მე რაც უნდა მომივიღეს,

ოლონდ იმას ნურა აუტყდება-რა! გედევეანს შემოევლოს ჩემი თავი, ჩემი ბედნიერება!“ სულიკო ხშირად მიმართავდა ხოლმე ლოცვა-ეედრებასაც, და ამ დროს ძარღვებ დასუსტებრლი ქალი გულმოსაკლავად ტიროდა და ქვითინებდა. ასე და ამ ყოფაში გაატარა მტერი თვე და ამ დროს განმავლობაში, არც ერთხელ არ უნახავს გედევეანი.

ნაცულად გედევეანისა იგი თითქმის ყოველ დღე ხედავდა მიხეილ მჟავნაშვილს. ეს ვაჟბატონი ხშირად დაიარებოდა ხოლმე სულიკოსთან, შევიდოდა თუ არა მის რთახში, მაშინვე ათას ნაირ საპრშიყო და საალერსო სიტყვებს გაუშლიდა წინ, მწარედ დალონებულ ქალსა. მაგრამ ეს უკანასკნელი თითქა ვერც კი ძიჩნევდა მას. არ ესმოდა მისი სიტყვების რახა-რუხა. როც პირუტყვული უინით გააფთრებული მოარშიყე წრეს გადაედოდა, და ენასთან ხელსაც აწყობინებდა ფათურსა, მხოლოდ მაშინ იკრავდა წარბებს სულიკო, სიპრაზით სავსე თვალებს გიურვით უბრიალებდა და წყევლა-შეჩვენებით აძევებდა თავის ოთახიდან. ახირებული მოარშიყე იმედს მაინც პრა ჰკარე გავდა: კარებისკენ მომავალი ერთ წამს შეჩერდებოდა და მსუნად კატასაეით ნერწყვის ყლაპვით ეუბნებოდა. ტარტარიზად გადაქცეულ ყმაწვილ ქალსა:

— რაც უნდა შევრი იჯავრო, ჩემო მარგალიტო, ბოლოს მაინც ჩემი გახდები და მაშინ მარწყვის ტუჩებს ერთი-ათად გადვუხდი სამაგიეროს.

ერთ დილითაც ამ ნაირად შემოვიდა მჟავნაშვილი სულიკოს ოთახში და, არშიყობის ნაცულად, კარებიდანვე დაისახა:

— სულიკო, გედევეანს შენი ნახვა უნდა... ადე, წამო ებლავე თუ შენც გესიამოვნება მისი ნახვა.

სულიკო დაფაცურდა. ლოყები ალისფერიდ დაუწიოთლდა და ლამაზ თვალებში სიცოცხლის ნაპერწკალმა ძველებურალ გაუფლეა. მაშინათვე წამოხტა ზეზე და ფეხ-აჩქარებით გაპყვა უკან ამ უშად სასიამოენო მოციქულსა. როდესაც ავადმყორ

ფის კარებთან შივიდა, პატარა ხანს შეჩერდა, სულს თავსუფ-  
ლად ვეღარ იბრუნებდა, ძალზე აფანქალებულ გულს ძაგა-  
ძუგი გაქმნდა... ორივ ხელები მაგრა მიიჭირა გულზედა მის  
წინ გაღვებულ კარებში ფთხილად შესდგა ფეხი, პირველად ფე-  
რავინ დაინახა ერთ ადგილის გაჩერდა და შეშინებული თვა-  
ლები მიაპყრო სმ მხარეს, საითკენაც ეგულებოდა გედევანის  
კრაოტი.

— ეთერ, გამარჯვება შენი!.. — უცხა მოესმა სუსტი, მაგ-  
რამ ნაცნობი ძვირფასი ხმა. მაშინათვე იცნო ეს ხმა. მოძნდო-  
მა გაქანებულიყო იქით, საიდანაც მოესმა ეს ხმა, მაგრამ სი-  
ტყვა „ეთერი“ მახვილივით ჩაეცა გულში, მრისხანებით წამო-  
ვიდა და უზარმაზარი ზვავით ჩამოწვა გედევანსა და მის შო-  
რის.

— შენ რაღადა ხარ ეგრე გამხდარი, ფერწასული? შენც  
ხომ აფად არ რყავ?. — კვალად მოესმა იგივე სანეტარო ზმა.

ახლა კი მოვიდა სულიკა სრულს გრძნობაზე; ახლა კი  
კარგად დაინახა იგი, ვის თვალის მოკვრასაც მთელი ღულა-  
ჟავი დღის განმავლობაში სულის ცხონებასავით ნატრობდა. სიყვარულის მადლით გაბუყინვალებული თვალები მიანათა იმას  
და ალერსით საესე კილოთი უპასუხა:

— არა, გენაცხალე! მე არა მიშაეს-რას, ოლონც შენ იყავ  
კარგადა.

— ახლო მოდი, ვერა გავიგონე-რა! — დაიძახა გედევანმა.

— მაღლა ილაპარმკეთ... — უდინა მას ექიმმა, ეჯადმყო-  
ფუნდისაგან ყურთ დააჭლდა.

სულიკმ მწუხარებით გადახდა გედევანს და მხო-  
ლოდ ეხლა შენიშნა მის გვერდით სავარძელში, მჯდომი რუ-  
სუდანი, რომელიც წარბ-შეკრული უსიამოვნოდ გამოსკერდ-  
და მას.

— მე სამიოდე, დღის შემდეგ მამიდანჩემთან უნდა წაეიდე,  
— წარმოსაჭვა კვალად გედევანმა. — წერი სახლეარი შენა და  
მიხეილს უნდა გებარებოდეთ, ამ დღიდან, ეთერ, შენა და მე

და-ძმანი უნდა ვიყენეთ... და როცა დავბრუნდები, ისედაც გიპა-ტრონებ, როგორც ჩემ საკუთარ დასა.

სულიკოს უნდოლა ბევრი რამ ეთქვა, მაგრამ ყელში თით-ქო რაღაც მოებჯინა, გულის ფანცქალი შეუჩერა და ენა დაუ-ბა: კი ხანს გაშტერებული იდგა, მთელი ტანით თრთოდა, კანკალებდა. ბოლოს, როგორც იყო, გაიხსნა კრიჭა და ნაწ-ყვეტ-ნაწყვეტად წარმოსთქვა:

— ოღონც შენ იყავ კარგად, გედევან, და მე სხვა ორა შინდა-რა! თუ საჭიროა, დღესვე წავალ აქედან.

— არა, არა ჩემო სულიკო! — დაიძახა იღელვებით გედე-ვანმა, — შენ რომ აქედან წახვიდე სადმე, მე ძიელ, ძიელ მეწ-ყინება. აქ უნდა დარჩე, ჩემო ეთერ, სინამ მე დავბრუნდებო-დე. მომეცი პატიოსანი სიტყვა, რომ ამ ჩემ თხოებას შეას-ტულებ.

— დამშვიდდი, ჩემო გედევან! დამშვიდდი! უფიცავ შენს კარგად ყოფნას, რომ შენს დაბრუნებამდე მე აქედან არსად არ წავალ! — კნეინა რესუდანი უკამაყოფილოდ წამოდგა ფეხ-ზე, ძმისწული ბალიშზე მიაწვინა და ექიმს რაღაც ანიშნა თვა-ლითა. უკანასკნელი მივიდა სულიკოსთან და დაბალის ხმით ლოთხრა:

— ახლა კი წაბძანდით! ავადმყოფისათვის ჯერ კიდევ მავ-ნებელია ბევრი ლაპარაკი.

სულიკო ვამოეიდა ოთახიდან. იქვე დერეფანში მიეყუდა კედელს და ჩუმის ქვითინით იმეორებდა:

— ეაი ჩემს თაეს! ვაი ჩემ სიცოცხლეს! როგორ გამხდა-რა! როგორ გამოცვლილა! მშვიდობით, გენაცვალე! მშვიდო-ბით, თავშემოგევლე! შენი ბოროტი მამიდას თვალებში ცხა-დად სხანს, რაც უდევს მას ჩემ შესახებ თავის დასამიწებელ გულში. შენს თაეს აღარავინ მიჩვენებს მე უბედურსა. მოკლე ხნისა იყო ჩემი ბედნიერება, მაგრამ სულით და გულით გმად-ლობ ამისთვინაც! შენის წყალწობით ფიგრძენ სამოთხის ნეტა-რება! შენის მეოხებოთ ვიგემე ამ ქვეყნიური ბედნიერება. ნე-

ტარება, სიამოვნება, ფიანდაზად გაუშალოს უფალმა ყოველს  
შენს ნაბიჯს, ყოველს წამს შენის ცხოვრებისას! მშეიღობით  
ჩემო ლეთაება, ჩემო ანგელოზო! მშეიღობით!!

ს. თ—ს.

(დასასრული შემდეგ №-ში)

# ხალხური ლიმსები

(გაგონილი ხევსური ფაუკო არაბულისაგან)

კაი უმა, მგელი, არწივი,  
არცერთ არ გაიწერთნება.  
მგელი არ მოშლის მგლობასა,  
კაი უმა მამაცობასა,  
არწივი არწივობასა,  
მთის უურეთ თამაშობასა.  
მგელი გაიგლის მთაზედა,  
ნამ გაბერტებილი დარჩება.  
დაიხულება არწივი,  
მთით ბარად ჩამოვარდება,  
დაიჭერს შენის თიქნისა,  
ხორცი ძველადაკ დარჩება.  
მაშინ კარგია კაი უმა,  
დილა რომ ადრე დგებოდას,  
ოცემდას ცივსა რეინასა,  
ომს კიქამ — ემზადებოდას;  
ხეადი \*) რომ ჭირეულას ლაგამსა,  
წაღმა-უკულმა ხტებოდას.

— ტიროდა კაის უმის ცოლი:  
— ადარ მამივა შინაო.

\*) ულაყი ცხენი.

აცინის ცუდაის ცოლი;  
— გამაიშტება წინაო.  
გამაიშტეულის შეკვეთა  
არ მასკვდა სულის შინაო.

კაი უმა ლაშქარს მოგვდება  
სწორების მჯობინობასა,  
ისრუე დარჩება ცუდად  
ქალებით ლოგინობასა.

კაი უმა ხმალს ჩაჭრედაკს,—  
გამიჭრისა, თუ ართო;  
ცუდაო—ჭალის უბესა,—  
გამაიხევს, თუ ართო.

გულო, არ შიგცემ საგონთა,  
თავო, არ ლაგაშეგება,  
მტერო, შენ ზავსა არ მოგცემ;  
ფრანგულო, ლაგაფხავება.

ამბავ რა იქნა გუროსა, <sup>1)</sup>  
წურომა რა იდგა სთისალ!  
ჩამოდის წგრილი მასკვდავი,  
მთვარე შავს ძჭნევს პირსალ!  
კელისა გაუბედავის  
უღუგაურის <sup>2)</sup> შვილთალ.  
მიუგლენ აპარეკასა; <sup>3)</sup>  
ადე, გაგვიძეხ მზირთალ. <sup>4)</sup>

<sup>1)</sup> სოფელია სევსურეთში.

<sup>2)</sup> გვარია სევსურისა

<sup>3)</sup> სახელია სევსურისა.

<sup>4)</sup> მზირი—მდევარი მტრისა.

გაუძლება აშარეკად,  
 მართვებ<sup>1)</sup> შავარდნისათ,  
 გადააკლიგა ჭალად,  
 ჭავრი აქვს ქისტებისათ.  
 დაბრიუკებულა მწუემსები,  
 ცხვარი გამოდის ჩრდილისათ.  
 თოვი სკრეს, შიგ შეარჩიეს,  
 მანძილა<sup>2)</sup> დასცას ტყისათ.  
 ცოცხალა მამას შესწირეს;—  
 ბანდა<sup>3)</sup> უნდოდა ჭლისათ, <sup>4)</sup>  
 მომცდარან სიყმაწვილითა,  
 სიდი მოშალეს წელისათ.  
 მაგათ ეგ კერა სცოდნიათ,  
 ქისტებს მცურავ ჭუაგს წელისათ.  
 წელსა გამოვა თორმეტი  
 ნარჩევლის მითხველისათ. <sup>5)</sup>  
 სათოფრად ეკემდნიან ერთურთს,  
 ძალი ახსენეს ხოსათ.  
 წინ-წინ ხოლიგას <sup>6)</sup> დაგვიგრეს;—  
 მუხლი მოსტებეს მგლისათ,  
 უელ-ჭრელი<sup>7)</sup> იღუმაისა <sup>8)</sup>  
 ნელ-ნელა გამოდისათ;  
 ბევრი აქვ ტყვია წამალი,  
 სატოლ<sup>9)</sup> აღარ აქვ გლდისათ.

<sup>1)</sup> ბლარტი.

<sup>2)</sup> მანძილა—6-7 წლის ხარი; აქ პნიშნავს ვაჟკაცს.

<sup>3)</sup> ბანდა—ასხმა.

<sup>4)</sup> ჯლანი—ქალმანი.

<sup>5)</sup> ქისტების სოფელია.

<sup>6)</sup> სახელია.

<sup>7)</sup> თოფი.

<sup>8)</sup> სახელია.

<sup>9)</sup> სატოლი—საფარი.

100 एवं द्वितीय योगदानालय अधिकारीजनक एवं  
प्रभुता देवी द्वारा नियुक्त अधिकारी द्वारा, एवं  
संस्थापना द्वारा, एवं उपर्योगी संस्थानकालीन विधि  
के अनुसार अधिकारी द्वारा नियुक्त अधिकारी के  
प्रत्यक्ष विवरण द्वारा नियुक्त अधिकारी के विवरण

၁) စာဖျို့က—တော်စီး ဇာဆရွောဂါ၊ စာတော်။

۳) ნაჭაპნი—ნაწნავი.

# Յ Ե Ր Ց Ա Ր Ո

Թ Ե Ց Ա Ր Ե Խ Ա Ր Ո

(Ծանոթագրութեան համար)

Գ Ա Մ Ա Թ Ա Ր Ե Խ Ա Ր Ո

մալուան կարգո ոյն եծողա, հռոմ հայենո մեցոնձրուս պահանակ-  
նելու Շեսանո Շեսանո դուքտեա Շեսանո Սայմառ Սածուտեա Հացար  
հինուա մուսանց Հայրունու և առ Հացարունու մուսո Բյուրու-  
լուա մումանակունու մուտերունու Շեմպարու.

Մյ զբանունու Շեմպարու նամաւունու Կոնցու ոմ Կոր-  
տագան, հռոմելուա մուսո ամենա յարաւ սունդա Սուունունու. յս  
ամենա մարտունու և սեպա-դա-սեպա Կորտա Կոնցու տաւու Բյուրու-  
մանց Շեմպարու յո յունանց յունանց յունանց յունանց յունանց  
Շեմպարունու ոմ Կորտա Շեմպարու, հռոմելուա Վերուրու Վյուն-  
դա և սային.

Օս-լա Հացարունու, Սոնունուսունու մոցուտերու, րապ Շե-  
պարու գունու մուսանունու Շեմպարու. ամաս մուսանունու մուսա-  
լունունուսան Հայրունունու Բյուրունու և Սունդ սունդունու նա-  
յունունու յո սունդունունու մուսանունու. ալունու առ առուս ալունու-  
հինունու Վյունունու մուսանունու սունդունունու մուսանունու յո յունա-

\* օհ. Հայունունու Տ. 1900 թ.

კუთხებით მაშინ, როცა მოქმედი არა ჩვეულებრივი აღამისა ნია.

სუფლამ და უიმიღობაშ უფრო ღრმად გაიღებს ფესვი ვერტერის გულში, უფრო მტკუცედ ჩაეწენენ ერთმანეთს და თან და თან შეიძყრეს მთელი მისი არსება; მისი სულის ჰარმონია სულ ერთიანად დაირღვა; შეგუბებულმა გრძნობებმა და შინაგანმა სიცხეშ აამზადავეს და შეახეთქეს ერთმანეთს ყველა მის ბუნების ძალი და ამას მეტად ცუდი შედეგი მოჰყვა: იგი სრულებით მოიქანცა და ეს მოქანცულობა ხდიდა მის სევდიანობას მეტად უფრო მწვავად, ვიდრე ყველა მისი უბედურებანი, რომელთა წინააღმდეგ იგი წინად იბრძოდა. ამ გულის სევდიანობა ანალგურებდა მის სულის უკანჭსკნელ ძალებს; მან დაჰკარგა გონების სიმკვირცხლე და გონება-მახვილობა; ის მწუხარე მოსაუბრე შეიქნა, თან და თან უფრო უბედური და ამას-თანავე უფრო უსამართლო. ასე ამბობდნენ ალბერტის მეგობრებით. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ვერტერმა ვერ შეიძლო და-ფასება პატიოსანის და მშეიღობიანის აღამიანისა, რომელიც, როგორც საუნჯის პატრონი, ცდილობდა შეეჭრიბნა ეს საუნჯე, ვერტერი კი თითო დღე ფლანგავდა თავის ქონებას, რათა საბოლოვოდ ტანჯვისა და შიმშილის მეტი არა დარჩენოდა-რა.

ალბერტი, — ამბობდნენ ისინი, — ამ მოკლე ხანში არ გა-მოკულილათ. ისეთივე იყო, როგორსაც ვერტერი თავიდანვე იცნობდა, ისე დიდად აფასებდა და პატივსა სცემდათ. მას ყველაფერზე უფრო უყვარდა ლოტა, მითო თავი მოსწონდა და სურდა, რომ იგი ყველასაგან უნშვენიერეს ქმნილებად ყორფილო აღიარებული. ნუ თუ ალბერტი გასაკიცხავია იმჩნ-თვის, რომ იგი ცდილობდა მოჰშორებინა ყოველი ნიშანი გქვი-სა, რომ მას სრულებითაც არა ჰქონდა სურვილი თავისი ძვირფასი საუნჯე ვისოვისმე ფაეზიარებინა, თუნდა სულ უბრალო, უმანკო სახითაც?. ისინი უმატებენ, რომ ალბერტი სშირად სტოუებდა თავისი ცოლის ოთახს, როცა მასთან ვერტერი იყოვო, მაგრამ არა თავისი მეგობრისალმი სიძულვილს.

გამო, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ გრძნობდა, ჩემი აქ უოფნა ვერტერს ემძიმებაო.

ლოტტას მამა ავად გახდა და ოთახს ვეღარ შორდებოდა. მან გაუგზავნა ლოტტას თავისი ეტლი, რომლითაც იგი მამას-თან წავიდა. მშვენიერი ზამთრის დღე იყო. პირველი თოვლი ძალზედ მოსულიყო და მთელი მიდამო დაეფარა.

ვერტერი მივიდა იქ მეორე დილაზე იმ განზრახვით, რომ ლოტტა გამოეცილებინა სახლამდინ, თუ მის წასაყვანად ალ-ბერტი არ მოვიდოდა.

მშვენიერ ტაროსს მის დაღვრემილ გუნებაზე ცოტა-და გაელენა ჰქონდა. რაღაც გამოურკვეველი ტვირთი აწვა გულ-ზე და მისმა სულმა სხვა მოძრაობა იღარ იცოდა თუ არა ერთი მტანჯველ ფიქრიდან მეორეზე გადასვლა.

რაკი ის თვითონ თავისს თავთან მარადის ბრძოლაში ცხოვრებდა, მას სხვისი მდგომარეობაც დაუდგრომელი და მოუ-სვენარი ეჩვენებოდა; მას ეგონა ალბერტსა და მის მეუღლეს შორის არსებული მშვენიერი განწყობილება დავარღვიეო, ჰკიც-ხავდა ამისათვის თავისს თავს და ამ კიცხვაში ერეოდა ფარუ-ლი უქმაყოლება ალბერტის მიმართ.

გზაში მისი ფიქრები ამ საგანსაც შეეხნენ.

— დიალ, დიალ,— ამბობდა იგი კბილის ლრჭენით, — ეს არის ერთგული, მეგობრული, ნაზი, ყველაფერში თანამგრძნობი დამკიდებულება, მშვიდობიანი, ხანგრძლივი ერთგულება! მო-ყირჭება არის ეს და გულგრილობა! განა ყოველი უბრალო მცირე საქმე უფრო არ იზიდავს მას, ვიდრე მისი ძვირფასი მშვენიერი ცოლი? შეუძლია კი თვისი ბეჭნიერების დაფასება? შეუძლია მისი პატივისცემა, რამდენადაც იგი ლირსია? მას ჰყავს ლოტტა, ჰა, მისია ლოტტა... მე ეს ვიცი, როგორც სხვა რამეც ვიცი, მეგონა ამ ფიქრს შევეჩვიე, ის კი ჰკვიდან შემ-შლის, დამღუპავს... მისი ჩემდამი მეგობრობა როგორილა არის? განა ალბერტი ჩემს გრძნობას არ უყურებს, როგორც თავის უფლების დარღვევას? განა ის ყურადღება, რომელსაც მე მის ცოლს ვაქცევ, თავის თავისადმი საყვედურად არ შიაჩნია? მე ეს

კარგად ვიცი, მე ვვრძნობ, რომ მას არაფრად ასიაშოვნებს ხოლმე ჩემი ნახვა, მას სურს ჩემი მოშორება, ჩემი აქ ყოფნა მას ხამძიმოდ უხდება.

ხშირად შეაყენებდა ხოლმე იგი თავისს ჩქარ ნაბიჯს, ხშირად იდგა ხოლმე ერთს ადგილას ჩუმად, თითქო დაბრუნება უნდაო, მაგრამ მერე ისევ წინ მიეშურებოდა და მალე ამ ფიქრებითა და თავისს თავთან ბაასით გართულმა უნებურად მიაღწია სინაღირო სადგომს.

შევიდა კარებში და იკითხა ჯერ მოხუცი და მერე ლოტტა; მთელი სახლი რაღაც მოძრაობაში იყო. უფროსშია ბავშვა უთხრა, იქით, ვილჭამში ერთი უბედურება მოხდაო, ვიღაცა გლეხი მოუკლავთო.

ამ ამბავმა ვერტერზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა. ის შევიდა ოთახში და ნახა ლოტტა, რომელიც მას შინ დარჩენას ეხვეწებოდა, რადგან ის, მიუხედავად თავისი ავად-მყოფობისა, წასვლას აპირობდა მომხდარი შემთხვევის ადგილობრივ გამოსაკვლევად. დამნაშავე ჯერ ვერ აღმოუჩენიათ, მოკლული სახლის წინ ნახეს დილას და გუმანი ერთ ადამიანზე ჰქონდათ მიტანილი: სიცოცხლეს გამოსალმებული იყო მოჯამაგირე ერთი ქვრივი დედაკაცისა; ამას უფრო ადრე სხვა მოჯამაგირე ჰყავდა, რომელსაც მისი სისხლი არც აგრე სიამოვნებით დაუტოვებდა.

ამის გაგონებაზე ვერტერი აფეთქდა:

— ნუ თუ შესაძლებელია ეს! — წამოიძახა მან. — უნდა წავიდე იქ, ერთ წამსაც ვეღარ მოვისვენებ.

ის გაეშურა ვილჭამისაკენ. ყოველი მოგონება გაუცოცხლდა და ერთს წუთსაც აღარ ეჭვობდა, რომ მკვლელობა იმ ბიჭის, ჩადენილია, რომელთანაც მას ხანდახან ულაპარაკნია და რომელიც მისთვის ასე ძვირფასი გამხდარიყო.

მიცვალებულის გვამი დუქანში ესვენა. იქ მისასვლელად ვერტერს ცაცხვებთან უნდა გაევლო. იგი შეკრთა საყვარელი ადგილის დანახვაზე. ის საძეირკველი, რომელზედაც მეზობლის ბავშვები ისე ხშირად თამაშობდნენ ხოლმე, ახლა სისხლით იყო

შესვრილია ადამიანის უმშვენიერესი გრძნობები, — სიყვარული და ერთგულებს, — ძალაცობად და მცელელობად გარდა ქმნილიყვნენ. მძღავრი ხეები იღენ უფოთლოდ და თრთვილით დაფარულნია მშვენიერ ბუჩქებს, რომელნიც სასაფლავოს დაბალ გალავანზე ცადაქნილად ერთმანეთზე გადაბმულიყო, ფოთლებია გაცვინოდათ და მათ შუა ჩანდნენ თოვლით დაფარული საფლავის ქეები:

როცა ვერტერი დუქანს მიუხსოვდა, რომლის წინაც მთელი სოფელი შეგროვილიყო, ერთბაშად ატყდა ყოფინი. შორს დაინახეს ერთი შეიარაღებული ადამიანთა ჯგუფი და ყოველი კაცი იძახოდა, მცვლელი მოჰყავთო. ვერტერმა მითხოდა იქითკენ და დიდ ხანს აღარ ყოფილა ეჭვში. დიალ, ეს ის მოჯამავირე იყო, რომელსაც ისე ძლიერ უყვარდა იგი ქვრივი და რომელიც ვერტერს შეხვდა რამდენისამე ხნის წინად, ჩუმი მწუხარებოთ, ფარული სასოწარკვეთილებით შეპყრობილი.

— რა ჩაგიდენია, უბედურო! — წამოიძახა ვერტერმა და გაეშურა დაქერილისაკენ. მან შემოხედა წყნარად, ხმა - ამოულებლივ, მერე უპასუხა სულ თავისუფლად: „ის სხვისი არ იქნება, არც სხვა იქნება მისი“.

ტუსალი შეიყვანეს დუქანში და ვერტერი საჩქაროდ მოშორდა. იმ ადგილს.

საზარელმა და ძლიერმა სანახავმა ყველაფერი, რაც კრის არსებაში იმყოფებოდა, ერთ-მანგთში აურია. მან ერთის წამით თავი დააღწია საკუთარ მწუხარებას, მელანქოლიას, გულგრილ მორჩილებას: სკოცარის ძალით შეიპყრო იგი, ამ უბედურისადმი თანაგრძნობამ და მან იგრძნო გამოუთქმელი სურეიალი მისი გადარჩენის. ვერტერი ისე გრძნობდა იმ ბიჭის მდგომარეობას, რომ უდანაშაულოდ მიაჩნდა იგი თვით მცვლელობის შემდეგაც. მან ისე ცხადად ჩაყენა თავისი თავი შის მდგომარეობაში, რომ დარწმუნებული იყო სხვებსაც შეაგონებდა. რასაც თვითონ გრძნობდა. იმას უნდოდა უკვე მისთვის თავის გამოდება, უმსურვალესი გასამართლებელი. სიტყვები უკვე აღგებოდა ენაზე, იგი საჩქაროდ გაემართა ხანდირო. საღვა-

მისაკენ და გზაში ნახევრად ხმა-მალლა ამბობდა მას, რაც მოურავისათვის უნდა მოეხსენებინა.

როცა ვერტერი ოთახში შევიდა, ალბერტი იქ დახვდა, და ამის გამო ერთი წამით აირია; მაგრამ ისევ მალე გასწორდა და მოახსენა მოურავს ცეცხლებრ მხურვალედ თავისი მოსაზრებანი.. მოურავმა რამდენჯერმე თავი გაიჭნია. თუმცა ვერტერი უკიდურესი მხურვალებით, გრძნობით და სიმართლით მოახსენებდა ყველაფერს, რის თქმაც კი შეუძლია ადამიანს აღამიანის გასამართლებლად. მოურავი მაინც, რაც აღვილად წარმოსადგენია, ამით არ მოლბა, პარიქით, იგი ლაპარაკს არ აცლიდა ჩვენს მეგობარს, ეწინააღმდეგებოდა მას და ჰკიცხავდა, კაცის მკვლელს მფარეველობას უწევსო. ის ამბობდა, ამ გვარად შეიძლება ყოველი კანონი გაქრეს და თვით სახელმწიფოს უშიშარი მდგომარეობა შეირყესო. ისიც დაუმატა: ასეთ საქმეზი არაფერი შემიძლია მოვახერხო, უდიდესი პასუხის მგებლობის უკისრებლადა; ყველაფერი წეს-რიგით და კანონის გზით უნდა წავიდესო.

ვერტერი არ მორჩილდებოდა და სთხოვდა მოურავს: დიდს ყურადღებას ნუ მიაქცევ ზაინც და მაინც, თუ იმ კაცს გაქცევაში ვინმე დაეხმაროსო! ვერც ამაზე დაიყოლია მოურავი! ალბერტი ჩაერია ბოლოს საუბარში და მოხუცის მხარე დაიკირა; ვერტერი მეტის-მეტად აიმღვრა და როცა მოურავმა რამდენჯერმე გაუმეორა: არა, მისი საშველი აღარ არისო,— გაუდგა თავისს გზას საზარელის ტანჯეით.

რა ღრმად მოხვდნენ ვერტერს მოურავის სიტყვები, სჩანს მისი ბარათიდან, რომელიც მისს ქალალდებში ვიპოვნეთ და რომელიც უეჭველად იმავე დღეს იყო დაწერილით:

„შენი საშველი აღარ არის, უბედურო! კარგად ვხედავ, აღარ არის ჩგენი საშველი!“

\*

რაც მაშინ ალბერტმა მოურავთან დამნაშავის შესახებ ილაპარაკა, ვერტერისათვის ფრიად საზიზლარი იყო: იმ სიტყვებ-

ში მან რაღაც მისი წინააღმდეგიც შეამჩნია, თუმცა მისი მახვილი ვონება მიხვდა, რომ ისინი ორივე მართალი იყვნენ. მაგრამ ეგონა, რომ ამაში გამოტეხით, დათმობით, იგი უღალატებდა თავის უწმინდესს გრძნობებს.

მის ქალალდებში ვპოულობთ ერთ პატარა წერილს, რომელიც გვისურათებს მთელს დამოკიდებულებას მისას ალბერტ-თან.

„რას მიშველის ის, რომ ჩემს თავს დაუინებით ვუმეორებ, ალბერტი ჩინებული, კეთილი ადამიანი არის-თქო; იგი მეგულს მისერავს და მე არ შემიძლია სამართლიანი სჯა“.

მშვენიერი სალამო იყო; ლოტტა და ალბერტი ქვეითად დაბრუნდნენ შინ. გზაში ლოტტა აქე-იქით იხედებოდა, თითქო ვერტერის იქ არყოფნა ეჩოთირებაო. ალბერტმა დაიწყო ვერტერზე ლაპარაკი, ჰკიცხავდა მას და ამასთანავე ამართლებდა კიდევ. იგი შეეხო ვერტერის უბედურ გრძნობას და გამოთქვა სურვილი, როგორმე მოხერხებულიყო მისი მოშორება.

— ეს საჭიროა ჩეენთვისაც,—ამბობდა იგი,—და მე შენ გთხოვ მის შენდამი დამოკიდებულებას სხვა მიმართულება მისუე და მისი ხშირი სიარული ჩეენთან გააიშვიათო. ხალხის ყურადღება აძძრულია და ვიცი, რომ აქა-იქ კიდევ ლაპარაკობენ ამაზე.—ლოტტა გაჩუმებული იყო; სჩანდა, რომ ალბერტი მიხვდა მის სიჩუმეს; ეს კიდა, რომ მას აქეთ ლოტტასთან ვერტერი აღარ უხსესებია და თუ თვითონ ლოტტა დაიწყებდა ხოლმე მასზე ლაპარაკს, ალბერტი ბაასს სწყვეტდა ან სხვა მიმართულებას აძლევდა მას.

ვერტერის უნაყოფო გამოსარჩევება იმ უბედური ადამიანის გადასარჩენად იყო უკანასკნელი აღმოშუქება მიღეული სანთლის ალისა; ეხლა იგი კიდე უფრო შეიპყრო უმოქმედობამ და ჩუმმა სევდოშ. განსაკუთრებით მოთმინებიდან გამოდიოდა, როცა ეუბნებოდნენ, შეიძლება მოწმედ მიგიწვიონ იმ უბედურის წინააღმდეგ, რომელიც ეხლა თურმე უარზე იდგა.

მას თვალშინ უდგა ყველაფერი, რაც კი რამ უსიამოვნო შემთხვევია აღელვებულ ცხოვრებაშა, წყენა საელჩოში, ყველაფერი, რაც ოდესმე ვერ შეუსრულებია, რასაც მისთვის გული უტკენია, იგი თვის უმოქმედობას ამითი ამართლებდა; იგი მოკლებული იყო ყოველს იმედს. მას არ შეეძლო მძლავრის ხელით ჩასჭიდებოდა მიმდინარე საქმესა, ყოველდღიურ ცხოვრებას და სულ ერთიანად დამორჩილდა თავის საოცარ სურვილებსა და გულისთვის. იგი ატარებდა მთელ თავის დროს ერთფეროვან და შემაწუხებელ დამოკიდებულებაში ძეირფას აჩსებასთან, რომელსაც იგი მშვიდობიანობას ურღვევდა. მას არ ჰქონდა არც საგანი და არც მიზანი ცხოვრებისა და დღითი დღე უახლოვდებოდა თავის სამწუხარო ბოლოს.

საუკეთესო მოწმე მისი არეულობისა, გულისთვისისა, მოუსვენრობისა, სულისკვეთებისა და სიცოცხლით დაღლილობისა არის რამდენიმე დარჩენილი წერილი, რომელსაც აქვე ჩავურთავთ.

## 12 დეკემბერი.

„საყვარელო ვილპელმ, მე იმ მდგომარეობაში ვარ, რომელშიაც უნდა ყოფილიყვნენ ის უბედურნი, რომელნიც ბოროტ სულისაგან შეპყრობილი ეგონათ. ხან და ხან მეც შემიპყრობს ხოლმე რაღაცა; ეს არ არის შიში, არც წადილი... ეს არის რაღაც შინაგანი უცნაური ღელვა, რომელმაც ლამის გაგლიჯოს, ჩემი გული რომელიც ყელში მიჭირებს! ვაი! ვაი! მე მიმოვრბივარ ამ შემოდგომის, ადამიანისათვის მეტად უსიამოვნო დროის, წყვდიად ლამებში.

გუშინ სალამოს უნდა წავსულიყავი. უეცრად თოვლმა დნობა დაიწყო; გავიგე, რომ მდინარე ნაპირებიდან გადმოსულიყო. ნაკალულები აღიდებულიყვნენ, ვალპარმი გადმოევლოთ და ჩემი საყვარელი მინდორი დაეფარათ. ლამის თერთმეტ საათს გავეშურე იქითკენ. საშინელი სანახავია მთვარის შუქზე კლდიდან გადმოვარდნილთ ზვირთების ტრიალი ყანებში, მინდვრებზე, ბუჩქებზე, ყველაფერზე, და ფართე ველი, აღმა-დაღმა

მღელავი! გაშმაგებული ზღვა და ქარის ლრიალი! როცა მთვარე კვლავ გამოჩნდა და მოთავსდა შავ ლრუბლებზე, როცა ჩემს წინ ვხედავდი საშინელ-საუცხოვოდ განათებულ ხმოვან ზეირთების გროვას, მე შემიპყრო რაღაც შიშმა და კვლავ რაღაც ნატვრამ! ხელებ-გაშლილი ვიდექი. უფსკრულის წინ და ნატვრით ვიყურებოდი ძირს! ძირს! და დავინთქე იმ ფიქრის ნეტარებაში, რომ შემიძლია იქ, ძირს ჩავლუპო ჩემი ტანჯვები და ვაება სულის! იმ ზეირთებთან ერთად გრვეინვით წინ სრბოლა!.. ოჟ! არ ძალ-გიძს კი ნიადაგს მოშორდე და ყველა ტანჯვებს ბოლო მოუდო! ჩემს დროს თავისი სავალი ჯერ არ გაუსრულებია, მე ამასა ვგრძნობ! ო, ვილჰელმ! რა სიამოვნებით ავილებდი ხელს ჩემს ადამიანობაზე, რომ შემეძლოს ქარიშხალთან ერთად გავგლიჯო იგი ლრუბელნი და მოექვიო ამ ტალღებსა! ჰა! იქნება დატუვევებულს ოდესმე ელირსოს ეს ნეტარება?

და გულ-დამწვარი ვიხედებოდ ძირს და ვუყურებდი იმ პატარა ალაგს, სადაც ერთ იჯნის ქვეშ მე და ლოტტას მოგვისვენებია ხოლმე სიცხიან დღეს სეირნობის დროს... ის აღგილიც წყალ დაფარული იყო და ძლიერ-ლა ვიცანი ის იფნა. ვილჰელმ! ამ დროს მე ვუიქრობდი ლოტტას სადგომზე და ამ სადგომის მიღამოზე! როგორ დაინგრევოდა წამლეკავ ნიალვარისაგან ჩვენი ფანჩანტური, ვამბობდი მე გულში. და წარსულ დროთა მხიარულმა სხივმა შემომხედა, როგორც ტყვეს სიზმარი ეწვევა ხოლმე, და ხედავს ჯოგებს მინდვრებზე და თავის-თავს ყველსაგან პატივცემულს! მე ვილევიჭიდა ადგილიდან არ დავძრულვარ!... თავს არ ვკიცხავ, რადგან მაქვს გამბედაობა და სიკვდილისა არ მეშინიან. მე შემეძლო... ახლა აქ ვზივარ, როგორც ერთი დედაბერი, რომელიც შეშას ლობებში აგროვებს და პურს კარ-კარ სიარულით ჰქრებს, რათა ერთი წამით მაინც განაგრძოს და გაიადვილოს მილეული, უსიხარულო არსებობა...“

## 14 დეკემბერი.

„რას ნიშნავს ეს, ჩემო ძეირფასო? მეშინიან ჩემივე თავისა! განა ჩემი სიყვარული მისდამი ყოვლად უბიწო, ყოვლად წმინდა, ყოვლად ძმური სიყვარული არ არის? გამიტარებია გულში ოდესმე ურიგო რამ ნატვრა?.. არ მსურს გარწმუნო... და სიზმრები! ო, რა ჭეშმარიტად გრძნობდნენ ისინი, რომელნიც ასეთ, შეუთანხმებელ მოქმედებად უცხო ძალებს აწერდენ! წლელი!... შევართი ამ სიტყვაზე!... იგი მყავდა მაგრად გულში ჩაკრული და მისს სიყვარულის მობუტბუტე პირს დაუსრულებელი კოცნით ვფარავდი. თვალნი ჩემი მის ნეტარ თვალებში ინთქებოდნენ. ლმერთო! ვარ დამნაშავე, თუ ახლაც ნეტარებასა ვგრძნობ, როცა ვიგონებ იმ მგზნებარე სიხარულს მოელი ჩემი შინაგანი არსებით? ლოტტა! ლოტტა! ჩემი საქმე წასულია!.. თავში აზრები მერევიან, რვა დღეა, მსჯელობის ძალა აღარა მაქვს, თვალნი ცრემლებით მეცსებიან; არსად კარგად არა ვარ და ყველგან კარგადა ვარ; აღარა მინდა რა, აღარას ჰითხოვ, ჩემთვის უკეთესი იქნებოდა, რომ წავიდოდე“.

\*

ამ გარემოებებში მყოფ ვერტეტის სულში წუთისოფლის დატოვებას სურეილმა უფრო-და-უფრო მეტი ძალა მოიპოვა. ლოტტასთან დაბრუნების უკან ეს იყო მარად მისი უკანასკნელი იმედი და სასოება. თავს კი მაინც იმას ეუბნებოდა, ეს აჩქარებულად და მოუფიქრებლად არ უნდა მოხდეს, არამედ უმტკიცესი დარწმუნებით და უმშვიდესი გარდაწყვეტილებით. უნდა მოვიქმედოვო.

მისი ყოყმანი, მისი ბრძოლა თავისს თავთან აღმოსჭვერს. ერთი ბარათიდან, რომელიც აღბად ვილპელმისადმი დაწყებული ბარათია; თარიღი არ უზის; იგი მისს ქალალდებში იპოვნება.

\*

„მასთან-ყოფნა, მისი ხვედრი, მისი თანაგრძნობა ჩემი ხვედრისადმი უკანასკნელ ცრემლებს მწურავს დამწვარი ტვინიდან.“

ავწიო ფარდა და მოვექცე მის უკან! ეს არის და ეს! რის-  
თვისდა ვყოყმანობ და ვგვიანობ? მიტომ, რომ არ ვიცით „იქეთ“  
რა ამბავია? და უკან აღარავინ ბრუნდება? ან იმიტომ, რომ  
ჩვენი ბუნების თვისებაა, ვიგულეოთ არეულობა და წყვლია-  
ლი იქ, რის შესახებაც არაფერი განსაზღვრული და გარკვეუ-  
ლი არ ვიცით.“

\*

ბოლოს ვერტერი ამ სამწუხარო ფიქრს უფრო და უფ-  
რო შეეჩია და დაუმეგობრდა, მისი განზრახვა უფრო მტკიცე  
და შეურყვეველი შეიქნა, რასაც მოწმობს შემდევი ორაზრო-  
ვანი ბარათი, მეგობრისალმი მიწერილი.

## 20 ოქტომბერი

„მე შენს სიყვარულს უნდა ვუმადლიდე, ვილჭელმ, რომ  
ჩემი სიტყვა აგრე გაფიგია. მართალი ხარ, წასვლა სჯობს. შე-  
ნი წინადალება თქვენთან დაბრუნების შესახებ არც აგრე ძა-  
ლიან მომწონს. მე მსურდა, გზა ცოტა გამემრუდებია, მით  
უფრო, რომ ხანგრძლივ ყინვებს და კარგ გზებს ველით. ძა-  
ლიან მიამა ისიც, რომ შენ გინდა ჩასაყვანად ჩამოსე-  
ლა. მაგრამ ერთი თრი კეირით კიდე დამატალე, ელოდე ჩემს  
წერილს. ეს საჭიროა, რადგან არა მოიწევა რა მომწიფებამდის,  
და თოთხმეტი დღე, მეტი თუ ნაკლები, ბევრსა ნიშნავს. დედა-  
ჩემს სთხოვე ილოცოს თავის შეილისათვის და აპატიოს მას ყვე-  
ლა ის მწუხარება რომელიც მისთვის მიუყენებია. ჩემი ხეედრი  
ყოფილა, ისინი გამემწარებია, რომელთა გახარებაც ვალად მე-  
დო. მშვიდობით, ჩემი ძვირფასო! კურთხევა და მადლი ნუ  
მოგაკლოს ზეცამ! მშვიდობით!“

რა ხდებოდა ამ დროს ლოტტას გულში, როგორი იყო  
მისი გრძნობა ქმრისა დმ უბედურ მეგობრისალმი, ამის გამოთ-  
ქმას სიტყვებით ვერცი ვბედავთ, თუმცა, რაკი მისი ხასიათი  
ვიცით, შეგვეძლო სუსტი წარმოდგენა მაინც შეგვედვინა ამა-  
ზედა და ვისმე მშვენიერ-სულოვან მანდილოსანს შეუძლია გა-  
ქვრიცოს მისი ფიქრები და თანაუგრძნოს მას.

ის კი ვიცით, რომ ლოტტამ მტკიცედ გადასწყვიტა, ეხ-  
მარა ყოველი ლონისძიება ვერტერის მოსაშორებლად; თუ იგი  
ყოველანგებდა, ეს იყო შხოლოდ გულითადი, მეგობრული სიბრა-  
ლული, რადგანაც იცოდა, თუ რა ძვირად დაუჯდებოდა ვერ-  
ტერს მისი მოშორება, იცოდა, რომ ეს თითქმის შეუძლებე-  
ლი იქნებოდა მისთვის. მიუხედავად ამისა, რგო ამ ხანებში იძუ-  
ლებული შეიქმნა, უფრო მტკიცედ მოქცეულიყო—მისი ქმარი  
ხმას არ იღებდა; ლოტტაც გაჩუქრებული იყო. მით უფრო საჭი-  
როდ დაინახა მან, საჭმით დამემტკიცებინა ალბერტისათვის, რომ  
იგი ლირის არის ქმრის სიყვარულისა.

იმავე დღეს, როცა ვერტერმა თავისს მეგობარს წერილი  
მისწერა,—ეს იყო შობის წინა კვირას—იგი მივიღა ლოტტას-  
თან, რომელიც მარტო დახვდა. ლოტტა გართული იყო სა-  
თამაშო ნივთების წესრიგზე მოყვანაში, რომელნიც მას თა-  
ვისს პატარა დაძმათათვის საშობაო საჩუქრებად დაემზადებინა.  
ვერტერი ლაპარაკობდა მაზედ, თუ რა სიამოვნებას მოჰკვდიან  
ეს ნიეთები ბავშვებს და რა უაღრეს ბელნიერებას იგრძნობენ  
ისინი, როცა მოულოდნელად კარი გაიღება და დაინახავენ კე-  
ლაპტრებით, კანფექტებით და ვაშლებით მორთულ შობის ხეს.

— თქვენც მიიღებთ თქვენს წილს, თუ ჭკუით იქნებით,  
—უთხრა ლოტტამ და თეისი აღელვება საყვარელ ღიმილით  
დაპფარა:—ერთ სანთელსა და კიდევ რაღაცას.

— მერე რას ეძახით ჭკუით ყოფნას?—ჭესძახა ვერტერმა.  
— რა უნდა ვქნა? როგორ უნდა მოვიქცე, ძვირფასო ლოტტა.

— შობის წინა-ლამე ხუთშაბათია.—სთქვა ლოტტამ.—ამ  
დღეს მოვლენ ბავშვები, ბამაჩემი, მაშინ ყველა საჩუქარს მიი-  
ღებს; თქვენც მოდით მაშინ, მაგრამ მანამდის კი არა.

ვერტერი შეკრთა.

— მე თქვენა გთხოვთ,—განაგრძო ლოტტამ,—უთხოვთ  
ჩემი მშვიდობის გულისათვის; აღარ შეიძლება, რომ ეს ასე  
გაგრძელდეს.

ვერტერმა თვალი მოარიდა მას, დაიწყო ოთახში წინ და  
უკან სიარული და ბუტბუტი: „არ შეიძლება, რომ ეს ასე გაგრ-

ძელდეს“. — ლოტტა გრძნობდა იმ საშინელ მდგომარეობას, რომელშიაც ჩააგდეს ვერტერი მისმა სიტყვებმა და ცდილობდა ათასნაირი კითხვებით მისი ფიქრების შეცვლას, მაგრამ ამაოდ.

— არა, ლოტტა, — წამოიძახა ვერტერმა, — აღარ გნახვთ!

— ეს რატომ? — უთხრა ლოტტამ, — ნახვა შეგიძლიათ, კი დეც უნდა მნახოთ, მხოლოდ შეიკავეთ კი თავი. ო, რისთვის გაუჩენისართ ღმერთს ასეთის მხურვალე დაუძლეველის გულის-თქმით ყველაფრისადმი, რასაც კი თანაუგრძნობთ! მე თქვენ გთხოვთ, — განაგრძო ლოტტამ და ხელი მოჰკიდა: — მე თქვენ გთხოვთ, თავი შეიკავეთ! თქვენი გონების, ცოდნის და ნიჭის პატრონს, ნუ თუ არ შეუძლია თავი გაირთოს! გამხნევდით, მიმართეთ სხვა მხრისკენ ეს სამწუხარო მიზიდულობა ამ ქმნილებისადმი, რომელსაც არა შეუძლია-რა გარდა შებრალებისა.

ვერტერმა კბილები დააღრციალა და წარბ-შეკვრით შეხვდა ლოტტას, რომელსაც მისი ხელი ხელში ეჭირა.

— მხოლოდ ერთი წამით დამშვიდდით, ვერტერ! ვერა გრძნობთ, რომ თავს ატყუილებთ, რომ თქვენისავე ხელით თავს იღუპავთ! რატომ მე უნდა ვიყო თქვენი გრძნობის საგანი, ვერტერ? მაინცა-და-მაინც მე, რომელიც სხვას ვეკუთვნი? დიდად ვშიშობ, ვშიშობ, რომ ჩემი დასაკუთრების შეუძლებლობა აძლურებს თქვენს გულისთქმას.

ვერტერმა წართვა თავისი ხელი და გაშტერებით და თან უსიამოვნო გამომეტყველებით შეხედა.

— ძალიან ბრძნული სიტყვაა, დიალ, ბრძნული! იქნება ალბერტის მოგონილიც იყოს? პოლიტიკურია, დიალ პოლიკური!

— ეს შენიშვნა ყველას შეეძლო ექმნა. — მიუგო ლოტტამ. — ნუ თუ მოელს ვრცელ ქვეყნაზე არ არის ქალი, რომელიც შეიძლებს დააკმაყოფილოს თქვენი გულის წადილი? შემოიკრიბეთ ძალი, ეძიეთ და გეფიცებით იპოვნით. დიდიხანია მაფიქრებს, როგორც თქვენთვის, ისე ჩვენთვის ის ვიწრო წრე, რომელშიაც ამ უკანასკნელ ხანებში თქვენ სცხოვრობთ.

გონზე მოდით! მოგზაურობა უთაურდ გაგარითობსთ! ეძიეთ, იპოვნეთ საგანი, ლირსი თქეენი სიყვარულისა, დაბრუნდით უკან და მაშინ დავტკბებით ყველანი ჭეშმარიტი მეგობრობის ნეტარებით.

— ეს უნდა დაბეჭდოს კაცმა და მონასტრის წინამძღვრებს (Hofmeister) დაურიგოს.—უპასუხა ვერტერმა ცივის ლიმილით: —საყვარელო ლოტტა! ცოტა კიდე დამაცალეთ და ყველაფერი მოეწყობა.

— მხოლოდ ერთსა გთხოვ, ვერტერ, არ მოხვიდეთ შობის წინა სალამომდე!

ვერტერს უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ ოთახში შემოვიდა ალბერტი. ისინი ერთმანეთს ცივად მიესალმნენ და ხმა ამოულებლივ დაიწყეს ერთად სიარული წინ და უკან, ვერტერმა დაიწყო რაღაც უმნიშვნელო ბასი, რომელსაც მალე მოელო ბრალო. ალბერტმაც ამ რიგადვე დაიწყო, მეჩე ცოლს ჰკითხა ზოგიერთ საქმეების შესახებ და როცა შეიტყო, რომ ისინი ჯერ არ გაუკეთებიათ, უთხრა ლოტტას რამდენიმე სიტყვა, რომელნიც ვერტერს მეტად ცივად და სასტიკად მოეჩვენენ. მას წასვლა უნდოდა და ვერ წავიდა კი, დარჩა რვა საათამდის, როცა მისი ავგუსტებობა და უსიამოვნება უფრო გაძლიერდა; როცა სუფრა გაშალეს, მან აიღო ხელში ქუდი და ჯოხი. ალბერტმა სთხოვა დარჩენილიყო, მაგრამ ვერტერს ეს დაპატიჟება უგულოდ ეჩვენა, ცივად მადლობა უთხრა და წავიდა.

მოვიდა შინ, გამოართვა სანთელი ხელიდან ბიჭს, რომელიც გზის გასანათებლად მოეგება და შევიდა თავისს ოთახში; იქ იგი მაღლა ტიროდა, ალელეებით ელაპარაკებოდა თავისს თავს, დადიოდ აჩქარებული წინ და უკან და მოლოს ლოგინზე დაეცა ტანგაუხდელი; ასეთ მდგომარეობაში ნახა იგი მოსამსახურებ თერთმეტ საათზე, როცა შევიდა ბატონისთვის ჩექმების გასახდელად. ვერტერმა გაიძრო ჩექმები და აღუკრძალა ბიჭს მეორე დილას ოთახში შემოსვლა, სანამ თვითონ არ დაუძეებდა.

ორშაბათ დილას, ოცდა თერთშეტ დეკემბერს მან მისწერა ლოტტას შემდეგი წერილი, რომელიც მისი სიკვდილის უკან მის სამუშაო მაგიდაზე იპოვნეს დაბეჭდილი და ლოტტას გადასცეს, ამ წერილს აქ ჩავურთავთ ისე ნაწყვეტ-ნაწყვეტად, როგორც თვითონ უწერია..

\*

„გადაწყვეტილია, ლოტტა, მე უნდა მოვკვდე და გწერ ამას არა რომანტიულის გაზვიადებით, არამედ სრულებით დამშვიდებული და სწორედ იმ დღის დილაზედ, როცა უკანასკნელად უნდა გნახო. როდესაც შენ ამ ბარათს წაიკითხავ, ჩემო ძვირფასო, მაშინ ცივს სამარეში იქნებიან დაფარულნი გაშეშებულნი ნაშთნი მოუსვენარისა და უბედურისა, რომელმაც თვისი სიცოცხლის უკანასკნელ წამებში სხვა უმაღლესი სიტკბოება არა იცის-რა, გარდა შენთან საუბარისა. საშინელი ღამე გამოვიარე და ახ! თან კეთილის მყოფელიც. მან გამიმაგრა და განამტკიცა ჩემი გარდაწყვეტილება: მინდა მოვკვდე! როცა გუშინ საშინლად ალელვებული და გრძნობა-ალშფოთებული შენ მოგშორდი, როცა გული აღივსო ტანჯვებით და ჩემმა უიმედ უსიხარულო არსებობამ შენს ახლოს საზარელის სიცოვით შემიპყრო, — ჩემს ბინამდის ძლიერს მივაღწიე, დავეცი სასოწარკვეთილი მუხლებზე და ო, ღმერთო! შენ მომმადლე უკანასკნელი ნეტარება მწარე ცრემლებისა! ათასი ფიქრი, ათასი განზრახვა მიტრიალებდნენ თავში და ბოლოს დარჩა ერთად ერთი მტკიცე და უკანასკნელი ფიქრი: უნდა მოვკვდე. დავწექი და დილაზე გამოლვიძებისასაც იგივ ფიქრი იღვიძებს ჩემს არსებაში ისევ მტკიცე, ისევ შეურყეველი: უნდა მოვკვდე! ეს სასოწარკვეთილებით როდი მომდის, არა, მე დავრწმუნდი, რომ საკმარისად დავიტანჯე და უნდა შენთვის თავი გაეჭირო. დიალ, ლოტტა! რად უნდა დაგიმალო? ჩვენ სამში ერთ-ერთი უნდა წავიდეს და მე მინდა, ეს ერთი მე ვიყო. ო, ჩემო საყვარელო! ამ დასერილ გულში ხშირად ჩამდრომია გახელებული სურვილი—მომეკლა შენი ქმარი!.. შენ!... ჩემი თავიც! მაშ ასეც მოხდეს!... როცა შენ ერთ მშვენიერ ზაფხულის საღამოს სერზე

ახვიდე, მოიგონე, როგორ ამოედიოდი ხოლმე მინდვრიდან ამ სერზე, მერე მიიხედე სასაფლაოსკენ და გადაავლე თვალი ჩემს სამარტი, შეხედე როგორ არხევს იქ ქარი მაღალ ბალახს ჩამავალ მზის შუქზედ.. დამშვიდებული ვიყავი, როცა ამის წერა დავიწყე; ეხლა კი ვტირი, როგორც ბავშვი, რადგან სურა-თები ცოცხლად მიდგანან თვალწინ...“

\*

ათი საათი იქნებოდა, როცა ვერტერმა შოსამსახურეს დაუ-ძახა და ტანისამოსის ჩაცმის დროს უთხრა, რომ იგი ამ დღეებ-ში სამგზაუროდ მიდის და ყველაფვრი მზად იყოს ამ მიზნისა-თვისო, ამის გარდა უბძანა, ყველგან მოეთხოვა ანგარიშები, შეეკრიბა განათხოვრებული წიგნები და იმ ღარიბთათვის, რო-მელთაც ვერტერი ყოველ კვირა რასმე აძლევდა, მიეცა მათ-მათი წილი ორი თვისა წინ-და-წინავე.

საჭმელი მოატანინა ოთახში და დანაყრების უკან იგი წავიდა მოურავისას, რომელიც შინ არ დახვდა. იგი მიმოდი-ოდა ბაღში ღრმად დაფიქრებული და ჩანდა, რომ უკანასკნე-ლად ცდილობდა მოგონებათა მთელი ნალველი აეშალა.

ბავშვებმა დიდი ხნით არ მოასვენეს. ისინი დასდევდნენ, ახტებოდენ ზედ, თან ეუბნებოდნენ, როცა ერთი „ხვალ“ მოვა, კიდე ერთი ხვალ და კიდე ერთი დღე, ლოტტასაგან საშობაო საჩუქრებს მიეიღებთო, და უამბობდნენ სასწაულებს, რომელიც მათს პატარა ფანტაზიას წარმოედგინა.

— ხვალ! — წამოიძახა ვერტერმა: — და კიდე ხვალ და კიდე ერთი დღეც! — და გადაკოცნა ყველა ბავშვები სიყვარულით და აპირობდა წასვლას, როცა უმცროსმა რაღაცასი ყურში თქმა მოინდოშა. მან გაუმხილა ვერტერს, რომ უფროსმა ძმებმა საა-ხალწლო მოსალოცავი ბარათები დასწერესო, ამ სიდიდეო! ერთი მამისათვის, ერთი ალბერტისათვის, ერთი ლოტტასთვის და ერთიც ბატონ ვერტერისათვისაო, და უნდათ ახალწლის დილას მათი გადაცემაო. ამას ვერტერმა ველარ გაუძლო, თვი-თეულს აჩუქა რაღაცები, შეჯდა ცხენზე, დაუბარა მოკითხვა მოხუცისათვის და მოშორდა შათ თვალცრემლიანი.

ხუთს საათზე მოვიდა შინ, და მსახურ ქალს ცეცხლის განთება უჩძანა. მოსამსახურეს უბრძანა. წიგნებისა და თეთრეულის მაფრაშაში ჩალაგება და ტანისამოსის გამოკერვა. მასუკან ალბათ შემდეგი ნაწყვეტი მიუმატა თავისს უკანასკნელ წერილს ლოტტასადმი.

\*

„არ მელი! მეგონა დაგიჯერებდი და მხოლოდ შობას წინა ლამეს გნახავდი. ო, ლოტტა! დღეს, ან არაოდეს. შობას წინა სალამოს შენ გიჭირავს ეს წერილი ხელში, კანკალებ და ასველებ მას საყვარელი ცრემლებით. მე მინდა, მე უნდა!.. ო, რა კარგად ვგრძნობ თავს, გადაწყვეტილების მიღების შემდევ“.

\*

ამასობაში ლოტტა უცნაურ მდგომარეობაში ჩავირდა. ვერტერთან უკანასკნელ საუბარის უკან, მან იგრძნო, თუ რა ძნელი იქნებოდა თვით მისთვისაც ვერტერის მოშორება და რა ტანჯვა უნდა გამოევლო ვერტერს განშორების გამო. ალბერტთან გაკვრით სთქვა ლოტტამ, ვერტერი შობის წინა სალამომდის არ მოვაო. ალბერტი წავიდა ერთ მეზობელ მოხელეს-თან, რომელთანაც რალაც საქმე ჰქონდა. გასაკეთებელი და ლამე დარჩენილიყო.

ლოტტა მარტოვა იჯდა სახლში, არც ერთი მისი და-ძმათა-განი მასთან არ იყო. იგი გაერთო ფიქრებში, რომელნიც გარს შემოსტრიალებდნენ მის ახლობლებს. ლოტტა ხედავდა თავისს თავს საუკუნოდ დაკავშირებულს იმ ადამიანთან, რომლის სიყვარულში და ერთგულებაში იგი დარწმუნებული იყო, რომელიც თვითონაც სულით და გულით უყვარდა, რომლის სიბ შვიდე და სიმტკიცე თვით ზეცის მიერ იყო დანიშნული, რათა პატიოსან ცოლს დაეფუძნებინა მათზე თვისი სიცოცხლის ბედ-ნიერება; გრძნობდა, თუ რა იქნებოდა ყოველთვის ალბერტი მისთვის და მისი შვილებისათვის. მეორეს მხრით ვერტერიც ასე ძვირფასი შეიქნა მისთვის! პირველ გაცნობისათანავე მშვე-

ნიერად აღმოჩნდა შათი სულისა და ხასიათის თვისტომობა. ხანგრძლივმა ნაცნობობამ და ზოგიერთმა ერთად გამონაცადმა გარემოებებმა მოახდინეს მის გულზე აღმოუხოცელი შთაბეჭდილება. მიჩვეული იყო ვერტერისათვის გაეზიარებინა ცველაფერი, რასაც კი საინტერესოს გრძნობდა და ფიქრობდა; ეხლა მისი მოშორება მის მთელს არსებაში გამოიწვევდა ისეთს სიცალიერეს, რომლის ამოვსება შეუძლებელი იქნებოდა. ო, რომ შეეძლოს მას ამ წამში ვერტერის თავისს ძმად გადაქცევა! რა ბედნიერი იქნებოდა! რომ შეეძლოს, ვერტერს შერთოს რომელიმე თავისი მეგობარ ქალთაგანი! რომ შეეძლოს აღბერტსა და ვერტერს შორის უწინდელი დამოკიდებულების აღორძინება.

გუნებაში ჩამოთვალა ცველა თავისი მეგობარი ქალები, თვითეულს მათგანს უპოვნა რამე ნაკლი და ვერც ერთი მათგანი ვერ ნახა ვერტერის ლირსად.

ამ ღრმა მოსაზრებების შემდეგ იგი გრძნობდა, რომ მისი გულითადი საიდუმლო ნატერაა ვერტერის თავისთვის შენახვა და ამასთანავე თავს ეუბნებოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, რომ ეს არ უნდა ექნა. მისმა წმინდამ, მშვენიერმა, სხვიმის მარად მხიარულმა და მომცინარე სულმა იგრძნო სიმძიმე კაეშანისა, რომლისთვისაც დახშულია იმედი ბედნიერებისა. გული მისი იწურებოდა, და თვალთ რაღაც გაურკვეველი ბურუსი გადაჰდარებოდა.

ამასობაში შეიქნა შვიდი საათის ნახევარი, როცა ლოტტას მოესმა კიბეზე ვერტერის ფეხის ხმა და მისი ლაპარაკიც გაარჩია. ვერტერი ლოტტას კითხულობდა. ლოტტას გულმა საოცრად ცემა დაუწყო, შეგვიძლიან ვთქვათ, რომ პირველჯერ ვერტერის მოსვლაზე. მზად იყო ეთქმევინებინა, შინ არ არის ქალბატონიო, და როცა ვერტერი ოთახში შემოვიდა, რაღაც არეულობით მიაძახა: „პირობა არ შეასრულეთ.“ — „მე არაფერს დაგპირებივართ.“ — უპასუხა ვერტერმა:

— ჩემი თხოვნისათვის მაინც მიგექციათ ცურადლება, — მიუგო ლოტტამ, — მე გთხოვეთ ჩვენი ორთავეს შშვიდობიანობისათვის.

რიგიანად არცყი იცოდა ლოტტამ, რას ამბობდა, აგრეთვე ცოტა იცოდა, რას შერებოდა, როცა მან გოგო გაგზავნა შეგობარ ქალებთან და სოხოვდა მათ მოსვლას, რათა ვერტერთან მარტო არ დარჩენილიყო. ვერტერმა დაიწყო მაგიდაზედ რავდენიმე წიგნი, რომელნიც თან მოეტანა, და ითხოვა სხვები; ლოტტას თან უნდოდა, რომ ნახმობი ქალები მოსულიყვნენ, თანაც სურდა არ მოსულიყვნენ. გოგო დაბრუნდა და მოახსენა ქალბატონს, ორივე ბოლიშს იხდიან.

ლოტტას უნდოდა გოგოს მოთავსება ხელსაქნარით მეორე ოთახში, მერე ისევ სხვანაირად მოიფიქრა. ვერტერი ოთახში ბოლოთასა სცემდა. ლოტტა მივიდ პიანინოსთან და დაიწყო ერთი მენუეტი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მან გაიმაგრა გული და თვისისუფლად დაჯდა ვერტერის გვერდით, რომელსაც თვისი ჩვეულებრივი ადგილი დაეჭირა ტახტზე.

— არაფერი გაქვთ წასაკითხავი? — კითხა ლოტტამ.

ვერტერს არაფერი არ ჰქონდა.

— აი, ჩემი მაგიდის უჯრაში დევს ოსსიანის ზოგიერთი ლექსები, ოქვენი თარგმანი, — დაიწყო ლოტტამ. — მე ისინი ჯერ არ წამიკითხავს, რადგან ველოდი, თვით თქვენ წამიკითხავ-დით, მაგრამ ჯერ ეს როგორლაც არ მოხერხდა.

ვერტერმა გაიღიმა, მოიტანა ოსსიანის თარგმანი და, როცა მან ის ხელში აიღო, ტანში რაღაც ქრეილამ გაუარა და თვალები ცრემლებით აევსო, როცა ჩაიხედა ხელ-ნაწერში, ვერტერი ჩამოჯდა ტახტედ და დაიწყო კითხვა.

\*

„ბინდის ვარსკელავო, შენ ტურფად ელვარებ დახავლეთისაკენ, შენს სხივოსან თავს ღრუბლებზე მაღლა სწევ და მიღიხარ დინჯად მოების გასწვრივ. ვის გადმოსცექრი, ვის ეძებ ამ მინდორში? გაშმაგებული ქარი ჩადგა; შორიდან ნაკადულის ხრიალი მოისმის; ზათქიანი ტალღები შესთამაშებენ შორს კლდესა; მინდორში ისმის საღამოს მწერთა ზუზუნი. ვისკენ იყურები, მშვენიერო მნათობო? მაგრამ შენ იღიმები და

მიღიხარ; ტალღები სიხარულით გარს გევლებიან და აბანებენ შენს საყვარელ თმას. მშვიდობით წყნარო სხივო. გამოჩნდი შენ, ოსსანის დიდებულო მნათობო.

„და ჩნდება იგი ძლიერია ვეედავ ჩემს მიცვალებულ მე-გობრებს, ისინი იკრიბებიან ლორაზე, როგორც იმ დროებში, რომელთაც განვლეს... ფინგალი მოდის როგორც ნისლიანი ღრუბლის სვეტი; მასთან არიან მისი გმირები, და, დახე, მგო-სნებიც: ჭალარა ულლინი! ახოვანი რინო! ალპინი, საყვარე-ლი მკოსანი; და შენ, წყნარად-მომთქმელო მინონა! რა-რიგ გამოცვლილ-ხართ, ჩემო მეგობრებო, მას აქეთ რაც ჩვენ სად-ღესასწაულოდ შევიკრიბეთ ზელმაზე და ერთმანეთს ვეჯიბრე-ბოდით ლექსთა თქმაში, როგორც გაზაფხულის ნიავნი ერთმა-ნეთს ეკამათებიან სერზე და არსევენ ჩუმად მოჩურჩულე ბა-ლახსა.

„აი წამოდგა წინ მინონა თავისი მშვენიერებით, მწუხარე სახით და ცრემლით სავსე თვალებით, დაუდგრომელი ქარი უბერავდა მთიდან და მძიმედ უშლიდა თმას. გმირთ გული მო-უბნელდათ, როცა მან აღამალლა თვისი საყვარელი ხმა, რად-გან მათ ხშირად უნახავთ სამარე ზალგარისა, ხშირად უნახავთ ბნელი ბინა თეთრი კოლმასი... ჰარმონიულ-ხმოვან კოლმასი, რომელიც დატოვებულია სერზე; ზალგარი მოსვლას დაპირ-და; მაგრამ დაღამდა.—ისჭინეთ სერზე მარტო მჯდომარე კო-ლმას ხმა.

### გ თ ღ მ ა

„ლამეა!.. მე მარტო ვარ, ამ მშფოთავ სერზე დაკარგუ-ლი. ქარი ღმუის მთებში. ნაკადი ღრიალით ვარდება კლდიდან. მე არ მიფარავს წვიმისაგან არა რა ქოხი, მე, მიტოვებულს მშფოთავ სერზე.

„გამოდი, მთვარევ, ღრუბლებიდან! ამობრწყინდით, ღამის ვარსკვლაენო! ერთ-ერთის სხივო, მიმიყვანე იმ აღგილზე, სადაც

ისვენებს ნადირობით მოქანცული ჩემი საყვარელი; მშვილდი მისი მის გვერდით გდია მოშევებულა, ძალები მისი დაქანცულნი მოთავსებულან მის გარეშემო! მაგრამ მე მარტო უნდა ვიჯდუ ამ ადიდებული ნაკადულის კლდოვან ნაპირზედ. ნაკადისა და ქარის ღრიალში არ მესმის ხმა ჩემი სატრფოისა.

„რად იგვიანებს ჩემი სალგარი? ნუ თუ თავისი სიტყვა დაიერწყა? აი, იქ ის ხე და იგი კლდე, აი აქ ეს ზარიანი ნაკადი! შენ შემომპირდი დალამებისას აქ მოსვლას; ახ, სად დაიკარგა ჩემა ზალგარი? შენთან შინდოდა გაქცევა და მიტოვება ამპარტეან მამისა და ძმისა! დიდი ზანია, რომ ჩვენი გეარნი მტრები არიან, მაგრამ ჩვენ კი არა ვართ მტერნი, ოჰ, ზალგარ!

„დაჩუმდი, ქარო, ერთი წუთით! დაწყნარდი მოკლე ხნითა, ოჰ, ნაკადულო! რათა გაისმას ჩემი ხმა ხევში და გაიგონოს ჩემმა მოგზაურმა. ზალგარ! მე ვარ ეს, მე, მე გეძახი! აი აქ ის ხე და იგი კლდე! ზალგარ! ჩემო ძეირფასო! მე აქ ვარ; რისთვის გვიანობ, რად არ მოდიხარ?

„ჩუ! მთვარე ჩნდება, ხევში ტალღები ბრწყინავენ; კლდე ები დგანან თეთრად მთის აღმა; მაგრამ მალლობზე მას ვერ ვხედავ. მისი ძალები იმის მოსვლას არ მაცნობებენ. აქ უნდა დაერჩე მე მარტოკა.

„მაგრამ ისინი ვინ არიან, ქვეით მინდორზე რომა გდიან? ჩემი მიჯნური? ჩემი ძმა? თქვით, მეგობრებო! პასუხს არ მაძლევენ. როგორ გეწურება გული! ახ, ისინი მკვდარნი არიან და მათი ხმალნი ბრძოლისაგან გაწითლებულნი! ოჰ, ძმაო, რისთვის მოჰკალ ჩემი ზალგარი? ჩემო ზალგარო! ძმა რად მომიკალ? თქვენ ორივენი ისე მიუვარდით! შენ იყავ მთაზე უშმენიერესი, ის კი ბრძოლაში იყო საშინელი. მიპასუხეთ! ჩემო ძეირფასნო, გაიგონეთ ჩემი ხმა მაგრამ, ახ! ისინი უტყენი არიან! უტყენი საუკუნოდ! და მათნი გულნი მიწასაეით ცივნი!

„ოჰ, გარდაცვლილთა სულნო, გადმომძახეთ კლდიდან, მშფრირთარე შთის წვეროდან, მე ეს ვერ შემაშინებს! მითხა-

რით, საით წახვედით მოსასვენებლად? რომელი მთის რომელ მღვიმეში უნდა მოვნახოთ? ქარში არ მომდის სუსტი ხმაც კი, არც მონაბერი რამ პასუხი ქარიშხლის შფოთვაში?

„ვზივარ და ვტირი, დაცრემლებული ველი დილასა. დაამზადეთ სამარენი, თქვენ, მეგობრებო, მიცვალებულთა; არ დახუროთ კი, სანამ არ მოვალ. ჩემი სიცოცხლე ჰქრება, ვითა რამე სიზმარი; როგორლა უნდა დავრჩე ცოცხალი. მსურს, რომ ექვე დავრჩე მეგობრებთან, ამ ხმოვან კლდეთა ნაკადულზე. როცა ამ სერზე დაღამდება და ქვეით ტრამალზე ქარი ამოვარდება, ჩემი სული ქარში უნდა იდგეს და იგლოვოს სიკვდილი თვისი მეგობრებისა. მონადირე თავისი საჩრდილობლიდან ყურს მიგდებს, ჩემი ხმის ეშინია მას და უყვარს კიდეც, რადგან ჩემი ხმა მეგობართადმი მიმართული ტკბილი უნდა იყოს; ისინი ორი-ვე ასე ძლიერ მიყვარდნენ!

„ეს იყო შენი სიმღერა, მინონა, თორმანის ნაზო ასულო. ცრემლები გედინდა კოლმასათვის და სული ჩვენი მოიცვანელმა.

„გამოვიდა ულლინი და პარფით ხელში გადმოვცა ალპინის სიმღერა: ხმა ალპინისა იყო მეგობრული, რინოს სული—უეცხლებრ სხივოსანი. მაგრამ ისინი მალე განისვენებდნენ ვიწრო სადგომში და ხმა მათი განიფანტა ზელმაზე. ერთხელ დაბრუნდა ულლინი ნადირობიდან, სანამ გმირები დაიხოცებოდნენ. მას ესმა სერზე მათი სამეტოქო სიმღერები. მათი სიმღერა მშეიცი იყო, მანამ მწუხარე. ისინი გლოვდენ პირველ გმირის, მორარის სიკვდილს. სული მისი ფინგალის სულს ჰგავდა და ხმალი მისი ოსკარის ხმალსა... მაგრამ მოკვდა და მამა მისი ტიროდა, და მის დის თვალები სავსე იყვნენ ცრემლებით, ცრემლებით იყვნენ საესე თვალნი შინონასი, დიდებულ მორარის დისა. მან ულლინის სიმღერის დროს უკან დაიწია, როგორც დასაელეთის მთვარებ, რომელიც წინასწარ ხედავს ქარიშხალს და თავისს მშვენიერ თავს ღრუბელში შალავს. მე ჩამოვკარი პარფას ულლინთან ერთად გლოვის სამღერად.

## დის ა

„გადილო წეიმამ, ჩადგა ქარი, შუალლე არის მხიარული, ლრუბელნი იფანტებიან. მიჩქარობს და ანათებს სერსა დაუდგრომელი მზე. შეწითლებული მიმდინარეობს ხევში ნაკადი მთისა. ნაკადო, შენი ბუტბუტი ტკბილი არის. უფრო ტკბილი კი იგი ხმაა, რომელიც მესმის. იგი ხმა არის ალპინისა, რომელიც სტირის მიცვალებულს. მისი თავი ხნოვანებისაგან დახრილია, და წითელია თვალი მისი კრემლებისაგან. ალპინ, მგოსანო ჩინებულო! რად ხარ სულ მარტო მყუდრო გორაზე? რისთვის ქვითინებ, როგორც ქარი ტყეში, როგორც ზღვის ტალღა შორეულ კიდეზე?“

## ა დ შ ი ნ

„ჩემი ცრემლები, რინო, არიან მიცვალებულისთვის, ჩემი ხმა არის სამარეში მცხოვრებთათვის. ტანად სარო ხარ მაგ გორაზე და მშვენიერი ტრამალთ შვილებში. მაგრამ შენც დაუცემი, როგორც მორარი, და შენს საფლავზე მგლოვიარე დაჯდება ვინმე. შენი გორები დაგივიწყებენ და მშვილდი შენი მოშვებული შინ დაგირჩება.“

„ოჟ, მორარ, შენ იყავი სწრაფი, როგორც მთის ჯიხვი, საშინელი, როგორც ლამის ცეცხლი ცაზე. შენი ჯავრობა გრიგალს ჰევდა, ბრძოლაში შენი ხმალი კაცს აგონებდა ტრამალ მინდვრებში ელვისა შუქსა. შენი ხმა ჰევდა ტყის ნაკადსა წვიმის შემდეგ, ქუხილს შორს მთებზე. ბეერი დაეცა შენი ხელით, შენი წყრომის ალმა გაანადგურა ისინი. მაგრამ, როცა კი ბრუნდებოდი ომიდან, რა მშვიდი იყო შენი ხმა! შენი სახე წააგავდა მზეს ავდრის შემდეგ, მთვარე მყუდრო ღამეში, შენი გული ისევე წყნარი, როგორც ტბა, როცა ჩადგება ხოლმე მშფოთარე ქარი.“

„ახლა ვიწროა შენი სადგომი! ბნელი არის შენი აძგილი! სამი ნაბიჯით ვზომავ შენს საფლავს, ო, მორარ! რომელიც წინეთ ისე დიდი იყავი! ოთხი ხავსმოკიდებული ქვა არის შენი ერთად-ერთი სახსოვარი, ერთი ფოთლებ-გაცვინული ხე და მაღალი ბალახი, რომელსაც აშრიალებს ხოლმე ჭარი, უჩვენებენ მონადირის თვალს საფლავს ძლევა-მოსილ მორარისას. არა გყავს დედა, და არც სატრფო, რომ დაგიტიროს სიყვარულის ცრემლებით! მკვდარია იგი, ვინც შენ გშობა, და აღარ არის ცოცხალი ქალი მორგლანისა.

„ვინ არის ესა, ყავარჯენზე რომ დაყრდნობილა? ვინ არის ესა, რომლის თავიც წლოვანებისაგან გათეთრებულა, რომლის თვალებიც წითელია ცრემლებისაგან?.. მამა-შენიაო, მორარ! მამა ერთად-ერთი შეილისა. მან გაიგონა ბრძოლაში მოხვეჭილი. შენი სახელი; მან შეიტყო მტრის დამარცხება; მან გაიგო მორარის დიდება! ახ! მაგრამ ის კი არ გაუკია, რომ დასჭრეს იგი! იტირე, მამავ მორარისავ, იტირე! შენი შეილი კი შენს ტირილს ვერ გაიგონებს. ლრმა არის ძილი მიცეალებულთა და დაბალია მათი მტერისა ბალიში. ვერაოდეს ვეღარ მიაქცევს ის ყურადღებას ხმას, არაოდეს არ გაიღვიძებს ის შენ ძახილზე! ო! როდის იქნება სამარეში დილა გათენდეს, რომ უთხრას მიძინებულს; გამოიღვიძე!

„მშვიდობით! უკეთილშობილესო ადამიანთა შორის, შენ მძლეთა მძლეო ბრძოლის ველზე! მაგრამ ეს ველი ვერაოდეს ვეღარა გნახავს!.. შენი ფოლადის პრიალი ვეღარაოდეს ვერ მოჰვენს შუქს ბნელს ტყეს. შენ არ დასტოვე შეილი, მაგრამ შენს სახელს სიმღერები ჰყოფენ უკვდავად. მომავალ დროთა უნდა გაიგონ შენი ამბავი, უნდა შეიტყონ ამბავი განგმირულ მორარისა.

ძლიერი იყო გმირების გლოვა, უფრო ძლიერი არმინის ოხვრა. მას მოაგონდა შეილის სიკვდილი, იგი მოჟლულა სულ ახალგაზდა, კარმორი იჯდა იმ გმირების ახლოს, კარმორი, თავადი ხმოვან გალმალისა. რას ნიშნავს ოხვრა არმინისა? სთქვა

მან.—რა არის აქ სატირალი? განა არ ისმის ლექსი და სიმღერა სულის დამდნობი და გამხარებელი? ისჩნი ჰვანან ნაშ ნისლი, რომელიც ამოდის ტბილან, ველს ეკურება და მით გაშლილი? ყვავილები ცერით იქსებიან. მაგრამ მზე ისევ ძალას იკრებს და ნისლი ჰქრება. რისთვის ხარ აგრე შეწუხებული, არმინ, მფლობელო ზღვით შემოზღუდულ გორმისა?

„შეწუხებული? დიახ, მართლა ეარ შეწუხებული და მიზეზი ჩემი ვაებისა მცირე არ არის. კარმორ, შენ შვილი არ დაგიკარგავს, არ დაგიკარგვს შენ ასული აღყვავებული; მამაცი კოლგარ ცოცხალია, და ამირა, უტურფესი ქალთა შორის. ტოტები შენი ოჯახისა ყვავიან, კარმორ; არმინიკი თვისი ტომის უკანასკნელი წევრი არის. ბნელია შენი სარეცელი, ოპ, დაურა! მყუდრო არის შენი ძილი სამარეში... როდის გაიღვიძებ შენი სიმღერებით, შენი საამური ხმით? ამოდით, ქარნო შემოდგომისა! ამოვარდით, იშფოთეთ ბნელ ტრამალზედა! ტყისა ნაკადნო, გრგვინვით აღქაფდით! იღრიალეთ, გრიგალნო, მუხათ მწვერვალებზე! იარე, მთვარევ, დაგლეჯილ ღრუბლებში და ხანდახან გამოაჩინე შენი მკრთალი სახე! ის საშინელი ღამე მომაგონე, როცა დაიღუპნენ ჩემი შვილები, როდესაც მოიკლა არინდალი. ძლევამოსილი, როცა დაურამ საყვარელმა დაუტევა წუთისოფელი.

„დაურა, ჩემო ასულო, შენ მშვენიერი იყაეთ! მშვენიერი, როგორც მთვარე ფურას გორებზე, თეთრი, როგორც ახალი თოვლი; ტკბილი, როგორც სულის სათვემელი ჰაერი! არნდალ, ძლიერი იყო შენი მშვილდი, შენი შუბი ჩქარი ბძოლა: ში, შენი შეხედვა, როგორც ნისლი ზღვისა ტალღებზე, შენი ფარი, როგორც ცეცხლის ღრუბელი ქარიშხალის დროს!

არმარი, ომში სახელ-განთქმული, მოვიდა დაურას სიყვარულის საძებრად; დაურაც დიდხანს არა მდგარა უარზე. მშვენიერნი იყვნენ მათი იმედები.

„ერათი, შვილი ოდგალლისა გამწყრალი იყო, რადგან მისი ძმა მოკლულიყო არმარისაგან. იგი მოვიდა მეზღვეურის

ტანისამოსში. მშვენიერი იყო მისი ნავი ტალღებზე, მისი თმა თეორი წლოვანებისგან, მშეიდობიანი დინჯი სახე. ქალთა-შორის უტურფესო,—სთქვა მან,—არმინისა ძვირფასო ქალო, იქ კლდეზე ახლოს ზღვაზე, სადაც ხეებზე კრთომით მოჩანს წითელი ნაყოფი, იქ ელის არმარ დაურასა. მე მოვედი, რომ წავუყვანო მას მისი სატრფო მღელებარე ზღვაზე.

„დაურა წაჭყვა და დაუწყო ძახილი არმარს, პასუხად მხოლოდ კლდემ გამოუხმო. არმარ! ჩემო საყვარელო! ჩემო სატრფო! რისთვის მაშინებ ასე? ისმინე, შვილო არნათისავ! გაიგონე! დაურა არის, რომ გეძახის.

„ერათი, მოღალატე, სიცილით ხმელეთზე გაიქცა, ქალი. ხმა-მაღლა ეძახოდა მას და ძმასა: არინდალ! არმინ! არავინ არის, რომ უშველოს თავისს დაურას!

„მისმა ძახილმა ზღვას აქეთაც გამოაწია. არინდალი, ჩემი შვილი, ნაღირობაში გასალკლდევებული ჩამოვიდა მაღლა გორჩდან; ისრები მისი ჩხარუნობდენ იმის გვერდზე; მშვილდი თავისი ხელთ ეჭირა; თან მოპყვებოდა ხუთი შავ-რუხი ძაღლი. მან დაინახა თავგასული ერათი ნაპირზე, დაიჭირა და მიაბა მუხაზე; მაგრად შემოარტყა საბელი გარს თეძოებზე; მიჯაჭვულ მა ოხვრა-კვნესით გაავსო ქარნი.

„არინდალი თავის ნავით შედგა ზეირთებზე დაურას გამოსაყვანად. მოვიდა არმარ გაშმაგებული, მოსწია თავის ნაკრის ფერ-ფთიან ისარს,—იგი სტვენით ჩაგესო გულში, არინდალი, ჩემო შვილო! მუხთალ ერათის მაგიერად შენ დაიღუპე; ნავი მივიდა კლდემდის, არინდალი წაიქცა და მოკვდა. შენს ფერხთა ქვეშე სდინდა სისხლი შენი ძმისა; როგორი იყო შენი მოთქმა, ოჟ დაურა!

„ზეირთთ დაამსხვრიეს იგი ნავი. არმარი გადაიჭრა ზღვაში, რათა დაურა გადაერჩინა, ან მომკვდარიყო. მსწრაფლ გადმოეშო მაღლიდანა იგი, ჩაიძირა და ხელ-მეორედ იღარ გამოჩენილა.

„ზღვაშემოკლებულ გორაჩედა გავიგონე მე ჩემი ასულის მოთქმა-ტირილი. ძახილი მისი იყო ხშირი და ხმა-მაღალი, მაგრამ მამამ მას ვეღარ უშველა. მთელი ლამე ვიდეგ ნაპირზე, ვხედავდი მას მთვარის მკრთალ შუქზე, მთელი ლამე მესმოდა მისი ყვირილი; ქარი შფოთავდა და მთის მხარეზე სასტიკად სწვიმდა. დაურას ხმა დასუსტდა გაენებამდის; იგი მოკვდა, როგორც საღამოის ნიავი კლდის ბალახთა-შორის. მწუხარებით დამძიმებული მოკვდა დაურა, და დასტოვა არმინი მარტო! გამიქრა ჩემი ძლიერება ბრძოლაში, მომიკვდა ჩემი საამაყო ქალწულთა შორის!

„როცა მოდიან გრიგალნი მთისა, როს ჩრდილოეთის ქარი მაღლა სწევს ზეირთებს, მე ვზივარ ხოლმე ხმოვან ნაპირზე და ვიყურები იმ საშინელ კლდისაკენ. მთვარის უკანასკნელ შუქზე ხშირად ვხედავ ჩემი შეილების ბინდიან სულებს, რომელნიც მიმოფრინავენ სევდიანი თანხმობით.“

ცრემლთა ნაკადულმა, რომელიც ლოტტას თვალთ წარმოსქდა და რომელმაც შეხუთულ გულს ჰაერი მისცა, შესწყვიტა ვერტერის კითხვა. ვერტერმა განზე მიაგდო ხელნაწერი, სწრაფად გამოართვა ხელი ლოტტას და დაიწყო მწარე, მწარე ცრემლებით ტირილი. ლოტტა დაყრდნობილი იყო მეორე ხელზე და თვალებზე ხელმანდილი მიეფარებინა. ორივე საშინლად ღელავდნენ. ისინი იმ კეთილშობილ გმირთა ხვედრში საკუთარ უბედურებას გრძნობდნენ, ამას ისინი ერთნაირად გრძნობდნენ და მათი ცრემლები ერთდებოდნენ. ვერტერის ტუჩებს და თვალებს ლოტტას ხელზე ცეცხლი ენთებოდა. ლოტტა რაღაც შიშა შეიპყრო, უნდოდა წასელა, მაგრამ რაღაც ტანჯვა და თანაგრძნობა ტყვიასავით ამძიმებდნენ მას. მან ამოისუნთქა მოსასვენებლად და სთხოვა ვერტერს კითხვის განგრძობა, სთხოვა ნაზის ციურის ხმით! ვერტერი თრთოდა, გული მისი ამოხეთქას ლამოდა; აიღო რვეული და დაიწყო არეულის ჭმით კითხვა:

„რისთვის მაღვიძებ, გაზაფხულის ნიავო? შენ მეალერსები და მეუბნები, ცის ცვარს გაპკურებო! მაგრამ დრო ჩემი დაჭკნო-

ბისა ხომ ახლო არის, ახლო არის იგი გრიგალი, რომელიც ჩამოჰყრის ჩემს ფოთლებს! ხვალ მოვა მგზავრი, მოვა იგი, რომელსაც ვუნახავარ სრულის შშვენებით, და მისი თვალი მთელ მინდორში დამიწყებს ძებნას და ვერ მიპოვნის...“

\*

მთელი სიძლიერე ამ სიტყვებისა ვერტერს გულზე დააწვა. იგი დაეცა ძირს ლოტტას წინ აღსავსე სასოწარკვეთილებითა, ხელი სტაცა მის ხელებს, მიიკრა ისინი თეალებზე, შუბლზე; ლოტტას გულში გაუჩიბინა წინად გრძნობამ ვერტერის საშინელი განზრახვისა. გრძნობები აერია ქალს, იგი ვერტერის ხელებს ხელს უჭერდა, იკრავდა მათ გულში, მერე ტანჯვით სავსე მოძრაობით დასწვდა ვერტერს და მათი ცეცხლმოდებული დაწვნი ერთმანეთს შეეხნენ. მთელი ქვეყანა გაჰქრა მათ-თვის. ვერტერმა მოხვია ხელი ლოტტას, ჩაიკრა იგი გულში და მისი მთრთოლვარე, განურკვეველად მობუტბუტე ტუჩები დაჰფარა ათასი გაშმაგებული კოცნით. „ვერტერ!“ — უთხა ლოტტამ შეხუთულის ხმით და თავი მიიბრუნა: — „ვერტერ!“ — და ცდილობდა თავისი სუსტი ხელით ვერტერის გული თავისისაგან განეშორებინა. — „ვერტერ!“ — წამოიძახა მან უკეთილშობილესი გრძნობის მტკიცე ხმით. ვერტერი არ ეწინააღმდეგებოდა; გაუშეა იგი ხელიდან და ცნობა დაქარგულივით დაეცა მის წინ. ლოტტა წამოდგა შეშინებული და არეული, წყრო-მითა და სიყვარულით უთხრა: „ეს უკანასკნელია ვერტერ! კვლავ ვეღარა მნახავთ!“ უბეზურ ჭაბუქს გადახედა სიყვარულით სავსე თვალებით, გავიდა მეორე ოთახში და ჩაკეტა კარები. ვერტერმა გააშვირა მისკენ ხელები, მაგრამ ვერ ბედავდა მისს შეჩერებას. იგი იწვა იატაკზე, თავი ტახტზე ჰქონდა დადებული და ამ ყოფაში იყო ნახევარ საათზე მეტი, სანამ ცნობაზე არ მოიყვანა რაღაც ხმაურობამ. ეს იყო მოსამსახურე გოგო, რომელიც სუფრის გახაწყობად შემოსულიყო. ვერტერმა დაიწყო ოთახში ბოლოთის ცემა, სანამ ისევ მარტო არ დარჩა მაშინ ის მიეიდა კაბინეტის კარებთან და დაბლა დაიძახა: „ლოტტა!

ლოტტა! მხოლოდ ერთი სიტყვა კიდევ! ერთი „მშვიდობით!“ ლოტტა ხმას არ იღებდა. ვერტერი უცდიდა, სთხოვდა და ელოდა; მერე საჩქაროდ მოშორდა და დაუძახა: „მშვიდობით! ლოტტა! საუკუნოდ მშვიდობით!“

ქალაქის ჭიშკართან მივიდა. დარაჯები იცნობდნენ მას და ხმა ამოუღებლივ გაუშვეს. წვიმდა და თოვდა. მხოლოდ სალამოს თერთმეტ საათზე დაბრუნდა ვერტერი ქალაქში. მოსამსახურებ შენიშნა, რომ მისი ბატონი უქუდოდ იყო. ვერ გაბედა კი თქმა; ტანისამოსი გახადა; ყველაფერი სველი იყო. შემდეგში მისი ქუდი, იპოვნებ ერთ კლდეზე, რომელიც ერთი გორის ციცაბოდან ხევს გაჰყურებს; გაუგებარია, როგორ შეეძლო ვერტერს ბნელს, ნისლიან ლამეში იმ კლდეზე ასვლა ისე, რომ არ გადაიჩეხა უფსკრულში.

ვერტერი დაწეა, მაგრამ დიდ ხან არ სძრნებია. მომსამსახურებ ნახა ის დილაზე,—როცა ბძანებისა-მებრ ყავა მიართვა,— მაგიდასთან მჯდომარე და წერილის წერაში გართული.

მან ლოტტასათვის დანიშნულ წერილს მიუმატა შეძეგი:

\*

„მაშ უკანასკნელად, უკანასკნელად ვახელ ამ თვალებს, ახ, ისინი ველარ იხილავენ მზეს; მას ჰფარავს დალვრემილი ნისლიანი დღე. აბა, იგლოვე, ბუნებაო! შენი შეილი, შენი მეგობარი, შენი საყეარელი უახლოვდება თავის დასასრულს. ლოტტა! ეს არის შეუდარებელი გრძნობა და იგი მაინც უფრო ჰგავს გამოურკვეველ სიზმარს—კაცმა თავს უთხრას: „ეს უკანასკნელი დილა არის. უკანასკნელი ლოტტა, მე არ მესმის სიტყვა უკანასგნელი!“ ეხლა ხომ მთელი ჩემის ძალით ვარსებობ! ნუ თუ ზვალ გაშილართული და ულონო ვიწვები მიწაზედ? „სიკვდილი!“ რა არის იგი? იცი, ჩვენ სიზმარში ვართ, როცა სიკვდილზე ელაპარაკობთ. მინახავს ზოგიერთი მომაკვდავი; მაგრამ ადამიანი იმდენად შეზღუდულია, რომ არაეითარი ყარმოდენა არა აქვს თვისი არსებობის დასაწყისზე და დასასრულზე.

დღეს კიდევ ჩემს თავს ვეკუთვნი, ჩემი ვარ, შენი! შენი, ოჯ საყვარელო! და ერთ წამში მოგშორდები... დაგტოვებ... იქნება საუკუნოდ? არა, ლოტტა, არა... როგორ შეიძლება, რომ გავქრები რომ გაჰქრები ვარსებობთ ხომ! გაქრობა! რას ნიშნავს ეს? ეს ისევ სიტყვაა! ერთი ცალიერი ხმა, უაზრო და უგრძნობო ჩემი გულისფერის... მკვდარი! ახ, ლოტტა! ციცს მიწაში ჩაფლული... ვიწრო და ბნელი ერთი მეგობარი ქალი მყავდა, რომელიც ჩემს უსუსურ ყმაწვილობაში, ჩემთვის ნამდვილი ყავარჯენი იყოს, იგი მოკვდა და მე მივსდევდი მის გვამს, ვიდექი სამარის პირზე, ვხედავდი, რომ ჩაუშვეს კუბო, შეხსნეს თოკები და ამოილეს, მერე პირველი ბარი მიწა დააყარეს და შემკრთალმა ფიცარმა ყრუ ხმა გამოსცა, უფრო და უფრო ყრუ, სანამ სულ დაფარული არ იქმნა!.. მე დავეცი სამარის პირზე... თავზარდაცემული, შერყეული, შეშინებული შინაგან არსება დატანჯული... არ ვიცოდი მაინც და არც ეხლა ვიცი, რა არის სიკვდილი! სამარე! მე არ მესმის ეს სატყვები!

ოჯ, მომიტევე! მომიტევე! გუშინ, ის უნდა ყოფილიყო ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი წამი! ოჯ, ანგელოზო! პირველად, სრულებით მოულოდნელად მთელს ჩემს შინაგან არსებაში ცეცხლივით დამიარა სანეტარო გრძნობაში: უუყვარეს! ჩემს ტუჩებზე კიდევ ანთია ის წმინდა ცეცხლი, რომელიც შენი ტუჩებიდან გაღმომდინარდა! ახალი, თბილი ნეტარება არის ჩემს გულში. მომიტევე! მომიტევე!

ახ, ვიცოდი, რომ გიყვარდი, ეს ვცანი შენს პირველს სულით სავსე გარდმოხედვაზე, პირველ ხელის ჩამორთმევაზე: და მაინც, როცა გშორდებოდი, როცა ალბერტს შენს გვერდით ვხედავდი, მე კვლავ მიპყრობდა გულის მწყვლელი იჭვი.

გახსოვს ის ყვავილები, რომელნიც შენ გამომიგზავნე, რაკი იმ მოსაწყენ საზოგადოებაში ვერ მოახერხე ჩემთვის სიტყვა გეთქვა, ხელი გამოგეწოდა? ოჯ, ნახევარი ლამე მათ წინ მუხლ-მოდრეკილი ვიყავი და მათ აღმიბეჭდეს შენი სიყვარული. მაგრამ, ახ! იმ შთაბეჭდილებათ განვლეს....

ყველაფერი წარმავალია, მაგრამ დრო ვერ გააქრობს იმ მგზნებარე სიცოცხლეს, რომელიც ვიგრძენ გუშინ შენს ბაგეზე და რომელსაც ეხლაც ვერძნობ! ვუყვარვარ! ეს ხელები მას შემოხვევიან, ეს ბაგენი მისს ბაგეზე თრთოდენ, იგი ჩემია! შენ ჩემი ხარ! დიახ, ლოტტა, საუკუნოდ!

მერე რა, რომ ალბერტი შენი ქმარია? ქმარი!... დიახ, ამ ქვეყნისთვის... და ამ ქვეყანაზეც ცოდვაა, რომ მიყვარხარ, რომ მისთვის შენი თავის წართმევა მინდოდა. ცოდვაო? კარგი და ამისათვის მე თვითონ ვსჯი ჩემს თავს; იგი ცოდვა მთელი მისი ციური სიტკბოებით ვიგემი, გულში ჩავიწოვე სიცოცხლის ბალზამი და ძალა. ამ წარმიდან შენ ჩემი ხარ! ჩემი ოჯ ლოტტა! მე მივდივარ! მივდივარ ჩვენს საერთო მამასთან, მას შევსჩივლებ და იგი მანუგეშებს, სანამ შენ მოხვიდოდე, მე გამოვფრინდები შენს შესახვეჭრად, მოგხვევ ხელს და დავრჩებით ხელიხელ-გაყრილნი წინაშე მარადმყოფიასა.

სიზმარში არა ვარ, არა ეცდები, სამარის ახლოს ცნობიერება მინათლდება. ჩვენი არსებობა გაგრძელდება! ენახავთ ერთმანეთს! ენახავთ დედა-შენს! მე ვნახავ მას, და მის წინაშე აღვიარებ რაც რამ გულში მაქვს! რადგან იგი შენი მსგავსებაა.“

\*

თერთმეტ საათზე ვერტერმა ჰკითხა მოსამსახურეს, ალბერტი დაბრუნდა თუ არაო? მოსამსახურემ მოახსენა: დიახ, დავინაზე მისი ცხენი მიჰყავდათო. ვერტერმა გაატანა ბიჭს ლია წერილი შემდეგას შინაარსისა.

„იქნება მათხოვოთ თქვენი დაშპაჩები განზრახულ მოზაურობისაოვის? იცოცხლეთ მშევიდობით!“

\*

საბრალო. ქალს უკანასკნელი ლამე ძალიან ცოტა ეძინა, რისაც ეშინოდა, ის გარდაწყვეტილი იყო, და მერე ისე, რომ იგი არც მოელოდა. სხვიმის ისე წმინდა და ადვილად მოძრავი სისხლი მისი რაღაც მოუსვენრად შფოთავდა. ათასნაირი გრძნობა

და ფიქრი სტანჯავდა მის მშვენიერ გულს. ეს ვერტერის მოხსევნის ცეცხლი იყო, რასაც იგი გრძნობდა? თუ იგი იყო წყრომა ერტერის გაშედაობაზე? ან უსიამოვნო შედარება თვისი ეხლანდელ მდგომარეობისა იმ წინანდელ, უმანკო უზრუნველ დღეებთან, როცა მას თავის-თავის სრული იმედი ჰქონდა? როგორ უნდა შეხვედროდა ის თავისს ქმარს? როგორ უნდა გაემხილა ქმრისათვის ის სცენა, რომლის გამხელაც უნდოდა და ვერ ბედავდა კი? ამოდენი წანი ამ საგანზე ორივე გაჩუმებული იყვნენ და ეხლა სიჩუმე მას პირველს უნდა დაერღვია და ქმრისათვის ასე მოუხერხებელ დროს ამდენად მოულოდნელი ამბავი უნდა გაემხილა? უკვე მისი ეშინოდა, რომ ვერტერის უბრალო მოსვლის ამბავი ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენდა ალბერტზე და ეხლა კიდევ ეს მოულოდნელი კატასტროფა! შეეძლო იმედოვნება, რომ მისი ქმარი ამ ამბავს შეემცდარის თვალით არ შეხედავდა, და მოისმენდა მას წინასწარ განუსჯელად? უნდოდა კი, რომ მის ქმარს ჩაეხედა მისს გულში? თუ არა და შეეძლო თავის მოკარუნება იმ ადამიანთან, რომლის წინაშე იგი მარად ბროლივით გამჭვირვალე და თავისუფალი იყო, რომლისთვისაც თავისს დღეში არ დაუმალავს თვისი ფიქრები და არც დამალვა შეეძლო? ერთიც და მეორეც აფიქრებდა მას, გამოურკვეველ მდგომარეობაში აგდებდა, და სულ მუდამ მისი ფიქრები უბრუნდებოდნენ ვერტერს, რომელიც მისთვის დაკარგული იყო, რომლის გაშვება არ უნდოდა, რომელიც სამწუხაროდ ძალა უნდებურად მიანდო მის ბედსა და იღბალს და რომელსაც იმის გარეშე აღარა რჩებოდა-რა ქვეყანაზე.

რა მძიმედ აწვა ლოტტას ის უკმაყოფილება, რომელიც მასა და მის ქმარს შორის განვითარებდა და რომელიც გარკვეულად ვერც კი წარმოეფინა! ეგზომ გონიერმა და გულკეთილმა აღამიანებმა ზოგიერთი შინაგანი განსხვავების გამო დაიწყეს სიჩუმე, თვითოვეული მათგანი ფიქრობდა თავისს სიმართლეზე და მეორის ბრალიანობაზედ და მათი დამოკიდებულება ისე დაიხლართა, რომ შეუძლებელი გახდა ნასკვის

გახსნა თვით იმ კრიტიკულ წამში, რომლისგანაც იყო ყველა-  
ფერი დამკიდებული. რომ ნდობას და გულწრფელობას ისინი  
აღრევე დაეახლოვებინა ერთმანეთთან, სიყვარული და მეგობ-  
რობა კვალავ აღორძინებულიყო მათ შორის და გულნი მათ-  
ნი ერთმანეთისათვის გახსნილიყვენ, ჩვენს მეგობარს კიდე ეშვე-  
ლებოდა რამე.

ამას დაერთო შემდეგი უცნაური გარემოება: როგორც  
ვიცით შისი წერილებიდან, ვერტერი არა ფარავდა, რომ წუთი-  
სოფლის მიტოვებას ნატრობდა. ალბერტი ხშირად ეკამათე-  
ბოდა მას ამ საგნის შესახებ, და კოლთანაც ხშირად ჰქონია  
საუბარი ამაზევე. ალბერტს საოცრად ეზიზლებოდა ასეთი მოქ-  
მედება ადამიანისა, და ამიტომ ხშირად მეტის მისთვის უჩვე-  
ულო გაცხარებით ამბობდა, რომ ასეთი განზრახვის განხორ-  
ციელება არა მწამსო; ამის შესახებ ხუმრობდა კიდეც და თა-  
ვისი ურწმუნოება გადასცა ლოტტასაც. ამან დაამშვიდა  
ლოტტა ერთის მხრით, როცა მას ფიქრში წარმოუდგებოდა  
ხოლმე სამწუხარო სურათი. მეორეს მხრით ეს უშლიდა მას  
გაემხილა ქმრისათვის ის შიში, რომელიც ამ წამში მას სტან-  
ჯავდა.

ალბერტი დაბრუნდა. ლოტტა ცოტა არეული საჩქაროდ  
მიეგება; ალბერტი არ იყო კარგ გუნდაზე; მისი საქმე ჯერ  
არ გათავებულიყო; მან მეზობელ მოხელეში ერთი მოუდრეკე-  
ლი, სულ-მოკლე ადამიანი ნახა; ემას გარდა ცუდმა გზებმაც  
გაჯავრეს.

მან იკითხა, ხომ არაფერი მომხდარაო და ლოტტამ აჩქარე-  
ბით მიუგო: გუშინ სალამოს ვერტერი იყოვო. მერე იკითხა  
წერილები და ლოტტამ უთხრა, რამდენიმე წერილი შენს კაბი-  
ნეტში შევიტანეო. ალბერტი თავისს ოთახში გავიდა, ლოტტა  
კი მარტო დარჩა. ქმრის თან-ყოფამ, რომელიც უყვარდა და  
რომელსაც პატივსა სცემდა, მოახდინა. მის გულზე ახალი შთა-  
ბეჭდილება. წარმოიდგინა ალბერტის კეთილშობილი ხასიათი;  
მისი სიყვარული და გულკეთილობა და ამან უფრო დაამშვიდა  
მისი სული. მან იგრძნო იღუმალი მიზიდულება, აიღო ხელ-

საქნარი და შეჰქვება ქმარს ოთახში, რაც საზოგადოდ ჩვეულებად ჰქონდა. ალბერტი წერილების კითხვაში იყო გართული. ეტყობოდა, ზოგი მათგანი არ უნდა ყოფილიყო სასიამოვნო შინაარსისა. ლოტტამ მისცა რამდენიმე კითხვა, რომელზედაც მან მოკლედ უპასუხა და მაგიდას მიუჯდა საწერად.

ამ მდგომარეობაში იყენებ არივენი ერთის საათის განმავლობაში და ლოტტას გულში თან-და-თან ბნელდებოდა. გრძნობდა, რომ ძნელი იყო ქმარისათვის იმის გამხელა, რაც გულში ჰქონდა; თუნდა იგი კარგ გუნებაზედაც დამდგარიყო. ლოტტა შეიპყრო სევდამ და მით უფრო აუტანელი იყო იგი მისთვის, რაც უფრო ცდილობდა მის დაფარვას და ცრემლების შეკავებას.

ვერტერის ბიჭის მოსვლამ სულ ერთიან არია ლოტტა. ბიჭმა გადასცა წერილი ალბერტს, რომელიც თავისუფლად მიუბრუნდა თავისს ცოლს და უთხრა: „მიეცი დამბაჩები.“ — „ვუსურვებ ბეღნიერ მგზავრობას.“ — უთხრა მერე ბიჭს. ეს ამბავი ლოტტას მეხივით მოხვდა; იგი წამოდგა ბარბაცით; თითონ არ წყოდა, რა ემართებოდა. ნელა მივიდა იგი კედელთან, ხელის კანკალით ჩამოილო იარაღი, მოსწმინდა მტვერი და არ ჩქარობდა გადაცემას; კიდე უფრო დიდხანს დაიგვიანებდა, რომ ალბერტის მკითხველ გარდახედვას არ აეჩქარებინა იგი. ლოტტამ გადასცა საბედისწერო იარაღი ბიჭს და ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა; როცა ბიჭი შინისკენ გაემართა, ლოტტამ აიღო ხელ-საქნარი და შევიდა თავისს ოთახში საოცრად გამოურკვეველის გრძნობით. გული წინასწარუშებელდა მას უოველ საშინელებას. ხან მზად იყო დაცემულიყო თავისი ქმრის ფერხთ-ქვეშ და გაემულავნებინა მისთვის უველავერი, თვისი დანაშაული და თავისი წინადგრძნობები; მაგრამ მერე კი ვგრა ხედავდა, რომ ამით დასასრული მიეცემოდი უველაზენაკლები იმედი კი იმისი ჰქონდა, რომ ალბერტი დათანხმდებოდა ვერტერთან წასვლაზე. სუფრო გაშალეს და ერთი მეგობარი ქალრს მაღლობით, რომელიც რაღაცას საკითხავად მო-

ვიდა, დარჩა საღილად, სუფრაზე გაიბა საუბარი; თავს ძალას ატანდნენ, ბაასობდნენ, ამბებს ჰყვებოდნენ, გაერთნენ.

ბიჭი დაბრუნდა შინ და ვერტერს გადასცა დამბახები. ვერტერმა იღტაცებით ჩამოართვა ისინი, როცა შეიტყო, რომ ისინი ლოტტამ გაღმოსცა ბიჭს. მოატანია პური და ლვინო, ბიჭი სასაღილოდ გაუშვა და დაჯდა საწერად.

\*

„დამბახებს შენს ხელში გამოუვლია, შენ მოგიწმენდია მათთვის მტვერი, ვკოცნი მათ ათასჯერ, რაღან შენ შეხებინარ მათ! შენ, სულო ზეცისაო, ხელს უწყობ ჩემს გარდაწყვეტილებას! შენ, ლოტტა, მაწოდებ იარალს, შენ, რომლის ხელიდანაც სიკვდილის მიღებას ვნატრობდი და ეხლა ვიღებ კიდეც! ჩემს ბიჭს გამოვკითხე, თურმე შენ კანკალებდი, როცა იარალი გარდაეცი და არ გითქვამს არც ერთი „მშვიდობით“! ვაი, ვაი! არც ერთი „მშვიდობით“! ნუ თუ შენი გული ჩემთვის დანშული შეიქმნა იმ უბედურების გამო, რომელმაც საუკუნოდ დამაკავშირა შენთან? ლოტტა! ათასნი წელნი ვერ აღმოშლიან იმ შთაბეჭდილებას და მე ვგრძნობ, რომ შენ არ შეგიძლია მისი სიძულვილი, ვინც შენთვის ასე იწვის.“

\*

ნასაღილევს ყველაფერი ჩააღავებინა ბიჭს,—დახია ბევრი ქალალდები, გავიდა შინიდან და წეს-რიგში მოიყვანა ყველა წვრილმანი ვალები. დაბრუნდა ისევ შინ, მერე ისევ წავიდა გრაფის ბალში მიუხედავად წვიმისა, იქ ბევრს ხეტიალობდა, დაღამებისას დაბრუნდა და დაწერა:

\*

„ვილჰელმ, უკანასკნელად ვნახე ტყე-ველი და ცა. მშვიდობით შენც! საყვარელო დედაო, მომიტევე! ანუგეშე იგი, ვილჰელმ! გაკურთხოსთ ლმერთმა! ჩემი საქმეები ყველა რიგზეა. მშვიდობით! ჩვენ შევხდებით კვლავ ერთმანეთს და უფრო მხიარულად“.

\*

„ცუდად გადაგიხადე, ალბერტ და მომიტევე. დავარღვიე მშვიდობიანრაბა შენი ოჯახისა, დავბადე იქვიანობა თქვენს შორის. მშვიდობით! მინდა ამ საქმეს ბოლო მოვულო. ახ, ნერამც ბედნიერი იქნეთ თქვენ ჩემის სიკედილით! ალბერტ! ალბერტ! გააბედნიერე ანგელოზი! და ლმერთმა გაკურთხოს!“

\*

სალამოზე კიდევ ბევრს ფათურობდა ქალალდებში, ბევრი დახია და შეპყარა ბუხარში, რამდენიმე პაკეტი დაბეჭდა და ზედ დააწერა ვილჭელმის აღრესი; მათ შორის იყვნენ პატარა ეტიუდები, ნაწყვეტი აზრები, რომელთაგან ზოგიერთი მეც მინახავს; ათს საათზე შეშა შეამატებინა, მოატანინა ერთი ბოთლი ღვინო, გაუშვა მოსამსახურე დასაძინებლად; ის ტანთგაუხდელი დაწვა, რომ ადრე დილაზე მზად ყოფილიყო, რადგან ბატონმა უთხრა, ფოსტის ცხენები ექვსის ნახევარზე სახლს მოაღვებიანო.

\*\*

თერთმეტი საათის შემდეგ.

ჩემს გარეშემო ყველაფერი მიწყნარებულია, და ჩემი სულიც ასე მშვიდია. გმადღობ, შენ, ლმერთო, რომ ამ უკანასკნელ წამებში მანიქებ ამირანის ძალას.

მივდივარ ფანჯარასთან, ჩემო ძეირფასო! და შევყურებ მიშქროლავ ღრუბლებს იქით ვარსკელავებს! არა, თქვენ არ ჩამოვარდებით! მარად-მყოფი გატარებთ თავისუფლად თქვენ და მეც. ვხედავ ვარსკელავებს ეტლისას, ამ უმშვენიერეს კრებულისას ყველა კრებულთა შორის. როცა ლამით შენგან წამოველ, როცა შენი სახლის ჭისკარი გამოვიარე, იგი კრებული ჩანტა პირდაპირ ზენიცზე, როგორი სიამოვნებით მინახავს ხოლმე იგი და აღპყრობილი ხელებით გამიხდია იგი ნიშნად, წმიდა სახსოვრად ეხლანდელი ჩემი ნეტარებისა! და კიდევ!... ოჯ, ლოტტა, რა არ მაგონებს შენს თავს! განა ჩემს გარშემო მარტო შენ არ ხარ! განა მე ბავშვით არ ვიტაცებდი ყოველ წვრილ-მან საგანს, რასაც კი, წმიდაო, შენ შეპხებიხარ!

ჩემთვის ძვირფასი შენი სურათი, ლოტტა, იგი შენთვის მიანდერდებია და გთხოვ მოწიწებით მოექცე მას. ათასი, ათასი კოცნა აღმიბეჭდია მასზე, ათასი სალამი მიმიცია შინიდან გა, სელისას და შინ დაბრუნების დროს.

მამა-შენს ვთხოვე ბარათით, რომ ჩემს გვამს მფარველობა გაუწიოს. სასაფლაოზე ორი ცაცხვის ხე სდგას, უკან კუნკულ-ში მინდვრისაკენ. მინდა იქ განვისვენებდე. მას შეუძლია ეს, ის იზამს ამას თავის მეგობრისათვის, მაგრამ შენც სთხოვე: არ მსურს სათნო ქრისტიანეთ დავაძალო, რომ მათი გვამნი განისვენებდენ საბრალო უბედურის გვამთან ახლოს. მე მინდოდა დავემარხე გზის პირზე სადმე ან რომელსამე განმარტოვებულ გორაკზე, რათა მღვდელმა და ლევიტმა ჩემს სამარეს კურთხევით ჩაუარონ და სამარიტელმა გადმოაგდოს ჩემ თავს ცრემლი.

ლოტტა! არ მეშინია ხელი მოვკიდო ცივს საშინელს ფიალს; რომლიდანაც უნდა შევსვა სიკვდილის გამაბრუებელი ძალა! შენ მომაწოდე იგი და მე არ ვყოყმანობ. სულ! სულ! ამ გვარად ასრულდნენ ჩემი ხანგრძლივი ნატვრები და იმედები! ასე ცივად, ასე უგრძნობოდ უნდა დავურაკუნო სიკვდილის კარებს!

ოჳ, რომ ისე ბეღნიერი ვიყო და შემეძლოს შენთვის სიკვდილი! ლოტტა, შენთვის თავის განწირვა! მე უშიშრად, სიხარულით მოვკვდებოდი, რომ ამითი შემძლებოდა შენი ცხოვრების მშეიდობა, ნეტარება კვლავ აღვადგინო. მაგრამ ახ! ცოტა კეთილშობილო რგებით წილად თვისი სისხლის დაღვრა თავისიანებისათვის და საკუთარ სიკვდილით თავის მეგობართათვის ახალი ასკეცი სიცოცხლის გადაშლა.

მე მინდა. ამ ტანისამოსში. დამმარხონ; ლოტტა, შენ შეხებიხარ მას და გაგიწმიდებია; ეს მამა-შენსაც ვთხოვე. ჩემი სული კუბოს თავს დაფრინავს. ჯიბეებს ნუ გამიჩხეკენ. ეს ვარდისფერი ბანტი, რომელიც გულზე გქონდა, როცა პირველად შენს ბავშვებს შორის გნახე... ოჳ, დამიკოცნე ისინი ათასჯერ და უამბე მათ ხვედრი მათის უბედურის მეგობრისა...

საყვარელი ბავშვები! ისჩნი ჩემს გარეშემო თითქმ ეხლაც ხტიან  
და ხმაურობენ. რა ძნელი იყო პირველი წაშიდანავე შენი მი-  
ტოვება!... ეს ბანტი ჩემთან უნდა დაიმარხოს. ის შენ მაჩუქე  
ჩემი დაბადების დღეს... ახ, არ მეგონა, რომ გზა აქნამდინ მო-  
მიყვანდა!... დამშვიდლი, გთხოვ, დამშვიდდი!

დამბაჩები გატენილია... თორმეტმა ზაჲკრა!.. მაშასე იყოს!..  
ლოტტა! ლოტტა, მშვიდობით, მშვიდობით!

\*

ერთმა მეზობელმა დაინახა თოფის-წამლის ალი და გაი-  
გონა დამბაჩის ხმა; მაგრამ, რადგან ყველაფერი მყუდროდ იყო  
და სხვა ხმაურობა არა ისმოდა-რა, ამ ამბავს არ მიაქცია ყუ-  
რალლება

დილის ექვს საათზე ჭისამსახურე შემოვიდა ოთახში სანთ-  
ლით. მან დაინახა თავისი ბატონი იატაკზე, დამბაჩა, და სისხ-  
ლი. ის ეძახის მას, ჰკიდებს ხელს; არავითარი პასუხი, მხოლოდ  
ხრიალი-და ისმის. ბიჭი მირბის ექიმთან, ალბერტთან. ლოტტა  
ესმის ზარის ჩამოკვრა; მთელს სხეულს მისას კანკალი იტა-  
ცებს; ალვიძებს ქმარს, დგებიან; ბიჭი ღრიალითა და ენა უაბ-  
მით მიუტანს მათ ამბავს, ლოტტა გულ-შემოყრილი ეცემა ალ-  
ბერტის წინ.

როცა მოვიდა ექიმი, მან ნახა უბედური ჭაბუკი უსაშვე-  
ლო მდგომარეობაში, მაჯა უცემდა, ცველა ასოები უძრავი-  
გამხდარიყვნენ.

მარჯვენა თვალს ზევით ესროლა და გაეხვრიტა თავი, ისე  
რომ ტვინი გამოდენილიყო. ეს არ აკმარეს და სისხლი გა-  
ლეს. მან სულთქმა განაგრძო.

სავარძლის გასისხლიანებულ ზურგზე შეიძლებოდა აღაი  
ანს დაესკვნა, რომ მას ეს საქმე სამუშაო მაგიდასთან მჯდო-  
მარეს ჩაედინა, მერე ძირს დაცემულა, კონვულსიური მოძრა-  
მობით დაუწყია ფართხალი სკამის გარშემო. ის ეგლო იატაკზე  
იპრ-აღმა ფანჯარის პირდაპირ ლონე-მიხდილი; ფეხსაცმელი და  
ტანისამოსი ეცვა, ცის-ფერი პერანგი და ყვითელი ელეგი.

მთელი სახლი, მეზობლობა, ქალაქი აირია. შემოვიდა ალა-  
ბერტი. ვერტერი დააწვინეს ლოგინზე და შუბლი შეუხვიეს,  
სახე მკვდარისა ჰქონდა, ველარც ურთ ასოს ველარ ანძრევდა,  
ფილტვები კიდე საშინლად უხრიალებდნენ ხან სუსტად, ხან  
უფრო ძლიერად: მის აღსასრულს ელოდდნენ.

ღვინო მხოლოდ ერთი ჭიქა დაელია, ემილია გალოტი  
გადაშლილი იღვა მაგიდაზე.

ალბერტის სულის მდგომარეობაზედ, ლოტტას მწუხარე-  
ბაზედ ნულარაფერს მკითხავთ.

მოხუცი მოურავი ამ ამბის გაკლნებაზე მოიქრა მომაკვდავ-  
თან. მან აკოცა მას ცხარე ცრემლების ღვრით. მალე მისი  
შვილებიც მოვიდნენ ქვეითად, დაეცნენ ლოგინს წინ და უსაზ-  
ლცროდ ჰგლივდნენ. ისინი უკუცნიდნენ მომაკვდავს ხელებს,  
პირს და უფროსი ვაჟი, რომელიც მას ყველაზე უფრო უყ-  
ვარდა, დააშეშდა მის ტუჩებს, სანამ ვერტერი არ მიიცვალა  
და სანამ ბავშვი ძალით არ მოაშორეს ცხედარს. შუადლისას  
მიიცვალა ვერტერი. მოურავის მუნკოფამ და მისმა განკარგუ-  
ლებამ შეუძლებელი გახადეს ცნობის მოყვარეთა შეყრა. მან  
დაამარხვინა მიცვალებული ღამის ოერთშეტ საათზე იმ ადგალზე,  
რომელიც მიცვალებულს თითან აერჩია. მოხუცმა და მისმა  
შვილებმა გააცილეს გვამი. ალბერტმა ვერ მოახერხა გაცილება.  
ლოტტას სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. მიცვალებული ხელოსნებს  
მიჰქონდათ. სამღვდელოება არ გაჰყოლია.

— 6.

(დასასრული)

# არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი\*)

სტინც. განი. სოფელი ვანი სამია, ორი გურიაში და ერთი იმერეთში. ის ვანი, რომელზედაც ჩვენ გვექნება ლაპარაკი, მდებარეობს იმერეთში, ქუთაისის მაზრაში, ბალდაცის სემოქაულოში. სულ ბალდაცის საბოქაულოშა ითვლება 52 სოფელი, ამათში 22 სოფელი ეყუთენის იმ ნაწილს, რომელსაც ეწოდება საჩინო. საჩინოს სოფლები გაშლილი არიან ერთის მხრით რიონის მარცხენა ნაპირზე და მეორეს მხრით ახალციხის მთების სამხრეთის კალთებზე. გარდა რიონისა საჩინოს ბევრი პატარა მდინარეები ჩამოუდის, რომელთა შორის უფრო შესანიშნავია მდინარე სულორი. მანძილი მთებსა და რიონს შეუძილი არ არის, ესე იყი განი საჩინოს პატარა აქვს, და ეს მხარე უფრო გაჭიმულია სიგდეზე, ხაჯაეახოდან ქორისწლამდი.

\*) არხეოლოგიური მასალა, რომელიც ამ სათაურით იბეჭდება, შექრებილია 1894—1900 წლებში სხვა და სხვა საქართველოს ნაწილებში ზოგზაურობის დროს. ამ მასალის შექრებაში გვეხმარებოდა ბ-ნი ა. ვ. ქუთათელაძე, რომელიც უმტრეს შემთხვევაში ჩვენთან ერთად მაგზაურობდა. თუ არ მისი დაწმარება ჩვენს მასალას ჯეროვანი ცისრულე არ ექნებოდა, ნამეტნავათ წალკაზე შეკრებილს წარწერებს: ზოგჯერ აქ საჭირო იქნ ხიფათიან კიბეებზე ასვლა და წარწერების ხავსის მოცილება და გარეცხა, რომ წარწერები გამოჩენილიყო და წაკითხვა შესაძლებელი გამხდარიყო. ამ გვარ შრომას ყოველთვის ასრულებდა ა. ქუთათელაძე. ზოგჯერ წარწერები ჩამონაგრეული ლოდებით იყო დაფარული, ზოგჯერ ერთი ადლის სიმაღლე მიწით; აგრეთვე სასაფლაოს ქვის წარწერები ანუ უიტაფიები უმტრეს შემთხვევაში დაფარული იყო მიწით და ნაკელით, ვინაიდგან მიყრუებულ ეკლესიებში ამ მხარეში ყოველგან საქონელს ამ-

სილამაზე მთა-გორიანი ადგილებისა, ან კარა წყლები, მშვენიერი მოსავალი ყოველ გვარი ჭირნახულისა და შეზავებული ჰავა ხდის საჩინოს ერთ საუკეთესო ადგილად მთელს იმერეთში. ამიტომ გასაკვირალი არ არის, რომ ძველად ამ მხარეს „საჩინო“ უწოდეს. მაგრამ რაც ძველად „საჩინო“ იყო, ეხლა დროთა ვითარების გამო „უჩინო“ შეიქნა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, წინანი უკანო და უკანანი წინო. თავი და თავი მიზეზი საჩინოს ჩამორჩენისა სხვა იმერეთის ნაწილებთან შედარებით არის უგზობა. ამიერ კავკასიის რკინის გზა ასცილდა საჩინოს და გაიარა რიონის მარჯვენა ნაპირზე. დღემდის რიონზე არ გაუკეთებიათ ხიდი, რომელსაც შეუძლია მტკიცე კავშირი მისცეს საჩინოს რკინის გზასთან და შეაერთოს ორივე შხარე რიონის ნაპირებისა. სასოფლო გზებიც საჩინოში მეტად ცუდ მდგომარეობაშია. ამ მიზეზების გამო საჩინოს ნაწარმოებს ბაზარი არა აქვს და ხალხიც ქონებრივად ჩამორჩენილია სხვა იმერეთის მკვიდრთან შედარებით.

შუა ადგილს საჩინოსა შეადგენს სოფელი ვანი. აქ არსებობს სამინისტრო სკოლა, აფთექა და სავაჭრო სახლები. ვაჭრობა უმთავრესად ებრაელების ხელშია, რომელნიც უძველეს დროიდან სახლობენ აქ და, როვორც ყოველგან იმერეთში, ლაპარაკობენ მარტო ქართულად, ხოლო ებრაული სჯული მტკიცედ დაუცავთ. უძველესი წარჩინებული გვარი ამ მხარისა იყო ჩიჯავაძე. ამ გვარის წირმომადგენელი ეხლა ცოტალა. ეხლან-

---

ყოფებენ ზამთარ-ზაფხულში. ამ გვარი წარწერების გამოჩენა დიდ შრომას თხოულობდა და ერთი კაცისთვის შეუძლებელი იყო. ამას გარდა საჭიროდ ვრაცხთ ჩვენი უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ: პატივცემულ თავადს დ. ზ. ბარათაშვილს, რომელმაც დაგვეხმარა აღბულახის (ბელიკლიუჩის) არე-მარის ირხეოლოგიურის მხრით გამოკლევაში; თავადს ნ. ვ. ორბელიანს, რომელმაც დბანისის სიძველენის გამოსაკვლევათ მიგვიწვია; თავადს გ. ი. ორბელიანს, რომელმაც კაზრეთის და პითარეთის სიძველენი გაგვაშინჯვა; და ნამეტნავად პატივცემულს დ. ზ. სარაჯიშვილს, რომელმაც მატერიალური დახმარება აღმოგვიჩინა ერთ-ერთ მოგზაურობის დროს.

დელ თავად-აზნაურობას შეადგენენ ლორთქიფანიძენი და ახელედიანები. უკანასკნელი გვარი ლეჩეშვილიან არის გაღმოსული აქ შემდეგ ლროებში.

ვანი შესანიშნავია არხეოლოგიურის მხრითაც. აქ არის პატარა მოგძოვ გორაკი, რომელსაც ირგვლივ მანძილი ეჭნება არა უმეტეს სამი ვერსისა. გორაკი ბუნებით შეზღუდულია ხრამ-ლელებით და მისავალი აქვს მარტო ერთის მხრით. ამ გორაკზე ეხლა სახლობენ აზნაური ახვლედიანები, სულ ათ კომლი, და გორაკი დაყოფილი აქვთ ეზოებად. წინედ, როგორც ცხადად სჩანს, მთელი გორაკი სჭერია ქალაქს. ზეზე აქ მარტო ერთი ძველი ნაშთი მოჩანს. ეს არის პატარა ეკლესია თლილის ქვისა, ეხლა დანგრეული. კედლებზე არავითარი წარწერა არ მოიპოვება. მხოლოდ ეკლესიის ახლოს ჩვენ ვიპოვეთ ნატეხი პატარა ქვისა, რომელზედაც გამოსახული ყოფილა, როგორც საფიქრებელია, მაშენებელი ეკლესიისა თავის შეილი-თურთ. შვილის სურათი დაცულია, ხოლო მამისა შენახულა მარტო წელს ქვემოდ. შეილის სურათს ზემოდ ხუცურად აწერია: „ძევ ბაკურ.“ წარწერა მამისა არ შენახულა. ეკლესიას იატაკის ქვემოდ აკლდამა იქვს ძვლებით სავსე. ამ აკლდამაშ 1889 წელს დიდი ალიაქოთი ასტეხა ადგილობრივ გცხოვრებელთა შორის. ხსენებულს წელს აქ მუშაობდნენ არხეოლოგიურის მიზნით ფრანგი იაკობი და ცნობილი დირექტორი წინეთ ქუთაისის გიმნაზიისა და ეხლა ბათომისა ა. ი. სტოიანოვი. როდესაც აკლდამის კარებს მიაგნეს, ყველას ეგონა, აქ დიდი ხაზინა აღმოჩნდებაო, და ამიტომ ადვილად აღარ გაახსნევინეს აკლდამა. მოსთხოვეს ფრანგს იაკობს ანგარიშის გასწორება, რომელმაც ერთ კვირამდის გასტანა, და ამ დროს განმავლობაში შეიარაღებული დარაჯები ადგნენ თავს ამ ადგილს და დიდი სიფთხილით იცავდენ ვითომც და ხაზინას. შემდეგ, როდესაც აკლდამა გახსნეს, აღმოჩნდა მხოლოდ ძვლები, როგორც მოსალოდნელი იყო.

მიწის თხრის დროს და ისეც, მეტალე ავტორების შემდეგ, ახვლედიანების ეზოში ხშირად პოულობენ ოქროს და ვეტ-

ლის ფულებს, საყურეებს, სამაჯეებს და სხვა-და-სხვა ნივთებს. ამ მხრით ეს პატარა გორაკი კერჩის მიტრიდატის მთას მოყვა-გონებს. აქ ნაპოვნ ნივთებს უმეტეს შემთხვევაში იძენენ ებრა-ელები და შემდეგ-დიდ ფასად ყიდიან. აქ ჯერ კიდევ 1852 წ. იპოვეს გამოქანდაკებული კაცის თავი ბერძნულის ხელობისა (Кавказъ 1852 г. № 36). ამას გარდა ოცის წლის წინეთ ერთ-ხველედიანს მიწის თხრის დროს თავის ეზოში იქ, სადაც ეხლა-პროკოპი ახვლედიანი ცხოვრობს, უპოვნია ძევლი სასაფლაო, მარმარილოს პატარა კუბოთი. კუბოში ყოფილი ოქროს ჯოხი (კვერთხი) გველის მსგავსი თავით, ოქროს ბადე, ოქროს სამაჯეები, ოქროს საყურეები, ბეჭდები, შვიდი ოქროს ფული და სხვა. უველა ეს ნივთები მნახევლს გაუყიდია ებრაელებში ჩუმად, რომ სხვებ ახვლედიანებს არ შეეტყოთ და წილში არ გამოსდავებოდენ. ნანახი ნივთები ჩვენ ჩამოვთვალეთ გლეხის სიტყვით, რომელიც ახვლედიანს ეხმარებოდა ამ ნივთების ამოღვაში და რომელიც დღესაც ცოცხალია. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ გლეხს ლაპარაკში ცოტა არ იყოს საგნის განეიადება შევნიშნეთ. მაგალითად მან გადმოგვცა, რომ ბეჭედს ისეთი თვალი ჰქონდა ჩასმულით, რომ ბნელი ლამე გაანათლაო. ნივთების ამოღვა ახვლედიანმა ეკრ გაძედაო, მე ამოვილე და შემდეგაც სულ ეშინოდა ახვლედიანს საფლავისო და ვგონებ შიშმა მოულო ადრე ბოლოო. ეს საუკეთესო საარხეოლოგიო ნივთები მეცნიერებისთვის სამუდამოდ დაიკარგა, ხოლო ერთი ქვა სენებული საფლავისა ახალ სასაფლაოს ქვად გაუხდიათ ვანის ეკლესის გალავანში. ზოგი რამ ნივთები ფრანგს იაკობს და სტოიანოვსაც უნახაეთ 1889 წ. ამ ადგილას მუშაობის დროს.

ამ ოთხი წლის წინედ (1896 წ.) არხეოლოგიური კომისიის წონდობილობით ჩვენ რამდენიმე ადგილი გავთხარეთ სანიმუშოდ ახვლედიანების გზოში და ანგარიში წარუდგინედ კომისიას. ამას გარდა დავათვალიერეთ ყველა ის ნივთები და აქ ნაპოვნი ფულები, რომელნიც ჯერ კიდევ არ გაეყიდად პატრონებს. სხვა და სხვობა ნივთებისა ამტკიცებენ სხვა და სხვა ტოშთ კულტურ გავლენას ვანის ქალაქზე. უძველესი ნაშთები ეკუთვ-

ნიან მისირს ანუ ეგვიპტეს. აქ ძლიერ ხშირია მისირის პატარა ვერცხლის ფულები ზედ გამოხატული კუროს (აპისის) თავით, რომელთაც დიდი გასავალი ჰქონდათ ძველ საქართველოში. ამას გარდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანა-შემწესთან ლ. გ. ლაპატინსკისთან ჩვენ ვნახეთ ვანში ნაპოვნი პატარა ოქროს „მასკა“, რომელიც ისე წაგავს ძველ მისირის ძეგლებზე გამოხატულს სახეებს, თითქო ამ უკანასკნელებიდან იყოს გაღმოღებული. ძველი ბერძნების გავლენა წარმოდგენილია ვერცხლის და ოქროს ფულებით და აგრეთვე აქ ნაპოვნ გამოქანდაკებულ კაცის თავით. ძეგლი რომაელების გავლენას გვიმტკაცებენ აგრეთვე ბევრი ვერცხლის და ოქროს ფულები, რომაელების დროისა, მეტაზრე კეისრების ხანისა, და აგრეთვე კუბოში ნაპოვნი ნივთები, რომელზედაც ზემოდ გვქონდა ლა-პარაკი. როგორც სხანს, კუბო თავის ნივთებით ჰკუთნებია რო-მაელების დროის კაცს ანუ უკედ ვათქვათ რომაელ დადებულის შეიღს. ამას გარდა ჩვენ ვნახეთ აქ სპალენძირან გაკეთებული არწივის სურათი (aquila), რომელიც ეჭვს გარეშე რომაულს ხელობას შეადგენს. ვანის ქალაქს არა მცირედი შენიშვნელობა უნდა ჰქონებოდეს პონტოს მეფეების დროსაც, ვინაიდან პონ-ტოს მეფეებას (მიტრილატების) ვერცხლის ფულები ძლიერ ხშირად იპოვება აქ. ვიზანტიის დროსაც ვანი უმნიშვნელო არ ყოფილა, ჩვენ ვნახეთ რამოდენიმე ოქროს ფული კონსტან-ტინეს და ელენესი და სხვა ვიზანტიიელის მეფეებისა და აგრეთ-ვე პატარა ეკლესია, მიწაში ჩაფლული, რომელზედაც ქვემოდ გვექნება ლაპარაკი. ვანი უნდა ყოფილიყოს ახალშენი ჯერ ევვიპტელებისა, შემდეგ ბერძნებისა და ბოლოს რომაელებისა. ძეგლი რომაული ინდოეთის გზა, ვეონებ, ჯერ ვანზე გაივლიდა, შემდეგ ბალბალზე და მერჩე შორაპნით გადალიოდა ლიხის მთაზე.

ოქროს საყურეები, სამაჯეები, სარტყლების სამკაული და აგრეთვე სხვა ნივთებიც ოქროისა, რომელნიც აქ იპოვებიან, ჩვენის ასრით უმეტეს შემთხვევაში შორაპნან მოტანილნი არ არი-ან, არამედ აქ ნაკეთები. არც მათი საკეთებელი ოქროა შორაპნან

მოტანილი. ძველი ვანის ნიადაგს ყოველგან ემჩნევა ოქროს სილა, მეტადრე ღელე საქვაბიაში, რომელიც ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით უვლის გორაკს. ხშირად აქ კარგი მოზრდილი მარცვლებიც შეგხვდებათ ოქროსი. ქალები და ბავშვები ზოგჯერ თითო მისხალსაც აგროვებენ აქ ოქროს სილას. თუ თქვენ ღელე საქვაბის ნაპირს აჲყვებით, აღვილად დარწმუნდებით ქარხნების ნაშთებიდან, გვირაბებიდან, ქვებიდან და ზოგჯერ ნაპოვნ ტყვის დაურჯაკებიდან, რომ ამ ღელეში ოქროს სილა უცრიათ და ურეცხიათ და აგრეთვე ქარხანებიც ჰქონიათ.

ძველი ქალაქი ვანისა თავის ნაშთებით დამარხულია ებლანდელი ახვლედიანების კარ-მიდამოში. სადაც არ უნდა მიადგით თხრას ამ გორაკზე, ყოველგან იპოვით ეგრედ-წოდებულს „კულტურულ ნიადაგს“, ქვის კედლებს, სხვა-და-სხვა შენობებს, თიხის ჭურჭლის ნატეხებს, ქვევრებს და სხვა. ქვის კიბეები და ძველი შენობის ნაშთები ზოგჯერ ზეზედ ამოსჭვივიან, მაგრამ ჯეროვანი გამოკვლევა ამ ადგილისა შეუძლებელია, მანამ აქ ახვლედიანები სახლობენ. მუშაობის დროს მათ კარ-მიდამოები უფუკდებათ და ხშირად გამოკვლევა რომელიმე ადგილისა დაგარწმუნებთ, რომ ახვლედიანების სახლების აულებლად მუშაობა შეუძლებელია. მაგალითად ერთი სახლი ზედ ძველ სასაფლაოზე უნდა იყოს მოქცეული, როგორც ეტყობა აქ შევდართან ჩოშორებით ცხენიც ყოფილა დამარხული. ყოველ შემთხვევაში ცხენის თავი აშკარად გამოჩნდა თავის ლაგამით, და ამ ადგილას წინად ოქროს რომიული ფულიც ეპოვნა სახლის პატრონს. სასაფლაოზე ჩვენის აზრით გორიაკი (კურგანი) ყოფილა ამართული. მეორე ადგილას, როდესაც ჩვენ ერთი ამაღლებული ადგილი გავთხარეთ, გამოჩნდა მიწაში ჩაფლული პატარა ეკლესის ნანგრევები თლილის ქვისა. თაღში ეკლესის ჩატანებული ჰქონია პატარა ჭურები ხმის მოსაცემად. სვეტების თავები, რომელიც საქალებოს აერთებდენ ეკლესისთან ჩუქურთმიანები იყვნენ, მდარე ხელობისა, მაგრამ როგორც ეტყობა, უძველესი დროისა. გამოვჩინეთ თუ არა ერთი ნაწილი ეკლესისა, იძულებული შევიქენით, მუშაობა შეგვეწყვიტა, ვინაიდან ნანგ-

რევების მიყოლამ დაგვარწყუნა, რომ თუ კირილე ახვლედანის სახლი არ იქმნა აღებული, ისე ხსენებული ეკლესის ნანგრევების მთელი გამოჩენა შეუძლებელია. ამას გარდა სახლს გვერდით მუხა უდგია და ეკლესის უმთავრესი ნაწილი მის ძირების ქვემოდ სილრმუში ძარღება. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ვანში შესაძლოა ვიპოვოთ უძველესი ნაშთებიც ქრისტიანობის პირველ დროისა, მიწაში ჩაფლული. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ძველი ვანის ქალაქის გათხრა და გამოკვლევა დიდ შუქს მოჰქონდ მისირს, ბერძნების, რომაელების და ვიზანტიელების გავლენას საქართველოში. ეს გამოკვლევა მომავალზე დამოკიდებული და ჩვენგან გამოთქმული შენიშვნები მხოლოდ მოსაზრებას წარმოგვიდგენენ იმ მცირეოდენი ნაშთების მიხედვით, რომელნიც ჩვენ ვიპოვნეთ თუ ვნახეთ. ესლა თავი დაეანებოთ ამ მიწაში ჩაფლულ ძველი ცახე-ქალაქის ნაშთებს და შევუდგეთ ქრისტიანობის დროის ნაშთებს ვანისა, რომელნიც ჩვენ დღემდის ნაკლებად ვიცოდით. ამ გვარ ნაშთს წარმოადგენს ვანის ეკლესია და მასში დაცული არქეოლოგიური ნივთები. ხსენებული ეკლესია ცოტა მოცილებით არის ახელედიანების კარ-მიდა-მოზე და შეადგენს უმთავრესს. ეკლესიას მთელს საჩინოში.

განის ეჭდესია. ვანის ეკლესია მიქელ მთავარანგელოზისა უკუმბათოა. აშენებულია აღგილობრივი თლილის ქვისაგან. სიგრძე აქვს 19 ადლი, განი 10 ადლი და 13 გოჯი (ჩრდილოეთის ეკვდერს აქ არ ვათვლით). დასავლეთის კედრით ეკლესიას მიშენებული აქვს საქალებო შემდეგის დროისა, ჩრდილოეთის კედრით არის ეკვდერი აგრეთვე, როგორც ეტყბა, შემდეგის დროისა. ეკვდერს არ უჭირავს მთელი სიგრძე ეკლესიისა, არამედ სიგრძე აქვს 10 ადლი და 13 გოჯი, განი 7-ადლი და 6 გოჯი. ჩრდილოეთის ეკვდერი აშენებული უნდა იყოს ძველად წარჩინებულის აღგილობრივ მებატონის ჩიჯავაძეებისაგან. ეკვდერი მათი სამარხავი ყოფილა. ეკვდერის კედლები შიგნით ყოფილა მთლად დახატული, ხელობა მხატვრობისა მდარეა. მხატვრობას ასო მთავრული წარწერები აქვს, აქვე ყოფილა

დახატული შაშენებლები ეკვდრისა და სხვა პირნიც ჩიჯაფა-  
ძეების გვარისა, მაგრამ მათი წარწერები აღარ ჩანან, მხოლოდ  
სამხრეთის კედელზე დახატულთ კაცს და ქალს ქართულის  
დიდებული ტანისამოსით ძლიერდა შერჩენიათ წარწერა, რო-  
მელშიაც ამოვიკითხეთ სიტყვები:

[მთა]ვარი ვხტნ (ვახტანგ). მიქელის ქალი ხვარამზე.

ეკლესიას წინედ ეკვდერი პეტრი სამხრეთის კედრითაც.  
მავრამ შემდეგ მოუშლიათ, და კარი ამოუშენებიათ. ეხლა  
დარჩენილია სამი კარი, ერთი დასავლეთისა და ორი ჩრდი-  
ლოეთის კედელში. ერთი ამათგანი ეკვდერისათვის გაუჭრიათ,  
ეკლესიას სულ ხუთი ფანჯარი აქვს: სამი აღმოსავლეთის კედ-  
რით და თითო ჩრდილოეთის და სამხრეთის კედრით. აღმო-  
სავლეთის ფანჯრების ზემო პირები შემკაბილია ჩუქურთვიანი  
ქვების არშიებით. ამას გარდა აღმოსავლეთის კედელში ჩატა-  
ნებულია ქვადან გამოქანდაკებულია გეგმა ეკლესიას. დასავ-  
ლეთის კედელში ჩატანებულია წმინდის გორგის ქანდაკი ლა-  
მაზი. ასომთავრული წარწერით

ზემოთ:

წო გი

ქვემოთ:

წო გი მოვრო ჩწმო გხე

წე ღისა ღლძთა ევვსა

ღლსა და ულრსა გის

ხელობა ამ ქანდაკის და აგრეთვე ხასიათი ასომთავრუ-  
ლისა ჩვენ მაინდამაინც ძველ ნაშთით არ მიგვაჩნია. სი-  
ტყვა „ღლძთა“ უნდა იკათხებოდეს ჩვენის აზრით „ღლოდო-  
ბერიძეთა“, რომელნიც ხხვა წყაროებში ერისთავად არ იხსენე-  
ბიან.

ამავე კედელშია ჩატანებული შერჩენდელი უშნო გამოქან-  
დაკებული სურათი სხვა წმიდანისა ჯვარით ხელში და უშნო  
შედრულის წარწერით, რომელიც ჩვენ წამოსვლის ხანს შევ-

ნიშნეთ და გარჩევა ცელარ მოვაწარით შიგნით ეკლესიას იატაკი აქვს ქვისა, კედლები წინედ დახატული ყოფილია, მაგრამ ებლა სურათები ემჩევა მხოლოდ საკურთხეველში, ეკლესის კედლები კირით არის შეთეთრებული და სურათები აღარ სჩანან. საკურთხეველის კედელში შიგნიდან დატანებულია სამი ჩალრმავება (ნიში), რომელთა შორის ერთი ისე დიდია, რომ კაცი ადვილად დადგება შიგ. როდის ან ვისგან არის ვანის ეკლესია აშენებული არა სჩანს, მაგრამ ჩვენის აზრით მეორეთ-მეტე საკუუნის უწინდელ ღროს არ უნდა ეკუთვნოდეს. ვანის ეკლესია წინედ მანასტერი ყოფილი და მონასტრად არის მოხსენებული ძველ საპუთებში.

დასავლეთის მხრით ვანის ეკლესისა ამართულია მაღალი სამრეკლო თლილის ქვისა; ქვემთ ნაწალი სამრეკლოსი ექვან-კუთხედი სახისა წარმოადგენს ოთახს. სამრეკლო ერთი ღროის არ არის ეკლესიასთან, სამრეკლო ყოველ შემთხვევაში უკეთესი ნაშენებაა ვიზრე ეკლესია.

ვანის ეკლესის აჩხეოლოვიურ ნიერთი შორის საკურა-დლებონი არიან-შემდეგნი:

1) დიდი ხატი ღვთის მშობლისა,  $130,2 \times 81$  სანტიმეტრი, ვერცხლის აშიით. ამ ხატზე ორი ამობერილი სურათია ღვთის მშობლისა მაცხოვრითურთ, ერთი დიდი შუაში და მეორე პატარა ქვემოდ. დიდი სურათი ღვთისმშობლისა ირგვლივ შემკობილია სხვა ამ გვარივე ხელობის სურათებით ათორმეტთა საუფლოთა და სხვებით. აქ წარმოადგენილია ხარება, შობა, მირქმა, ნათლისლება, ფერისცეალება, იერუსალიმში შესვლა, გოლგოთაზე წასვლა, ჯვარცმა, აღდგომა, ამაღლება, მეორედ მოსვლა, მიძინება ღვთისმშობლისა და სხვა. თავრეცელი სურათი ცალკე ნაჭერს წარმოადგენს და ეს ნაჭრები მიჭედილია ხატის ფიცარზე. პატარა ღვთისმშობლის სურათს ზემოდ ცოტა არ იყოს დაზაანებული ასომთავრული წარწერა მოიპოვება. ეს წარწერა ცალკე ვერცხლის ფურცელზე ყოფალა გაკეთებულია, მაგრამ მოხელეს, როდესაც სურათები მოუთავსებია ხატის ფიცარზე, მოელი წარწერიზა აღვილი აღარ დარჩენია. ამიტომ დაწერილი

ფურცელი გაუჭრია და მარცხენა ნაწილი მისი ცალკე ქვემოდ მიუწერია. წარწერა იკითხება ასე:

1. წ. [მშობე]ლო ქრისთე (sic) ღმრთისო ჩვენო შეეწიე და
2. შეიწყალე და აცხოვნე:. სული. ამ
3. ის მომჰედის ფრიად ცოდვილის
4. ქაიხოსროს ლალიაშვილის:. სული:. ყვლა
5. დის და მარაის და უკუნით უკუ
6. ნისამდე ამინ:. უფალო ვინცა ამას შენდობა
7. უთხრა თქვენცა შეგინდოს ღმერთმა.

ქვემო აშიაზე იმავე ხატისა დაცულია სამ სტრიქონიანი წარწერა, მაგრამ სამთავე ტრიქონებს თავი და ბოლო აკლიათ:

1. [...ვრ]გლის:. მოდგრნე:. მე:. ვახუშტი:. ჩიჯაძემან:. და:.  
თანა:. მეცხედრემან:. ჩემა ბატონმან:. ანა:.  
კილაძის [ასულმა შემკობად ხატისა
- 2 ამის] ყოელა:. წმიდის:. თორმეტ საუფლოთა:.  
სახსრად:. და:. საოხად:. ფრიად ცოდვილ-სა:.  
სულისა:. ჩენისავის:. ყოვლადვ[ე აწ და მარადის და
- 3 უკუ]ნისამდე:. ამინ:. უალო:. ვინცა:. ამთ  
შენდობა უთხრა:. შენცა:. შეგინდოს ღმერთმა:.

II. ვერცხლისჭატი მიქელ მთავარ ანგელოზისა,  $66,5 \times 43,8$  სანტიმეტრი. ზემო აშიაზე აქვს მხედრული წარწერა, რომლის თავი და ბოლო დაფარულია სხვა გვერდის აშებით:

1. [მო]ვაჭედინე ხატი ესე ზეშთა ნათელ თვალ შეუდგამისა ღრთ მთავრისა წინაშე მდგომარისა ძალთა და ბძანებათა ღრთ.
2. და მის ყოფითა აღმასრულებელისა ღიღისა უკორცოთა ძალთა მთავრისა მიქაელისა მეფე დ ცოდვილმან ჩიჯავა[ძემან]
3. [ვა]ხუშტი სულისა ჩემისა და ახალ მიცვალებულისა მე-  
ულლისა ჩემისა ღოღაბერიძის

4. [ასუ]ლისა მარეხისა სალხინებელად და ქეთა და ასულთა ჩემთა სადღეგრძელოდ.

III. ოქროთ დაფერილი ვერცხლის ხატი მთავარ ანგელოზთა მიქაელისა და გაბრიელისა, 54,5 × 42,6 სანტიმეტრი. ზემოდ გამოხატულია ქრისტე ბერძნულის წარწერით: ΙΧ Χ' C. ქვემოდ მთავარ-ანგელოზნები ბერძნულივე წარწერით: Μ' ΧΔ, Γ' ΒΔ. ზე-მო აშიაზე აქვს მხედრული წარწერა:

1. ქ: ჩვენ: საქართველოს: ჯანიშინმა: ბატონის: შვილმან: ვახტანგ: მოეაჭედინეთ: ხატი: ესე: მას: ეამსა: ოდეს: სულ კურთხეული: სიძე: ჩვენი:

2. ჩიჯავაძე: საზვერელი: მიუკალა: ეს: ხატი: მათის: სასოფ-ლოსი: მათის: სულის: საოხად: და: სახსრად: მოგვიჭედი-ნებია: ქ' ეს: აქათს: ჩლც: თვესა: იანვრისა: კგ:

ჩვენს წყაროებში ცნობილი არ არის, რომ ვახტანგ შეექვსის სიძე ჟოფილიყოს საზვერელი ჩიჯავაძე.

IV. ხის ხატი ივანე ნათლისმცემლისა გაძარცულია. დარ-ჩენილია მარტო სურათები სახარების შინაარსიდან ქართულის წარწერით. ნაწილები არ შენახულან.

V. ოქროთ დაფერილი ხატი ღვთისმშობლისა ოთხი ძვირ-ფასი ქვით (ზურმუხტით და ლალებით). ქვემო არ შიაზე ყოფი-ლა წარწერა, მაგრამ არ შია ეხლა შემოძარცული აქვს. ჩვენ გადმოგვცეს, რომ ეს წარწერა ინახება გრიგორ. ლორთ. ქიფანი-ძის ოჯახშით, მაგრამ ჩვენ ვეღარ ვნახეთ. ღვთისმშობლის და მაცხოვრის სახეებს აწერია:

დედა ღ' ა ძე ღ' ა.

VI. ვერცხლის ჯაში მხედრულის წარწერით:

წინამძღვარი სვიმონ მოიხსენოს ღ' ნ.

VII. ხის დასაკეცი ხატი ათორმეტთა-საუფლოთა ათონურის ხელობისა, ვერცხლის არშიებით, რომელთა შორის ზოგი გაძარცულია. შხედრული წარწერა არშიებზე ალაგ ალარა სჩანს, მხოლოდ იკითხება:

:ქ: ეს თორმეტი საუ]ფლო გენათლის გედეონისა...

VIII. ძველ ხელნაწერია შორის ვანში შენახულა მარტო ერთი ტყავის სახარება, მაგრამ ეს სახარება თვის სურათებით, საუცხოო ხელოვნების შემკაბილობით, სათაურებით და ასო-მთავრულებით ათას სხვა ხელნაწერად ღირს. პირველად ამ სახარებას მიაჭირა ყურადღება ა. ი. სტოიანოვმა, რომლის თოვნით ეს ტყავის წიგნი გელათში გადიტანეს, მაგრამ შემდეგ ვანის საზოგადოებაში მოითხოვა უკან სახარება, რომელიც უკვე დაუბრუნდა ვანის ეკლესიას. ვანის სახარება ჩასვენებულია მდი-ლარ ხელოვნურად შემკაბილ კუბოში, რომელიც მოგვაკონებს წიგნის ყდას. შემდეგ ეს კუბო თავის სახარებითურთ ჩადებულია მეორე ვერცხლის უბრალო ბულეში, რომელიც ზემოდ სისქეზე იღება მხოლოდ, და უკანასკნელად სახარება ამ ორი კუბოთა ერთად მოთავსებულია ტყავის ჩანთაში, რომელსაც მობმული იქვს ვერცხლის ძეწყვი მხარზე ჩამოსაკიდათ. ამ გარემოებას დაუცავს ვანის სახარება დროთა მსვლელობისაგან და კარგა-დაც მოუღწევია ჩვენამდის. ხელოვნურად ნაჭედ ბულეზე წარ-მოდვენილია ამობერევილი სურათში იესია ქრისტეს აღდგო-მისა და ჯოჯოხეთში ჩასვლისა ყველა ჩვეულებრივის სცენებით. მეორე მხარეს ჯვარუმა გამოსახული. ხსნებულ ბულეზე წარ-მოდგენილნი არიან აგრეთვე ოთხივე მახარობელნი თავიანთ ემბლემებით. ეს ხელოვნური ბულე თურმე ერთად ერთი წარ-მომაღვენელია იმისი, რასც ვიზანტიელები უწოდებდნენ „თეკე“-ს. ექვს გარეშეა, რომ ეს სახარება ზემო აღნიშ-ნული ბულითურთ წარმოვევიდგენს ქართულ ხელობას თამარ მეფის დროისას და ეს ქართული ხელობა ამ ბულისა და სახა-რებისა იცნო მეცნიერმა ნ. კანდაკოვმა, რომლის მშვენიერ აღწერაზე ამ ნაშთისა ხელოვნების მხრით მოუთათებთ მკით-

ხველს და აქ საუბარს არ გავაგძელებთ. სახარება უნახავთ გელათში ყოფნის დროს ხენებულს შეცნიერს ნ. კანდაკოვს და დ. ბაქრაძეს (იხ. ოცხ პამ. დრ. ვხ სტკ. ხრ. ი მონ. გრუვი, სტრ. 47—50). რაც შეეხება წარწერებს ვანის სახარებისა, ამათზე შემოკლებული ცნობებია შეტანილი რუსულად ზემო ნაჩვენებ შრომაში, ქართული ტექსტი სრულებით დაბეჭდილი არ არის და ზოგიერთი წარწერებიც მოხსენებული არ არის. მაგალითად გარევან ვერცხლის კუბოს წარწერა სრულებით არ ისხევიება. ნამდვილად კი აქ სწერია მხედრულად:

1. ქ.. გევერებით:. ჩვენ: ცოდვილი:. ესე ჩიჯავაძე:. ვახუ-  
შტრი:.. და:..
2. თანა:.. მეცხელე:.. ჩვენი:.. ღოღაბერიძის:.. ქალი:.. მარეს:..  
თქვ
3. ენ:. შემბრალეთა:.. და:.. შემწყნარებელთა: ჩვენთა:.. თქვენ:..  
რთხთა:..
4. თავთა:.. მახსრებელთა:.. მათე:.. მარკოზ:.. ლუკას:.. და:.. იოვა-  
ნეს:.. ძველადვ
5. გ:.. ჩვენთა:.. სახლთავანევა:.. მოჭედილი:.. ბრძანებულ:..  
ხართ:, უმთა:..
6. გამოსვლისგან:.. დარწეული:.. ხართ:.. სხვეფა:.. გასაკეთებლად:..  
ხელი:.. არ შე
7. გემართოდა:.. სხვა:.. ვერა:.. გავბედით:.. რა:.. კუბო:.. შეგიძ-  
ზადეთ:.. აწ:.. მაღლისა:..
8. თქვენისათვი:.. მას:.. ვრძელი:.. საუკუნოს:.. ცოდვილისა:..  
სულ სა:.. ჩვენსა:.. შეძწე:.. და:.. მეოხ:.. ეყვენით:..

თვით სახარება  $29,4 \times 20,7$  სანტიმეტრი, ნაწერია მშვე-  
ნიერ ეტრატზე მოსხო 5უსხა ხუცურით ორ სვეტიად. თითოე-  
ულს სვეტზე დატეულია 21 სტრიქონი, მეთაური ასოები და  
ხათაურები ნაწერია ოქროთი. კამარები მშვენიერი ნახელავია.  
აგრეთვე საუკუნოეთ ფერადებით არის დახატული ოთხი მახა-  
რობელი და იქსო ქრისტე, რომელიც აკურთხებს ოთხ მახა-  
რობელს. სულ სახარება შეიცავს 274 კატალინს.

მარკოზის სახარების ბოლოს მე-126 კაბალონის მეორე  
გვერდზე ტექსტის ხელით სწერია:

წ'ნო მახარებელნო  
გ'ნმაძლიერეთ ცო-  
ლვილი ი'ე რ'ნ ფ'დსა  
უძლ'რბასა შ'ა მყოფ-  
მან კ'ლ ვყავ წ'ერით,  
მოსაქმებად წ'ისა ამის  
სახარებისა:-

ითანე მახარობელის ბოლოს მოყვანილია პირველად ან-  
დერძი გიორგი მთაწმინდელისა:

ესე საცნაურ იყ'ვნ ყ'ლთა:  
რ ესე წ'ა ოთხთ'ვი ახლ'დ  
გვთარგმნია\*). ფ'დითა იძ-  
ულებითა მ'მთა ვიეთ-  
მე სლრ'თათა. და ბერ  
ძულთა სხ'რებათა და  
შეგვიწამებია. ფ'დითა გ-  
ამოწულლვითა. და  
ვინცა ვინ დასწერდეთ.  
ვითა აქა ჰპოოთ ეგ  
რე დაწერეთ. თუ ამის  
გ'ნ ჯერ გიჩნდეს დაწე  
რაა. ღ'თისა თ'ს სიტყ'თა  
ნუ სცვალებთ. ა'დ ვ'ა  
აქა სწერია ეგრე და-  
წერეთ. და თუ არა რ'ა  
მე გაშუნდეს ჩნ'ნი ყ'ნი  
სხრ'ებანი პ'ლოგ'ნ წ'დად

\* ) ზოგიერთ სხვა ვარიანტებში გიორგის რედაქციის სახარებისა სწე-  
რია: „არა ახლად გვთარგმნია“, რომელიც უფრო საჭეშმარიტოა.

თარგმნლნია და კთლ-დ  
ხან შეტნიცა და საბა წმი-  
ღურნიცა. მუნით დაწე-  
რეთ. ლ-ისათვს ერთ-  
მანერთსა ნუ გაპრევთ.  
და გლ-ბკისა  
გეორგისთ-ს რ-ნ ესე  
ვთარგმნე ლ-ცვა ყვთ;\*).

• • • • ; • ; , • • • ; .

ამას შემდეგ უფრო წვრილი ასოებით მოთავსებულია  
ბოლო სიტყვაობა თვით სახარების გადამწერისა:

სყრ-ელნო ჯერ არს რ-ა წ-სა ამის  
სხრ-ბისა ერ-ობდა: გ-ნემარტოს სიწ-  
მიდეს თქვენსა: და არა თვთ შჯ-ლ-ბით  
ჰელნოთ შეცვლ-ჭ სიტყ-თად წ-ისა ამ-ს სა-  
ხრ-ბისა. ანუ ანდრებ-თ. : . ა-დ ესე სა-  
ცნაურ უ-ვნ უ-ლთა რ უ-ნივე ქა-  
რთულნი სხ-რბნი მთა წ-ით აღწე-  
რლნი და გამოსრულნი ღირსისა  
მშ-ისა გი-ს თარგმნილნი. საეკლე-  
სიონესა სახარებისგ-ნ რ-ლ მთწ-  
მიდელნი იკმარებენ აღწერილ  
ნი არიან:. და არა მისგ-ნ რ-ლი  
თვთ გ-ი თარგმნა და ნუსხად მდე-  
ბარე იყო დიდსა წიგნის საცავაა:.  
ა-დ მისგ-ნ გარდაწერილის გ-ნ:.  
და მას ნუსხასა თ-ა ფ-ლი ნაკ-  
ლულევანებ-ჭ აქ-ს და ვ-

\*.) ზოგჯერ აშიებზე შენიშვნებია თვით გიორგისა. მაგალითად მე-66  
გაბადონის აშიაზე სწერია: „არცა ძე-მნ. ესე სიტყვ-ჭ სამთა ბერძულთა  
სახარებათა არა ეწერა:. არცა მე დავსწერე”.

გონებ რ' ლ თვით შჯ-ლობით ვიქთ-  
მე ეკადროს მ' ს შ' ა შეცვლად  
სიტყვას გინა ანდერძისად ვე  
მწერლისგ'ნ გ'ნრყუნად: ს ჩ'ნ-  
თა ამათ შ' ა უ' თა. ლილი მ'ღწეთა  
შ' ს ბერი ზაქარია მორავიდა მთ-  
ასა წ' ა, ძიებად ყო გ' ის მ'რ აღწე-  
რილისა წ' ისა მის ს'ხრებისათვეს: და  
პოა დიდსა წიგნის საცავსა შ'ა:  
და აღიერსო სიხრ'ლითა: და მ'რ  
გადმოეწერა შატბერდელსა ხ-  
უცესსა სტ'ფნეს და აღმორავი-  
და, რომანიას: მე კ'ლთ ვყავ ცოდეილ-  
მ'ნ ი' ე აღწერად: რ აღრითგ'ნ ხ-  
წყუროდა ს'ლისა ჩემსა მოგებად წ' სა სახ'რე-  
ბისა: აწ' ვინცა სწერდეთ  
ვითა აქა ჭვოოთ, ეგრე დაწერეთ წენტილითა: და  
პტ'ვთა ზ' ა მეორითა  
სიტყვას: რ ანდერძი ვითა აქა სწერიდ  
ესრე პოვნილ არსნუსხას::.

ამას ქვემოდ ორი სტრიქონი ბერძნული ასომთავრუ-  
ლი წარწერაა. და შემდეგ მე-XII საუკუნის მხედრულის ხელით  
სწერია:

1. ქ. ეს სახარებაი: მე ი' ე ულირსმან: სპყარმან და მლო-  
ცველმან: წ' ის: \*)
2. დედუფლის: თამარისმან ვიოფლე: წერით: ქალაქსა შინა  
კუნსტანტინპოლის: ლოცვა ყავთ:  
უ'ლთა:

\*) ეს არა პირველი მაგალითია, რომ თანა მედროვენი, თამარ დე-  
დოფლის „წმიდათ“ მოიხსენებენ.

შემდეგ ტექსტით ხელით სწერია:

და მადლობა, ღოთისა მიზეზისა  
კლთა კოლოთადსა: და მომდებელისა::.

მე-274 კაბადონის პირველ გვერდზე მხედრულის ხელით  
XII—XIV საუკუნისა სწერია:

„წ. შემოსწირა: წმიდა: ესე ოთხთავი: პატრიონმან ნათ-  
ამან ჩუენ: საბოთარსა: და შორეთელთა: პირველ ხატ-  
სა: მაცხოვრისასა: და წისა: გი: შოროთისასა და წისა ნიკზს:  
სააღაპედ: მისისა მეუღლისა ბეჭასა: შალვა არტან-  
უჯელისად შვილისათუის: და მისთუის: და ჩუენ გაუჩინ-  
ეთ აღაპი: ქეს: შობისა: წთა კვრიაკესა: დღესა: გარდაი-  
კდებოდეს ტრაპეზით: კარგი და საპატიოი: სრული  
და დაუკლებელი: აღაპი: და რაოდენნიც მღდელნი იყუნ-  
ენ უამსა უწირვიდენ პატრიონსა: ბეჭასა: და მისია მეუღლე  
ყოფილსა ნათანიხოს: და ნუ დაკლებენ წირვასა: მოკუ-  
ენებასა: და შენდობასა: მას მწუხრსა ცისკრად: და წირვას  
ზედა: მღდელნი დ მწირნი დ ჰლოცვიდენ დ შენდობითა მოიკენ-  
ებდენ და ვინც: დააკლოს და უგულებელს ყოს: იყავნ კრულ  
წყეულ და შეჩერებულ: და დამამტკიცებელნი: ღოთმან აკურ-  
თხნეს და დამტკიცნეს ამინ::“

აქ მოხსენებულნი პირნი ნათად (ნათელა) ანუ ნათანი-  
ხოს და მისი მეუღლე ბეჭა, შალვა არტანუჯელის შვილი, სხვა  
წყაროებში ცნობილნი არ არიან.

მე-273 კაბადონის მეორე გვერდზე მე-XVIII საუკუნის  
მხედრულით სწერია:

„ქ. ჩვენ აფხაზეთისა კათალიკოსმან და მეფის ძემან იოსებ  
დავითხენით წმინდა ესე სახარება და გამოვიკითხეთ და საჩინოს

ვანს მთავარ ანგელოზის ეკლესიის შეწირული ყოფილიყო  
პირველ. და ახლა ისევ ეს ჩემი ნაყიდი სახარება საჩინოს  
ვანს მთავარ ანგელოზის ეკლესიისათვის შემიწირავს ორივე  
ვეცხლის კუბოთი და მისის ვეცხლის ძეწკვით შემკობილი  
კორცთა ჩემთა სასიმთელოთ და სულისა ჩემისა საოხად.  
ყოვლად სამღვდელოს ქუთათელ მიტროპოლიტის მაქსიმეს მო-  
წოდით. და ვინც ეს ჩემი ნაყიდი იმ ეკლესის გამოსწიროს  
შეჩვენებული იყოს ამინ. დაიწერა ქორნიკონსა ქეს აქეთ ათას  
შვიდას სამოცდა თექვსმეტს და თვესა მაისესა:. იბ:. მე არხი-  
ლიაკონს ეფუთვიმეს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი:-“

მეფისძე  
იოსებ

ამას შემდეგ ხელის-მოწერაა თვით ქუთათელ მიტროპო-  
ლიტის მაქსიმესი და შუაში უზის ბეჭედი მაქსიმესი:

ქუთათელ მიტროპოლიტი  
მაქსიმე ვამტკიცებ ვინც გა-  
მოსწიროს შეჩვენებული  
იყოს ამინ.

ამ წარწერაში მოხსენებული იოსებ აფხაზეთის კათოლი-  
კოზი იყო დე იმერთა მეფის ალექსანდრე V (1727—1752) და  
ძმა იმერთა მეფის სოლომონ I.

მოკლედ ისტორია ვანის სახარებისა, როგორც სჩანს წარ-  
წერებიდან ასეთი ყოფილა:

ვინმე ზაქარია ბერს მთაწმინდაზე უნახავს სახარება აფ-  
ტოგრაფი გიორგი მთაწმინდელისა და გადმოუწერია, ზაქარიას  
სახარების ცალიდან გადმოუწერია სახარება შატბერდელ მღვ-  
დელს სტეფანეს, და სტეფანეს გადმოწერილ ნუსხიდან გად-  
მოუწერია ვანის სახარება თამარ მეფის სიცოცხლეში. მისევ  
ლოცველს იოანეს: დომანია მდეპარეობს კონსტანტინეპო-  
ლის მახლობლათ. აქ იყო ქართველების სავანე აშენებული IX

საუკუნეში იჯარით ქართველის მიერ. ეს სავანე ცნობილია სოხასტერის სახელით. ჩვენის ფიქრით, სახარება თამარ დედოფლის ბიბლიოთეკას უნდა კუთნებოდა. შემდეგ ვანის სახარება შალვა არტანუჯელის ცოლს ნათბ ანუ ნათანის ჩავარდნია ხელში და შეუწირავს შორეთის ეკლესიისათვის, რომელიც მდებარეობს ახალქალაქის მაზრაში, მდინარე ასპინძის სათავეში, და აქამომდის გვარიანათ არის დაცული. საათაბაგოდან, ალბად ამ მხარეს გათათრების შემდეგ, სახარება გადმოუტანიათ ვანში. ამას შემდეგ ეს განძი ერთხელ კიდევ დაკარგულა და გამოუყიდია აფხაზეთის კათალიკოზეს მეფის ძეს იოსებს 1776 წელს და დაუბრუნებია ისევ ვანის ეკლესიისათვის საჩინოში. ბოლოს უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც თვით სახარება ვანისა იშვიათ ნაშთს წარმოადგენს ხელოვნებისა, იმდენადვე დაგაცილებით მეტად კიდევ შესანიშნავია კუბო სახარებისა, რომელიც ისეთ თვალსაჩინოს და ძვირფას ნაშთს ეკუთვნის ქართულის ხელოვნებისას, როგორიც არის ხახულის ღვთის მშობელი გელათში და ანჩის ხატი ტფილისში.

ისრითი. ვანის ზემოდ მდინარე სულორის მარცხენა ნაპირზე სოფელ ისრითში არის პატარა ძველი ეკლესია წმიდის გიორგისა თლილის ქვებით ნაშენი. დასავლეთის მხრით ეკლესიას მიშენებული აქეს ფიტრის ეკვდერი, ეკლესის სიგძე აქეს 8 ადლი და 9 გოჯი, განი შეიღი აღლი და ორნახევარი გოჯი. კარი წინედ ერთი პერნია სამხრეთის კედრით და შემდეგ გაუკეთებიად მეორე კარი დასავლეთის მხრითაც ეკვდერისათვის. ამ პატარა ეკლესის კარს და ორ სარკმელს აღმოსავლეთისა და დასავლეთისას ჩუქურთმის შემკობილება აქეს იმგვარივე ხელობისა, როგორც კაბენის და გულარების მონასტრებს. და ამატომ ეს პატარა საყდარი მე-XII—XIII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. ამგვარი შემკობილება საყდრის ფანჯრებისა და კარისა სხვა საჩინოს ეკლესიებზე ჩვენ არ გვინახავს. შიგნით ეკლესია დახატული ყოფილა ძველათ. ნაშთი მხატვრობისა ემ-

ჩნევა კიდევ საკუროთხეველის კედლებს. დასავლეთ კელელზე დახატული ყოფილი კაცი დიდებულის ქართულის ტანისამოსით და ამ მხატვრობას წარწერაც ჰქონია, რომლიდგან დარჩენილა მარტო ორი ასო ...დრ...

კანკელი ეკლესიაში ხისაა ახალი. ძველი ხატები აქ არ შენახულია. მოიპოვება მხოლოდ ორი ხატი წმიდა გიორგისა ფიცარზე ნახატი. ერთს ვერცხლის არშია ჰქონია, რომელიც მოუძარუავთ, მხოლოდ რამოდენიმე ჭვა კიდევ შერჩენია ხატს. ამას გარდა აქვე დაცულია კიდევ ხატი წმ. ბასილისა ფიცარზევე ნახატი. ეკლესია მთელია, მაგრამ ეხლა გაუქმებული.

დიხაშხეთ. ვანს და ისრითს შეუა ერთ ბორცვზე სოფელ დიხაშხოში. არის ეკლესია სამებისა, რიყის ქვით ნაშენია, სიგძ აქვს 11 ადლი და 7 გოჯი, განი 6 ადლი და 6 გოჯი. კარი აქვს მარტო სამხრეთის კედრით, ფანჯარა თოხია: ორი სა. მხრეთით და თითო აღმოსავლეთით და დასავლეთით. ამ ეკლესიას ლამაზი აღებასტრის კანკელი აქვს და ზემოდ აწერია მხედრულად:

„ქ. ყოვლისა შემძლებელო და ცხოველ მყოფელო სამებაო წმიდაო, ნათელო დაუსაბამო ძალთაგან შემოქმედი ქველის მოქმედებითა შენითა არა არსისაგან არსებად მოიყვანენ ყოველნი, შენ მიერისა მოწყალებისა მომლოდნეთა თავადთა; ლორთქითანიდე როსტომ, ტატუ, ბევან და ბესო ეისურვეთ და გიძლვენით მცირე ესე მსახურება. შეიწირე ვითარცა მწვდილი ქრისისა, ცრემლი პეტრესი, სულთქმა მეზვერისა და დაგვიაფარე ბოროტისაგან, უუმოსა სიკვდილისპგან, და საშინელსა მას დღესა განკითხვისასა ლირს მყვენ მარჯვენითთა თანა აღრაცხვად“.

ეს წარწერა ძველი არ არის და უნდა ეკუთვნოდეს მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედს. აქ მოხსენებულ პირთა შვილები ზოგი დღესაც ცოცხალია.

შიგნით კედლებზე დახატულნი არიან ლორთქიფანი-ძეთა გვარეულობის პირნი. ერთს მათგანს ხელში უჭირავს გეგ-მა ეკლესიისა. სურათებს წარწერებიც აქვს, მაგრამ ჩვენ არ გაღმოგვილია, ვინაიდგან ლამე მოგვიხდა ხსენებული ეკლესიის ნახვა.

სოფელ დიხაშხოს მღვდელთან ჩვენ ვნახეთ ხელ ნაწერი წიგნი სრულდრაფი კუთვნილი გრიგორი ლორთქიფანიძისა. წიგნი, როგორც ვიცით, ნათარგმნია არჩილ მეფის თაოსნობით. თავში სწერია: „ზანდუკი წიგნისა ამის საქმეთა რ' ლსა გარე შეი-ცავს:. შემოკლებით მოთხრობათა დაწყებული დასაბამითგან სოფლისა მეფობადმდე კოსტინტინე პალიოლოთისა უკანასკნე-ლისა ბერძენთა მეფისა“. სულ ხელნაწერი შეიცავს 245 კაბა-ლონს.

**სადგერი.** სოფელ ვანს ქვემოდ სოფელ სადგერში ორი პატარა ეკლესია მოიპოვება, ერთი კარის ეკლესია ჩიჯავაძეე-ბისა, რომელიც ჩვენ არ გაგვიშინჯვავს, და მეორე დანგრეული უბრალო ქვისა.

**ქედა.** ხუთის ვერსის ქვემოდ სოფელ ვანისა მდებარეობს სოფელი ქედა. ქედაში გორაზე წამოდგმულია ქვის ეკლესია წმ. გიორგისა, სიგრძე აქვს 16 ადლი და 7 გოჯი, განი 11 ადლი და 9 გოჯი. ეს ეკკლესია ძველი არ არის, მაგრამ ძველი უკ-ლესისა ადგილზეა აშენებული და ზოგიერთი ქვები ძველი ეკ-ლესისა მოუქმარებით ამისათვის. კანკელი ხისა აქვს და ხა-ტები კანკელისა ტილოზეა ნახატი, სხვათა შორის აქ დახა-ტულია ქრისტეს შემდეგ წმიდა ნინოც.

I. თავი ხატი წმიდა გიორგის ვერცხლისა არის, 47 × 33,5 სანტიმეტრი, და შემდეგი ასომთაერული წარწერა აქვს:

ქ. წმიდა გიორგი  
ქესაო ადიდე ხე  
ვი ქედელი ნადს  
ფოთელს შეს ლმთმ  
ა ხას ხფრეს ნიკს

გგ-ის ქოფის მრინა  
შვილს შედს ღმერთმა

სსენებულ ხატზე წმიდა გიორგის სურათის გარდა ცხენით გამოხატულია არშიებზე მახარობლები, წმ. პეტრე, წმ. ბასილი, წმ. მარინე, გრიგორი ლვის მეტყველი და სხვა. ამას გარდა აშენებზე წარმოდგენილია სცენები წმიდის გიორგის ცხოვრები-დან: ურმის თვალით ტანჯვა, თავის კვეთა და სხვა. ხატს აქვს წმიდა გიორგის ნაწილები ცალკე კარებით. ხელობა მდარეა.

II. ვერცხლისავე ხატს ღვთისმშობლისა,  $14,5 \times 14$  სანტი-მეტრი, ექვსი ძვირფასი ქვით შემკობილს აქვს მხედრული წარ-წერა:

### ი-კ ჭ-ე

ესე: ხატი:: მოჰედე:: მე  
თეკლა:: მინაშვილმა::  
ჩემის:: სულის:: სახსრად:

III. ვერცხლის ჯვარი ტარზე ჩამოსაცელი,  $32,7 \times 24$  სანტიმეტრი, აქვს ორი ლალი, და მდარე ნახელავია.

IV. სპილენძის დასაკეცი ხატი თორმეტ საუფლოთა.

V. კამარა ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

ქ. შემოგწირეთ. ესე. შეს-წირავი. წმიდას.  
მთავარ. ანგელოსის. ეკლესიას. ლინარალის.  
მეულლეშ. ბარბარეშ. ფეშელმი. და. კამარა.  
ჩემის. მიცვალებულის. სულის. სმეოხთ. რომელმაც.  
გამოსწიროს. რისხამდეს. საუკუნოთ. შამა. და. ქე.  
და სული  $\times$  წმიდა  $\times$  თვესა. იანვარისა. დ. ჩეიგ. წელსა.

VII. ხელნაწერი აქ ინახება მარტო ერთი. ეს არის ფსალ-მუნების თარგმანი სულ 15 კაბადონი მხედრულის ხელით ნა-

წერი. სათაურები ხუცური აქვს წითელი მელნით შესრულებული. დასაწყისი: „მოპსცეს უამსა მას საუკუნესა, და კ' დ ჯრარი უკასა როლნ უამსა“. ხელნაწერი ეკუთვნის მეთვრამეტე საუკუნეს წერის მიხედვით და არაფერს საყურადღებოს არ წარმოგვიღებს.

**მგელი ტობანიერი.** ძველი ტობანიერი ძევს გთაში ოთხი ვერსის მანძილზე ახალი ტობანიერიდან. აქ დაცულია ძველი ეკლესია, ცოტა არ იყოს, უხეიროდ ნათალი ქვისაგან ნაშენი. სისქე კედლებისა არის  $1\frac{1}{2}$  ადლი. ეკლესის სიგძე აქვს 17 ადლი და 2 გოჯი, განი 11 ადლი და 11 გოჯი. აღმოსავლეთის მხარეს იქ, სადაც ორივე ნაწილი სახურავისა უერთდება ერთმანეთს, ჩატანებული არის ცხვრის ოვი ქვიდვან გამოქანდაკებული. ფანჯარა სამი აქვს: თითო აღმოსავლეთის, დასავლეთის და სამხრეთის კედრით. ეკლესის ეკვდრები 3ქონია ჩრდილოეთის მხრით, სიგძით 8 ადლი და 10 გოჯი, განით 4 ადლი და 14 გოჯი. ეს ეკვდერი ეხლა დანგრეულია. დანგრეულია აგრეთვე დასავლეთის ეკვდერიც, ანუ კარის ბჭე, სიგძით 11 ადლი და 11 გოჯი, განით 4 ადლი და 11 გოჯი. ეხლა დაცულია მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში ეკლესისა შემდეგ დროში მიღმული პატარა ოთახი. დასავლეთის კარს ზემოთ ქვაზე გამოქანდაკებულია ჯვარი, მარჯვნივ კაცის სახეა ულაზათო, ქვემოდ მავრატელი და ცერძი, ზემოდგეველი და სამი ფრინველი. აღმოსავლეთის კედელში ჩატანებულია ჯვარი და აგრეთვე აღმოსავლეთის ფანჯარა შემკობილია გრეხილით. დარის მსგავსი ლავგარდანი აღმოსავლეთის მხრით ჩამონგრეულია. ეკლესის შემოვლებული აქვს გალავანი. ძველი ტობანიერის ეკლესია აშენებული ყოფილა სამების სახელზე, ხოლო თავი ვერცხლის სამების ხატი დიდი ზომისა გაუძარცვავთ ავაზაკებს და ეხლა დარჩენილია მარტო შუა ნაწილი, რომელიც განცალკევებული ყოფილა, ეს ნაწი-

ლი წარმოგვიდგენს იესო ქრისტეს ტახტზე მჯდომარეს. ხელობა მშვენიერია. ხატს ხუცურად აწერია:

„მე ვარ ნათელი სოფლისა“.

ერთ ვერცხლის ფეშხუმს აწერია:

„წინამძღვარი სვიმონ“.

სხვა ნივთები წარწერებით აქ აღარ შენახულა.

ე. ოაკაიშვილი

(გაგრძელება იქნება)

# სამეგრელოს აღწერა

არქანჯელი ფამბურტია

(თარგმანი იტალიური)

xxi

## ცდილობა და ერთმანეთის პატივისცემა

მევრელებს ერთმანეთის პატივის საცემლად ისეთი უონი-ერი ჩვეულებანი აქვთ, რომ ამ მხრით მათ ბარბაროსები კი არ ეთქმის, არამედ შეიძლება მეტად განათლებულებად ჩავთვალოთ. მრავალ მათ ჩვეულებას სხვა და სხვა სავნის შესახებ ჩვენ მხოლოდ შევეხეთ სხვა და სხვა ადგილას და აქ ერთად მოვაურით თავს იმ ჩვეულებებს, რომელთაც იგინი ერთმანეთის პატივის საცემლად ხმარობენ. ამათ შორის უფრო ხშირად ხმარობენ მუხლ-მოდრეკას, რომელიც ფრიად კეთილშობილ ჩვეულებად მიაჩნიათ. მუხლს იღრეკენ ბევრს შემთხვევაში და განსაკუთრებით კი მაშინ, როცა დიდი ხნის უნახაობის შემდეგ ერთმანეთს შეხვდებიან. ამ შემთხვევაში ცხენილან ჩამოხტებიან და მიესალმებიან ერთმანეთს მუხლ-მოდრეკით. აგრევე მიესალმებიან და მიულოცავენ მშვიდობით ჩამოსვლას იმას, ვინც დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ საშობლოში დაბრუნდება, და იმასაც, ვინც დიდი ხნის ავალმყოფობის შემდეგ ლოგინილან ადგება და გარედ გამოვა: ყველა, ვინც მას შეხვდება, მუხლ-მოდრეკით მიესალმება და ეტყვის: მაღლობა ღმერთს,

\*) იხ. „მოამბე“, № XI.

რომ კარგად და მშვიდობით გნახეო. როცა ვინმე გარდაი-  
ცვლება და მისი ახლობელი ნათესავი სამგლოვიარო ტანი-  
სამოსში შემოსილი გარედ გამოვა, ამ ნათესავს ეგრე გამო-  
უცხადებენ სამძიმარს: ჯერ დაუჩინქებენ და მერე მარჯვენა ხე-  
ლით ქუდს მოიხდიან და მარცხენათი ოთხჯერ თუ ხუთჯერ  
გულში იცემენ, ურვისა და მწუხარების ნიშნად.

ერთმანეთთან სადარბაზოდ მაინც და მაინც ხშირად არ  
დაფიან. ხოლო როცა შემთხვევეა არის და ქალებთან სადარ,  
ბაზოდ მამაკაცები მოდიან, ამათ მოსვლაზე ქალები აღგილი-  
დან არ დაიძერიან და თავიანთ ოთახში უცდიან; მათ შესაკე-  
ბებლად გამოგზავნიან სახლიდან ყველა მამაკაცებს, როგორც  
ბატონებს, ისე მოსამსახურებსა, რომელნიც შეეგებებიან მათ  
ალაყაფის კარებთან. სტუმარ-მასპინძლები ერთმანეთს მიესალ-  
მებიან მუხლ-მოდრეკით და მერე ერთად გაემართებიან სახლი-  
საკენ, სადაც ქალები იმყოფებიან. ამასობაში დედაკაცები ყველა  
გასათხოვარი ქალებით, რაც ოჯახში არიან, მოირთვებიან, და-  
სხდებიან ნოხებზე და იგრე ელოდებიან სტუმრებს. როგორც  
კი სტუმრები შევლენ ოთახის კარებში, ყველა ქალები ფეხზე  
წამოღვებიან და სტუმრები, ქალბატონიდან დაწყებულ უკა-  
ნასკნელ გასათხოვარ ქალამდი, თვითეულს მუხლ-მოდრეკით მიე-  
სალმებიან. ქალებიც თავის მხრით აგრევე მიესალმებიან. შემ-  
დეგ ამისა დასხდებიან ნოხზე და დიდ ხანს საუბრობენ სხვა და  
სხვა საგანზე. მერე, როცა მოისურვებენ წასვლას, ამის ნებას  
ალარ ითხოვენ, უცბად აღგებიან და წავლენ. ქალებთან  
რომ ქალები მოვლენ სადარბაზოდ, მათ ალაყაფის კარებთან  
შეეგებებიან არამთუ ყველა შინაური მამაკაცები, არამედ დია-  
სახლისის ყველა გასათხოვარი ქალებიც, რომელთაც ყველა  
სტუმრები, მამაკაცები და ქალები, ეზოში შემოსვლისათანავე  
მუხლ-მოდრეკით მიესალმებიან. გარდა ამისა ქალები რომ მიუ-  
ახლოვდებიან ერთმანეთს, ეამბორებიან ურთიერთს ორსავე  
ლოყაზე და შემდეგ ამისა ხელშეორედ მუხლ-მოდრეკით მიე-  
სალმებიან ერთმანეთს. მერე ერთად მიიმართებიან დიასახლი-  
სისაკენ, რომელიც მათ შესაგებებლად მიდის შუა ეზომდი

ამასაც იმნაირადვე მიესალმებიან სტუმრები, და შემდეგ სტუმრებს შეიყვანენ სახლში.

როცა ავადმყოფის სანახავად მივლიან ხალმე, მაშინ იქ ცერემონიების შესრულებას გარდა, რომელიც ზევით აღვწერეთ, კადევ საჩუქარსაც შეიძლება ავადმყოფის ოთახში შემოსვლისათანავე იმის ლოგინში ისვრიან ხალმე სამს ან ოთხს ვეცხლის ფულს (scudi d'argento), ან რომელსამე ოქროს ფულს, ან ვეკლის თასს, დაიჩოქებენ ლოგინის წინ და ამბობენ: ღმერთმა მშეიდობით მჰგარჩინოსთ.

როცა ვინმე გაიგებს მეგობრის ავადმყოფობას, მაშინვე ისწრაფის მისს ნახეას და საჩუქრის შირანას. თუ ავადმყოფი მეტად ცუდ მდგომარეობაში დაუხვდა, ჩვეულებად აქვთ, რომ სტუმარმა იქ მყოფთ აჩვენოს, ვითომ ვტირიო, თუმცა სრულებით იქნება არ ეტირებოდეს. ამისათვის თვალებს იხოცა ცხეირსახოცით, ვითომ ვიმშრალებო ცრემლებს, რომელიც სრულიად არ მოსდის. მერე ნიშნად დიდის მწუხარებისა, არას აბბობას და მწუხარე თვალებით შესკერის ავადმყოფს, სწორედ ისე, როგორც იობის მეგობრები მოიქცენ, როცა ნახეს იგი ავადმყოფი: და არავინცა მათგანი იტეოდა სიტყვასა მისა მიშართ, რამეთუ ხედგიდეს წელულებასა მმვინვარეს მეფისა და დიდესა ფრიად (იობ. 2.). აგრე მდუმარე დარჩება რამდენსამც ხანს ავადმყოფთან და მერე გამომშვიდების დროს მიიღებს მისგან საჩუქარს და დაბრუნდება სახლში.

ამ ქვეყანაში ისე ჩვეულნი არიან საჩუქრებს, რომ მდიდრულად ასაჩუქრებენ არამთუ იმას, ვინც ავადმყოფის სანახავად მოდის, არამედ იმასაც, ვინც რაიმე მიზეზით სტუმრად მოდის, ხელცარიელს არ გაუშვებენ და ყოველთვის გამოთხოვების დროს უხეად დასაჩუქრებენ.

მათი თავაზიანობა კიდევ უფრო შორს მიდის: მასპინძელი იმას როდი უცდის, რომ სტუმარი ღავის სახლიდან თავისით მოვაო, არამედ თვითონ ჰქაორულს სახლიდან. ასეთს სტუმარს რომ მიიღებს და გაუშასპინძლდება, გამოთხოვებისას მდიდრულად დასაჩუქრებს და ისე გაისტუმრებს.

თუ პურის ჭამის დროს ჭიშკართან ვინმე უცხომ გაიარა, მეგრელების ზრდილობა თხოულობს მაშინვე კაცი მიაგებონ და შემოიპატიუონ. ამიტომაც ჭიშკარს არასოდეს არ ხურავენ პურის ჭამის დროს და ხშირადაც პურის საჭმელად შარა გზა-ზედ სხდებიან: როცა უცხო ვინმე გაივლის, უსათუოდ მიიპატი-უებენ სუფრაზე. ხოლო გამვლელს არაეითარი უარი არ გაუვა. როცა მიპატიუებული დაჯდება სუფრაზე, მასპინძელი უნდა გაუმასპინძლდეს იმით, რაც წინ უდევს. როცა მასპინძელი უთავაზებს საჭმელს, სტუმარი მას დაბლად თავს დაუკრავს და მარჯვენა ხელს თავზე დაიდებს, — ამით ვითამ იგი ამბობს, რომ ყოველივე ეს დიდი მოწყალებაა ჩემს თავზეო. რაც უნდა საპა-ტიო იყოს შემოსწრებული სტუმარი, მასპინძელი თავის ვალად არ რაცხს უბრძანოს თავისიანებს ახალი საჭმელი მოიტანონ და სრულიად საქმაოდ მიაჩნია მიართვას სტუმარს ის, რაც სუფრაზე უდევს. სტუმარი სრულებით კმაყოფილია ამ საჭმ-ლით, რაც უნდა მცირე იყოს იგი, რაღაც მას საჭმელის სხვა-და-სხვაობა და სიუხვე როდი ასიამოვნებს, არამედ მხოლოდ მიპატიუება და თავაზიანობა.

ყოველი ქვეშევრდომი უფროსთან ლაპარაკის დროს მუხლს იდრეკს. აგრეთვე უნდა მოიქცეს მოციქული, როცა დაბარე-ბულ საქმეს შოუთხრობს იმას, ვისთანაც გამოგზავნილია. თუმცა ხშირად მოხდება, რომ მოციქული უფრო დიდი ღირსებისა არის, ვიდრე ის, ვისთანაც გამოგზავნილია, მაგრამ უკეთუ ის კაცი, რომელმაც იგი გამოგზავნა, უფრო დაბალი ღირსებისა, მოციქულზე, მაშინ მისმა მოციქულმა დაჩოქილი უნდა ილა-პარაკოს, რაღაც ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს გამოგზა-ვნის ღირსებას და არა გამოგზავნილისას.

როცა ვისმეს მთავართან მისაწერი რამე აქვს, რაც უნდა იგი დიდი გვარის კაცი იყოს, მაინც არ შეუძლია პირდაპირ მთავარს მიმართოს წერილით, რაღაც ასეთს საქციელს კადნიე-რებად ჩამოართმევენ მთავრის წინაშე. ამ შემთხვევაში ვისაც საქმე აქვს მთავართან, წერილით უნდა მიჰმართოს მთავრის ან

დაახლოვებულ მოსამსახურეს, ან მდივანს და ან ვეზირს, და სთხოვოს, რომ ეს და ეს საქმე მაქვს მთავართან და მოახსენეო. მთავარი რომ ამ თხოვნას მოისმენს, მთხოვნელს პირდაპირ პასუხს მისწერს.

უზრდელობად ჩაითვლება, როკა მუსაიფის და ბაასის დროს ერთი მეორესთან ახლო დადგება, განსაკუთრებით როცა უმცროსი უფროსს ესაუბრება. ამ შემთხვევაში უმცროსი ყოველთვის საქმაოდ შორს დაიჭირს თავს და ამით ფითამ პატივს უცხადებს თავის უფროსს. თუ ზოგჯერ უფროსი, თავდაბლობის და მოწყალების ნიშნად, მიუახლოვდება, უმცროსი მაშინვე უკან დაიწევს, ნიშნად პატივისცემისა. იგივე ჩვეულება აქვთ სპარსელებს და ოსმალებს, და უთუოდ იმათვან შეითვისეს იგი მეგრელებმა.

როცა ერთი მეორეს საჭმელს უთავაზებს, უზრდელობად ჩამოერთმევა მომტანს, უკეთუ იგი მირთმუვის დროს ჯერ თვითონ არ სინჯავს ამ საჭმელს. აგრევე უნდა მოიქცეს ექიმიც, როცა, მაგალითად, საფალარათოს აძლევს ავადმყოფს, მზარეულიც, როცა სუფრაზე ხორცს მოიტანს და მერიქიფეც, როცა ბატონს ლვინოს მიართმევს.

როცა ეისმე კარგს ამბავს მოუტანენ, იგი თავის წელით ერთ კოვზს შაქარს მიართმევს ამბის მომტანს. მთავარიც აგრევე იქცევა, მაგრამ უფრო დიდებულად: როგორც კი შეიტყობს, მოამბე მოვიდაო, დიდ დარბაზში დააგებინებს ხავერდის ან დამასკის ქსოვილს კარგიდან იმ ადგილამდი, სადაც თვითონ დაჯდება, მრავალი თავად-აზნაურობის კრებულით გარემოცული, და ამ ქსოვილზე გამოატარებენ კარგი ამბვის მომტანს. როცა მოამბე მიუახლოვდება მთავარს და მოახსენებს ამბავს, მთავარი თავის ხელით ჩაუდებს პირში კოვზით შაქარს, კარგადაც დაასაჩუქრებს და ისე გაუშვებს.

თუ რამდენიმე კაცი ერთად მგზაურობს და უცბად ან ტალახს და ან საშიშ გასავალს წააწყდნენ, უფრო ზრდილი მათ შორის ცხენს გააჩერებს და პირველად გაივლის გზას,

რომ აშითა სხვები გააფრთხილოს, თუ რამდენად მართლა საძნელო გასაყალი არისო. დიდი სირცხვილია, ვინმებ თაეისი ცხენი შეაჩეროს იმ განზრახეით, რომ ასეთი გლახა გზა პირველად სხვებმა გაიარონ და გამოსცადონ, რამდენად ტალახი საფლობია და ან წყალი ღრმაა. ასეთს შემთხვევაში მხოლოდ ქალებს აქვს ნება უკან ჩამორჩნენ და გლახა გზა უკანასკნელად გაიარონ.

შეგრელებს კიდევ ერთი ჩვეულება აქვთ, რომელიც მეტად სამიმოა ახალ მოსულ უცხოელებისათვის - ეს ჩვეულება შემდეგში მდგომარეობს: მოხდება, რომ რაიმე ფრიად საჭირო საქმეზე კაცს გზავნიან სხვაგან და ამ კაცზე საჩიქაროდ უნდა მოიტანოს პასუხი. იგი საჩიქაროდ მირბის ამ საქმის შესასრულებლად და საჩიქაროდვე ბრუნდება სახლისაკენ, მაგრამ როცა სახლში მოვა, მაშინვე კი არ ჩიქარობს პასუხი მოახსენოს ბატონს, არამედ ოფლს შეიშრობს, ან თუ ზამთარია, სხვებთან ერთად მიუჯდება ცეცხლს, ან თუ პურის ჭამის დროა, სხვებთან ერთად სუფრაზე დაჯდება; პასუხისას კი არას ფიქრობს და სრულებითაც არას ამბობს, თუ ბატონმა არ დაუძახა და არა ჰკითხა, რა პასუხი მომიტანეო. ჩვენი მხრით უზრდელობა იქნებოდაო, ამბობენ იგინი, რომ ბატონს სხვა საქმები გავაწყვეტინოთ და ჩვენდა მონდობილი საქმე მოვახსენოთო, რადგან ბატონმა, რაკი დაგვინახა დაბრუნებული, თვითონ უნდა დაგვიძახოს, გვკითხოს ჭასუხი და შეიტყოს ჩვენგან ყოველივე გარემოება საქმისაო.

როცა დიდებულები საღმე გაემგზავრებიან, განსაკუთრებით, როცა სასახლეში წასასვლელად მოემზადებიან, ცდილობენ, რომ, რაც შეიძლება მეტი და ჩინებული, მხლებლები წაიყვანონ. გარდა ამისა მრავალი ტანისამოსი და ხაბაკი უნდა წაიღონ სახარად. ხოლო ხაბაკის თან წალება ეთაკილებათ და ამიტომ თვითონ წინ წავლენ საჩიქაროდ და ხაბაკი ლენ ჩამორჩნება და მერჩ მიუვათ. როცა სასახლეში მივლენ, პირდაპირ როდი მივლენ სასტუმრო სახლში, რომელიც მათთვის დაშზადებულია, არამედ თავისი ამაღლას გამოსაჩენად ჯერ ნელ-ნელა.

შემოუვლიან სასახლის წინა მინდორს და მხოლოდ შემდეგ შევლენ სასტუმროში.

როცა ნადიმად სხედან, თუ ვისმეს რაიმე საჭმელი უთავაზეს და იმან მოისურეა, სხვას გაუზიაროს იგი, შეუძლია, თავის ტოლები ვინც უნდა, ის ამოარჩიოს, და ისე გაუზიაროს, როგორც მას უნდა. ხოლო თუ უნდა, რომ თავის უფროს მიაწოდოს, უზრდელობად ჩამოერთმევა, უკეთუ მოსჭრის ნაკერს და ნაკერს გაუგზავნის. ზრდილობა მოითხოვს, რომ მთელთ ულუფა ერთიანად გაუგზავნოს უფროსს და სთხოვოს, რომ მიირთვას რამდენიც ენებოს. უფროსი მხოლოდ საჩერებლად ცოტას გასინჯავს და უკან დატბრუნებს. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია უმცროსს, მოსჭრას ერთი კარგი ნაკერი და გაუგზავნოს იგი თავის უფროსს.

## XXII

### სამღვდელოება \*)

საქართველოს და სამეგრელოს ერთი მძღვევენ ბერძენთა შეცდომილებას და წვალებლობას და ემორჩილებიან ბერძნის მსოფლიო პატრიარქს, რომელიც კონსტანტინეპოლიში არის, თუმცა წინად ანტიოქის პატრიარქს ემორჩილებოდნენ. ხოლო ეს მორჩილება მარტო იმაში გამოიხატება, რომ როცა ხანგამოშვებით კონსტანტინეპოლის პატრიარქი იმ ქვეყნებში თავის ბერებს გაგზავნის შემოსაწირავთა მოსაკრეფად, მათ მოწყალებას და შესაწირავს აძლევენ. გარნა ქართველებს და მეგრელებს ჰყავთ ორი თავისი პატრიარქი, რომელიც განაგებენ მთელსამღვდელოებას, როგორც საქართველოში, ისე კოლხიდაში. ამათ ხალხი უწოდებს ქათალიკოსებს. საქართველოს ქართველობა.

\*) რამდენად სხვა საგნების შესახებ ავტორი თანაგრძნაბით აღწერს სამეგრელოს ცხოვრებას, იმდენად საეკლესიო წყობილების და სამღვდელოების აღწერაში ფარატიკოსობას. იჩენს.

ლიკოსს ექვემდებარებიან: ქართლი (Cartuli ó Cardueli), კახეთი (Gaghetti), საბარათიანო (Barattali) და სამცხე. მეორეს ექვემდებარებიან: ოდიში, იმერეთი, გურია, აფხაზეთი და სვანეთი. ძველად ორსავე კათალიკოსს ირჩევდა საქართველოს მეფე. მაგრამ, როცა დაღიანმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, ოდიშის პატრიარქის არჩევის უფლებაც მიითვისა, ასე რომ საქართველოს მეფეს მხოლოდ მეორე კათალიკოსის ამორჩევის უფლება შერჩა.

ოდიშის პატრიარქს თავის საბძანებლოში ისეთი ძალა აქვს, ისეთი სიმდიდრე და სასახლეები, იმდენი ყმები ჰყავს, რომ არამთუ ეთანასწორება მთავარს, რომელიც მას ირჩევს, არამედ აღემატება კიდეც. პატრიარქი თავის საპატრიარქოს დასახელვად მუდამ დადის, მაგრამ მას საგნად თავისი ქვეშევრდომთაზნის გასწორება როდი აქვს, არამედ მათი ქისების დაცარიელება. თავის სამწყოსს მხოლოდ იმისათვის ჩამოიყლის, რომ ტყავი გააძროს და სისხლი გამოსწოვოს, და ამიტომაც მას მტაცებელი მკელის სახელი უფრო შეჰვერის, ვიდრე კეთილის შწყობისა. თან წაიყვანს ხოლმე ამალის, რომელიც შესდგება სამასი კაცისაგან და მეტისაგანაც. საწყალი მისი ქვეშევრდომი ხალხი იღუპება ამით: ვითარცა ჭალაში გაშვებული პირუტყვი შესჭამს მთელ ბალახს, რაც იქ არის, და მერე სხვაგან გადავა საძოვრად, ისე ეს მხლებლებიც, რაკი შესჭამენ, რაც მოიძებნება ერთ ადგილას, გადავლენ მეორე ადგილას. ოდიშის აწინდელი პატრიარქი წინანდელთან შედარებით უკეთესია და ამიტომაც წმიდა კაცად მიაჩნიათ საერთოდ. მართლაც, თუ გარეგნობის კვალობაზე შევადგენთ მის შესხებ აზრს, უნდა ვთქვათ, რომ იგი ლეთის წინაშე'ც დიდ გულმოლგინეობას იჩენს ლოცვაში და კაცთა მიმართაც ძლიერ მოწყალეა. ყოველ ღამე უსათუოდ დგება მეტად გძელ ლოცვაზე. ყველაზე პირველად ტანს იგი იცვამს და პირველადვე იგი შედის ეპკლესიაში, სადაც ატარებს უმეტეს ნაწილს ღამისას და დღისასაც. რაც შეეხება მოყვასისადმი მოწყალებას, იგი ისეთ გულკეთილობას იჩენს, რომ არ მოიძებნება არც ერთი ღარიბი და არც ერთი უბედური, რომ იგი

იცნობდეს და თავის მოწყალების კალთა არ გადააფაროს. თუ ვინმე დარიბმა გაიარა, როცა იგი პურის ჭამად ზის, მაშინვე დაუძახებს, თავისთან დაჯდენს და უმეტეს ნაწილს თავის სა-ჭმელისას უთავაზებს. თუ გაიგონა, რომ საღმე საწყალი აეაღმყო-ფი არის, მეტად გაჭირვებულიო, სხვა-და-სხვა შემწეობას თა-ვის ხარჯით მიაწოდებს. გარდა ამისა იმდენად ერთგულია იქრუ-სალიმის წმიდა ადგილებისა, რომ სამჯერაც იყო მათ სანახა-ვად და ყოველჯერ დიდი შეწირულობა წაულია. მაგრამ ცუდი ის არის, რომ შეცდომით ფიქრობს, წმიდა ქალაქის ნახვა სამოთხის კარებს გამიღებსო, და რაღვან იქ სამჯერ ვყოფილ-ვარ, ცხონება არ ამცილდებაო. ნამდვილად კი უველავათვის, ვისაც თვალი ღიაჲაჲეს, ცხადია, რომ ეს მგზავრობა ჯოჯოხეთში უფრო მიიყვანს, რაღვან ამ წმიდა ადგილებისათვის ფულის სა-შოვნელად მრავალ სიმონიას ჩადის და უსამართლოდ ათაერ-სუფლებს თავის ყბებს სასჯელისაგან და თავის კალთას აფარებს ბრაელ ავაზაკობას იმ განზრახვით, რომ ფული იშოვოს ლვთის შესაწირავად. არასოდეს არაეის ებისკოპოსად არ აკურთხებს, თუ გასამჯელოდ არ მიიღებს ხუთას-ექვსას მანეთს (seudi). ამ-დენსავე, ან მეტს, ფულს თხოულობს იმისათვის, რომ მიცვა-ლებულს უწიროს. საშინელ ბეერ ფულს ართმევს აგრეთვე ალსარებისათვის, რომლის ფასს გადასწყვეტს ხოლმე იმის კვალო-ბაზე, თუ, ერთის მხრით, რა ლირსებისაა ალსარების მთქმელი და მეორეს მხრით, რა ცოდვები ჩაუდენია მას. კურძოდ ერთი შემ-თხვევა მახსოვეს, რომ პატრიარქმა ერთხელ ალსარება ათქმევინა-ვეზირს, რომელმაც ამ ალსარებისათვის მისცა ოთხმოცი შანეთი (seudi). პატრიარქს ეცოტავა ეს ფული ასეთი დიდი-კაცისაგან, და როცა შემდეგ ამისა ვეზირი ძლიერ ავად გახდა კიდევ და მოიწვია პატრიარქი ალსარების სათქმელად, ამან ალარ დაუმალა და შეუთვალია, რომ ამას წინად ისე ცოტა მომეცი. ალსარებისა-თვის, რომ შენ ჩემი ლოცვა-კურთხევის ლირი არ ხარო, და ამი-ტომაც არ მოფალო. ვეზირი ამის გამო იძულებული გახდა მეტს დაპირებოდა, ოლონდ კი მობრძანდი და ალსარება მათქმევინეო. გარდა ამისა პატრიარქი მეტად აწუხებს თავის სამწყსოსს სხვა-და-

სხვა აუტანელის ზარჯითა. ყოველნარ ავაზაკობას გულგრილად უყურებს, ოღონდ კი ფული თილოს ერუსალიმში გასაგზავნად. მართლაც, ყოველ სამ-ოთხ წელიწადში ერუსალიმში მიღის და მიაქვს მრავალი ოქრო, რომელიც ან ძალად წაურომევია თავის ქვეშევრდომთათვის, ან მწიკელიანი სიმონის ფასად აუღია.

ქათალიკოსს ექვემდებარებიან ეპისკოპოსები. ამ უამაღ ღილიში ექვსი ეპისკოპოსია, რაღგან დანარჩენი ექვსი კათედრა გადაკეთებულია მონასტრად. დარჩენილია შემდეგი საეპისკოპოსო ეკკლესიებია: პირველია დრანდს (Dandra), რომელიც მდებარეობს მდ. კოდორზე (Corace), აფხაზეთის საზღვარზე და აშენებულია ლვითის-მშობლის სახელობაზე და მის ეპისკოპოსს ჰქია დრანდელი. მეორეა მოჭვის, რომელიც მდებარეობს ფართო ვაკეზე ორ მილიარეს შუა; ეს ორი მდინარე მერე ერთად შეიკრებიან და მათ შორის მდებარე აღვილი წარმოადგენს ნახევარ კუნძულს. ეს ეკლესია აშენებულია იგრა-თვე ლვითის-მშობლის სახელობაზე და ეპისკოპოსს ჰქია მოქველი. მესამე არის ბედის, რომელიც აშენებულია გორაკზე, აგრეთვე ლვითის-მშობლის სახელობაზე; მის ეპისკოპოსი იწოდება ბედიელად. მეოთხე არის ცაიშის; აგრე იწოდება იმ მთის გამო, რომელზედაც იგი მდებარეობს და რომლის კალთებზე მდინარე ჩამოურბის. ეს ეკლესიაც ლვითის-მშობლის სახელობაზეა აშენებული. მისი ეპისკოპოსი იწოდება კაიშელად. მეხუთეა წალენჯიხის, აგრეთვე გორაკზე მდებარე. მისი ეკკლესია ფერისცვალების სახელობაზეა აშენებული. აქ ვმარხავნ მთავრებს. მის ეპისკოპოსს ჰქია წალენჯიხელი. მეექვსეა მარტიგილას (Scondidi), მალლობზე მდებარე და აშენებულია წმიდა შოწამეთა (პ. Santi Martiri) სახელობაზე. მისი ეპისკოპოსი იწოდება ქუმნდიდლად. დანარჩენი საეპისკოპოსო ეკკლესიები, რომელთაც წინად ჰყვანდა თავისი ეპისკოპოსები, ეხლა გადაკეთებულნი არიან მონასტრებად: პირველია ქაჩის (Chiaggi) მონასტერი, მთაზე აშენებული, წმ. მიქელის სახელობაზე. მეორეა ჩიპურიას (Cippurias) მონასტერი, რომელიც აშენებუ-

ლია ვაკეზე, ენგურის ნაპირად. ეს ბონასტერი ეხლა ჩვენების ხელშია. აქ არის ორი ეკკლესია, ერთად შეერთებული, რომელთაგან ერთი ღვთის მშობლის სახელობაზეა და მეორე — წმ. გიორგისაზე. მესამეა ხოფის (Copis) მონასტერი მარიამ ღვთის მშობლის სახელობაზე. აქ აჩვენებენ ღვთისმშობლის პერანგს, რომელსაც იქაურები დიდ პატივსა სცემენ. მეოთხეა თბუჯის (Obisugia) მონასტერი, რომლის ეკკლესია წმ. გიორგის სახელობაზეა აშენებული. აქ ძველად მთავრების სამარხი იყო, რომელიც ეხლა კი წალენჯიხშია. მეხუთეა სებასტიანის მონასტერი, რომელიც ეხლა წყალშია ჩანთქმული. მეექვსეა ანაგრიას (d'Anarghia) მონასტერი, რომელსაც ძველად ერქვა ჰერაკლეა (Heraclea).

ი ეს ეპისკოპოსები და საეპისკოპოსონი არიან და იყვნენ წინად ოდიშში. ეპისკოპოსები შეძლებით, სიმდიდრით და ძალით სჯობნიან თვითეულ იქაურ დიდებულს, მაგრამ თავის სიმდიდრეს ბოროტად ხმარობენ და თავის ქვეყანაში ყველაზე უფრო ცუდად ატარებენ დროს. ამის მიზეზი ის არის, რომ, რადგან მათ არ აქვთ არც ღვთის შიში, არც სირცხვილი და არც ღვთისნიერი უფროსები ჰყავთ (ცნობილობენ მხოლოდ მთავარს), თავის სიმდიდრეს და ძლიერებას ანდომებენ ყოველნაირ სიბილწეს და ავაზაკობას. ისე არასოდეს არ სწირავენ, თუ წინ-და-წინ არ მიართვეს სახუილელი, რომელსაც უზომოვ თხოულობენ. აგრეთვე სასყიდელს თხოულობენ კურთხევისათვის და მათი მწიკვლიანი ხელები არ აკურთხებენ არც მღვდელს და არც დიაკვანს, თუ დიდი საფასური არ მიიღეს კურთხევისათვის. ისე შეჩვეული არიან ხორციელ ბიწიერებას, რომ სრულებითაც არა რცხვენიათ იმისი, რომ სახლში ჩამდენიმე ცოლი ჰყავთ. მაშინ, როცა ერის კაცებს აღკრძალული აქვთ იყოლიონ ერთი ცოლის მეტი, ეპისკოპოსის ღირსებას ის უპირატესობა აქვს, რომ შეუძლიათ აშკარად იყოლიონ სამი თუ ოთხი ცოლი. ერთის მათგანის ავაზაკობა იქამდი მივიღა, რომ ერთხელ ერთს თავის აზნაურს ცოლი. წართვა და რადგან ის უბედური ეწინააღმდეგებოდა, რაღაც დანა-

შაულობა დააბრალა და დაატუსაღა; მერე გურიაში გაგზავნა და ოსმალებს ტყვედ მიჰყიდა. ამრიგად ერთბაშად ცოლიც, ქონებაც და თავისუფლებაც წაართვა და პატიოსნებაც შეუბლალა მხოლოდ თავისი ბინძური უინის დასაკმაყოფილებლად. ქონების და ფულის მოყვარული იმდენად არიან, რომ არ მოიპოვება ისეთი სისაძაგლე, რომელიც მათი შეძენისათვის არ ჩაიღინონ. თუ კი შეიტყეს, რომ რომელსამე მათ ქვე-შევრცომს ფული აქვსო შენახული, მაშინვე რამე დანაშაულობას გამოუგონებენ, რათა ფული წაართვან. ერთხელ, დიღ-მარხვაში დაბინავებული ვიყავი ერთ ეპისკოპოსთან, რომელიც ფრიად თავაზიანად და კარგად მეცყრობოდა. შესა ღილაკი-მარხვა იქნებოდა, რომ ერთ დილას, გათენებისას, როცა ეპისკოპოსს ეკკლესიაში იმყოფებოდა, გაისმა საშინელი ყვირილი რამდე-ნისამე კაცისა და ხმაურობა ბორკილებისა. მე დავუძახე მოსა-მსახურეს, რომელიც მე მომიჩინეს, და ვკითხე, რა ამბაენია მე-თქი. იმან ყოველივე ამბავი იცოდა თურმე და საიდუმლოდ მითხრა, რომ ეპისკოპოსმა ეს და ეს მღვდელი დაატუსაღებინა და ბორკილებში ჩასმევინა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იმ მღვდელს ფული ჰქონია შენახულით და რადგან ეპისკოპოსი უსათუოდ მისგან ფული უნდაო, არას გზით არ განათვი-სუფლებს, თუ მღვდელი ქრთამს არ მისცემსო. არ გასულა ორი საათი, რომ მღვდელმა გამომიგზავნა თავისი მეგობარი, რომე-ლმაც მიაშბო მისი უბედურება და მთხოვა, რომ შემთხვევების დროს ეპისკოპოსის წინაშე ორიოდე კეთილი სიტყვა შემეწია მისთვის. მე დაერწმუნდი, რომ მართლა ფრიად კეთილი საჭმე იქნებოდა მისი გამოხსნა, რადგან მღვდელი სრულებით უდა-ნაშაულო იყო და არაფერი ისეთი არ ჩაუდენია, რომ სას-ჯელის ღირსი ყოფილიყო. სადილის ღროც დაუგა და ჩვეულებრივ ეპისკოპოსმა დამიძახა. როცა დამინახა, პირვე-ლი მისი სიტყვა ის იყო, რომ შემომჩიდებულ დატუსაღებულ მღვდლის შესახებ: ღეთის იმას არაფერი არა სწამსო, რადგან ამ დიღმარხვაში, როცა ერის კაცებიც ლამით ეკკლესიებში დადი-ანო, ეს ღვთის მოსამსახურედ არჩეული კი ეკკლესიაშა ირ-

დადის და მოსვენებულად ლოგინში სძინავსო. მერე დაუმატა, რომ ნუ გაგიკვირდება, თუ აგრე სასტიკად დავსაჯეო, რადგან ჩემი მოვალეობა არისო, რომ ლვთის-მსახურება რიგიანად სრულდებოდეს ეკკლესიებშით. აბა რა ეთქვა სხვა ლვთისნიერს და გულმოდგინე მწყემსს! ხოლო მე უკვე კარგად ვიცოდი, საქმე რა იყო; ვიცოდი, რომ იმას ფულის მიღება ჰსურდა და კეთილმსახურებას სრულებითაც არ ზრუნავდა, მე ჯერ ქება შევასხი მის გულმოდგინებას და მერე მხურვალედ ვსთხოვე, რომ რადგან ასეთ გულმოდგინებას იჩენთ ლვთის დიდებისათვის, მოწყალებაც გამოიჩინეთ მეთქი და აპატიეთ მღვდელს, მით უფრო, რომ მღვდელი სინანულში ჩავარდა და ქვეყანაც გაიგებს, რამდენად სასარგებლო შეიქმნა მისთვის თქვენი სასჯელი მეთქი. ამას გარდა მღვდლის მხრით აღეუთქვი, რომ არასოდეს არ დაკლდება წირვა-ლოცვას, ყოველ ღამე ადგება და ეკკლესიაში ივლის მეთქი. მაგრამ ჩემმა სიტყვებმა ვერ იმოქმედა ეპისკოპოსზე, რომელსაც ფული უნდოდა და სრულებითაც ის არ აწუხებდა, რომ მღვდელი ლვთის კეთილ-მსახური არ იყო. ამიტომაც ეპისკოპოსმა ჩემი სიტყვიერი თხოვნა სიტყვიერადვე დააკმაყოფილა, და მღვდელი კი მანამდი იყო დაბორკილი, სანამდი ქრთამი. არ გაუგზავნა ეპისკოპოსს. როგორც კი მღვდელმა ფული გამოიმეტა, მაშინვე ლირსებაც დაუბრუნეს და საქვეყნოდ აღიარეს იგი კურთხეულად და ლვთისნიერად.

სხვა რაღა ვთქვა მათი ბოროტების შესახებ? როცა მოკვდება ხოლმე რომელიმე მათი ქვეშევრდომთაგანი და მემკვიდრედ მცირე-წლოვანი შვილები დარჩება, ეპისკოპოსი უმოწყალოდ და საკვირველის სისასტიკით ყველა ყმაწევილებს ან გაჰყიდის ოშალებზე და ან დაიტოვებს სამუდამოდ მონად თავის სახლში, და მიაჰვისებს. მიცვალებულის ქონებას, მდიდრულ უნაგირებს თქრო-ვეცხლისას, მშეენიერს კარვებს, საუკეთესო ნოხებს, ძვირფას იარაღს და წმინდა ქსოვილებს; ყოველივე ესე სისხლია ღარიბებისა. მთავარი თუმცა ზოგჯერ დიდ-ბოროტებისათვის სასჯელს უნიშნავს; მაგრამ ბევრჯერ უურა-

დღებას არ აქცევს და ელოდება, რომ ეპისკოპოსშა ბევრი სიმღიდრე შეიძინოს, რადგან ეპისკოპოსის სიკვდილის შემდეგ ეს სიმღიდრე მას დარჩება.

ამდენი აგაზაკობის ჩამდენი კიდევ ჰუიქრობენ, რომ კეთილის მწყემსის მოვალეობას სრულიად ვასრულებთო და ჩვენ სიწმიდით ვერ შეგვედრებიან სხვა ერთა მღვდელ-მთავრებიო, რადგან ჩვენ ფრიად სასტიკად ვინახავთ მა-რხვასაო. მართლაც, ისე გულ-მოდგინედ ინახავენ მარხვას, რომ რაც უნდა ავადმყოფი იყვნენ, სიკვდილს არჩევენ და მარხვას არ სჭამენ: ამით ისე იწონებენ თავს, რომ ლათინ-თა მღვდელ-მთავრებს და ბერებს, რომელნიც მარხვას სჭამენ, ზიზლით უყურებენ. თქვენო, გვეუბნებიან ჩვენ ისინი, ღირსი არ ხართ ღვთის-შიახურის სახელისა, რადგან ღვთის მსახური მხოლოდ მარხვის შენახვით იცნობებათ. ამაში ამდენად დარ-წმუნებულნი არიან, რომ არ უნდათ დაიჯერონ, რომ ჩვენმა მაცხოვარმა იესო ქრისტემ პასექის დღეს პასექის კრავი სჭამა. ამიტომაც, როცა წმიდა სერობას ხატავენ, მათის შეცდომის დასაფარავედ, ყოველთვის ტაბლაზე ხატავენ თევზს, ზეთის ხალს, ბოლოკს და სხვა ამისთანებს, და ბატკანს არასოდეს. ხორცს რომ სომობენ, მაგიერში ისე ბევრ ღვინოს სვამენ, ისე იბერებიან ღვინით, რომ გონება მუდამ დაბნეული აქვთ. ვითარცა სრულიად უსაქმო კაცები, ფიქრობენ მხოლოდ მხია-რულებაზე, სუფრას თითქმის არ შორდებიან და უმეტეს ნა-წილს თავის სიცოცხლისას სუფრაზე ატარებენ. რომ მეტი დრო გავიდეს სუფრაზე, გამართავენ ხოლმე სხვა-და-სხვა მხიარულე-ბას, თამაშობას, დროს გატარებას: ხან სჭამენ, ხან სვამენ, ხან მღერიან, ხან ცეკვავენ, ხან ხტუნავენ და ყოველივე ღვა-ნით თავდება ხოლმე. ერთხელ მე მივევსა ერთ ჩემ მეგო-ბარ ეპისკოპოსთან, რომელიც თუმცა ხნიერი იყო, მაგრამ დარბაისლობა აკლდა. სერობის ლოცვის დრო იყო, მაგრამ ეპისკოპოსი იჯდა სუფრაზე და მასთან ერთად ბევრი წვეული. ასე გაეტარებინათ სუფრაზე ხუთი საათი, ბევრი უსვამთ და ეპისკოპოსი და ყველა სტუმრები ღვინით გამხიარულებულნი

იყვნენ. როცა ეპისკოპოსს ჩემი მისვლის ამბავი მოახსენეს, უეპრად წამოხტა სუფრიდან და დიდად ვახარებული შემომეკება. დაბაჯდინა მის გვერდით და ბრძანა მისი ჯოვიდან საუკეთესო სბო მოეყვანათ: ხბო რომ მოიყვანეს, ცოცხალი მიაბმევინა ხეზე და ჩემდა სიამოვნებისათვის და პატიცის საცემლად მოისურეა თავის ხელით მოეკლა. ამისათვის მოატანინა თოფი, ეს-როლა ხბოს და მოჰკლა. ამით თეთონებული ისიამოვნა და მთელ-მა შეკრებილებამაც ტაში დაუკრა. ხბო მაშინვე გაატყავეს და წაილეს სამზარეულოში. საჩქაროდ შეწვეს, მოამზადეს და მოი-ტანეს სუფრაზე და თან მოაყოლეს დიდი ქვაბით ლომი, ბევრი ლვანო და სხვა საჭმელები. რომ ნახეს ახლად მომზადებული საჭმელი, ხელმეორედ შეუზგნენ პურის ჭამას, თუმცა დასრუ-ლებული ჰქონდათ. ეპისკოპოსი მეტად მხიარული იყო, დი-დის სიმარდით წამოხტა თავის აჟგილიდან და მოისურვა თავის ხელით დაერიგებინა ლომი, რაც უკანასკნელი მზარეულის სა-ქმეა ხოლმე. ამისათვის ილო ხელში ჩოგანი, რომლითაც ლომს არიგებენ, მარდად და სწრაფად ყველას ჩამოურბინა და ჩამო-ურიკა ლომი.

ზოგჯერ სუფრის გასამხიარულებლად, მოატანინებენ ლვი-ნით სავსე სურას და დადგამენ შუა აფეთქის იმ განზრახვით, რომ თვითეულმა სცადოს თავისი სიმარდე და ორივე ფეხით გაჩერდეს სურის გვერდებზე ისე, რომ სურას ყელი ფეხების შუა დარჩეს და სურა არ წააქციოს და არც ლვინო დააქციოს. ამ შესანიშნავის სიმარდის გამოჩენა მრავალნი სცდიან. მათ შო-რის ფრიად ხნიერი კაცებიც არიან. ხშირად იმ ვარჯიშობაში პირველობა რჩება თვით ეპისკოპოსს. ხტოშის წინ თვითეული მოვარჯიშე გაიძრობს ფეხსაცმელს, ცოტანი იმარჯვებენ ხოლმე ამ ვარჯიშობაში, რადგან ვერ ახერხებენ ორივე ფეხით ერთს და იმავე დროს შესდგნენ სურას გვერდებზე და ამიტომ ერთი მხრით რომ შესდგამს ფეხს, სურაც წაიქცევა და თვითონ მოვარჯიშეც, რომელიც დაეცემა იატაკზე და გაისვრება მტევრ. ში, ამასთანავე მაყურებლები დააყრიან სიცილს და კიუინას. სამაგიეროდ გამარჯვებულს ყველანი ქებას უძღვნიან და გარდა

ამისა საჩუქრად ღვინოს დაალევინებენ მაშინვე. თუ ამან კიდევ ის სიმარდე გამოიჩინა, რომ სურაზე მდგომა თასით მორთმეული ღვინოც დალია, მისი სახელი თითქმის უკვდავი შეიქმნება.

ზოგჯერ კიდევ დარბაზის შუა იატაკზე დასდგამენ ღვინით სავსე ვეცხლის თასს. ვინც სავარჯიშოდ მივა, ხელებს ზურგს უკან შეუკრავენ და ასე ხელშეკრულმა უნდა დაიჩიქოს და კბილებით ასწიოს თასი, თვითონ ფეხზე უნდა წამოდგეს და მერე ისე გამოსყალოს თასი, რომ ერთი წვეთი ღვინოც არ დააჭიოს და შემდეგ ამისა ხელმოუკიდებლად ისევ იმ ადგილას უნდა დადგას თასი, საიდანაც აიღო.

აი სულიერი დროს გატარება ამ უბედური ეპისკოპოსებისა. ამნაირ დროს გატარებაში სკარბობენ ეპისკოპოსები სხვა აქაურ დიდებულებს იმის გამო, რომ ერთი მხრით, უფრო მდიდრები არიან და მეორეს მხრით, ბევრი და მძიმე ფიქრი არ აწუხხებთ.

მათი ეკკლესიები არიან კარგად მოწყობილი და შემკული შშვენიერი ოქროს და ვეცხლის ხატებით. ამის მიზეზი მათი ღვთის სიყვარული როდია, არამედ სურეილი, რომ ამით თავიდან აიცილონ ღვთის რისხვა და რამე კეთილი ქმნან იმ ბოროტების მაგიერ, რომელსაც მუდამ დღე ჩადიან. მართლა, მათშორის ის შემცდარი რწმუნება არის გავრცელებული, რომ კაცს ყოველივე ცოდვა ეპატიება, თუ ეკკლესიას რასმე შესწირავსო. ამიტომაც, თუ ვინმემ რამე დანაშაულობა ჩაიდინა და სინიდისი აწუხებს, აღსარებას როდი სთვლის საუკეთესო საშუალებად სინიდისის გაწმენდისა და ცოდვის მონანებისათვის, არამედ დარწმუნებულია, რომ ეკკლესიას თუ ოქროს ან ძვირფას, ქვებს შევსწირავ, ყოველივე ცოდვა სრულებით შეპატიებაო.

ელსარების საიდუმლოებას, როგორც ეპისკოპოსები, ისე მღვდლებიც იმდენად დაშორებულნი არიან, რომ ბევრ შათგანს მთელ თავის სიცოცხლეშიც სრულიადაც არ უთქმევინებია. ამის მიზეზია ერთის მხრით სისასტიკე ბერძენთა სჯულისა, რო-

მელიც ყოველი ცოდვისთვის საშინელ სახელს უნიშნავს, და მეორეს მხრით ისა, რომ ხალხი ცდილობს თავიდან აიცილოს აღსარების აუტანელი ხარჯი.

დარწმუნებულნი არიან, რომ ცოდვების ახსნაში აღსარების მაგიერობას იზამის არამცოც ბოროტი საქმის მაგიერ კეთილის ჩადენაო (როგორც ზემოდ ვთქვით), არამედ საკმაო არისო ცოტა ოდენი საკმეველი რომ ცეცხლზე დაიწვასო. მართლაც, როცა ვისმე სინიდისი აწუხებს რამე დანაშაულობის ჩადენის გამო, აიღებს ერთ მარცვალ საკმეველს, თავზე შემოივლებს და ცეცხლში ჩაგდებს დასაწვავად. დარწმუნებულნი არიან, რომ ამით ღმერთი დამშვიდდება და ყოველსავე დანაშაულობას, რაც უნდა დიდი იყოს იგი, მოგვიტევებსო. ამიტომაც იგინი დიდად აფასებენ საკმეველსა და არაფერი საჩუქარი ისე არ გაუხარდებათ, როგორც რამდენიმე მარცვალი საკმეველი. ვინც უფრო ღვთის მოშიშია, იგი ყოველთვის ქისით თან ატარებს ცოტაოდენ საკმეველს, რათა საჭიროებისამებრ, მზად ჰქონდეს ეს ცოდვის წინააღმდეგი წამალი.

ეპისკოპოსების შემდეგ არიან სამღვდელო პირნი, რომელთაც ბერძნები უწოდებენ იღუმენებს და სამეცნიეროში კი წინამძღვრებს. წინამძღვრები ეპისკოპოსების კვალს მისდევენ. ესენიც დიდად მდიდრები არიან და იმათზეც იგი თითქმის, რაც ზემოდ ვთქვით ეპისკოპოსების შესახებ.

წინამძღვრის შემდეგ მღვდლები არიან, რომელთაც მეგრელები ეძახიან ჰაპებს. რა უნდა იყოს მათი ცოდნა, სიკეთე და სიმშვიდე, აღვილი გამოსაცნობია, თუ წარმონადგენთ ეპისკოპოსების ცოდნას, სიკეთეს და სიმშვიდეს. ზოგჯერ მე მოვინდოშე გამომეცადა მათი სწავლა და მიჩვენებია მათთვის მხოლოდ ქართული ანბანი (რადგან ქართულს ხმარობენ წირვალოცვაში) და ზოგს მათგანს პირველი ასოებიც არ სცოდნია. ამიტომაც არ არის საკვირველი, თუ მათის უცოდინარობის გამო იქ სრულებით დავიწყებულია. ნათლობის წესი. ამაში ყველა დარწმუნდება იმ წესის დაკვირვებით, რომელსაც ასრულებენ ბავშვების მონათვლის დროს. ეს წესი შემდეგია. ჯერ

ერთი, რომ არასოდეს არ მონათვლენ ყმაწვილს, ვიღრე სამი ან ოთხი წლისა არ შესრულდება. როცა ბავშვი სამი-ოთხი წლის შეიქმნება, მისი დედ-მამა მოემზადებიან დიდ-წვეულები-სათვის და მოიწვევენ მრავალ ნათესავებს და მეგობრებს. რო-ცა ხალხი შეიკრიბება, სუფრაზე დაჯდომამდი ბავშვს წაიყვა-ნენ მარანში, საღაც უნდა შესრულდეს მღვდელთ-მოქმედება, ნათლიას და ყველა წვეულთა თანადასწრებით. აქ პაპა, საეკ-კლესიო ტანისამოსით შემოსილი აკურთხებს ერთ დიდ კასრა-ში წყალს, ბერძენთა კონდაკისამებრ, რომელსაც ისინი სა-ზოგადოდ მისდევენ. მერე საჩქაროდ წაიკითხავს ყოველსავე, რაც ამ კონდაკში სწერია ნათლობის შესხებ. სხვა წესებს, რომელიც ნამდეილი კონდაკებში დაწესებულია, მღვდელი არ ასრულებს, მაგალითად, არც სულის ჩაბერვას, არც ეშმაკის წყე-ვლას და არც წყალში ჩაყვანას. ერთის სიტყვით მღვდელი კონდაკის წაკითხვის მეტს არას დაეძებს. შესრულებს ამას თუ არა, გაიხდის მაშინვე სამოსელს და წავა. მერე ნათლია აი-ლებს ჩხირს, ამოავლებს მირონში და წააცხებს ყმაწვილს, რომელსაც იქ მდგომი უკვე მღვდელისაგან ნაკურთხს წყალ-ში დაბანენ. აი ასეთია მათი ნათლობა, ეს დასაბამი და კარი ყველა დანარჩენი საიდუმლოებისა.

თუ როგორ ესმისთ ამ მღვდლებს მღვდელთ-მოქმედება, ამის შესახებ მე მათგანვე გაუიგე შემდეგი სამწუხარო ამბავი. ერთი ბავშვი გამხდარიყო ძლიერ ავალ და როცა კვდებოდა, დედამ დაიბარა ერთი პაპა და სთხოვა, ყვაწვილი მომინათლეო. გულუბრყეილმა მღვდელმა, რაკი ნახა, რომ ბავშვი კვდებათ, ბოლიში მოიხადა და უთხრა დედას, მომაკვდავის მონათვლა არ ვარგაო, რაღაც ნათლობა ლხინით და ნადიმით უნდა გადაი-ხადოს კაცმაო და არა ტირილით და მგლოვიარობითაო. ამას ის უნდა დავუმატოთ, რომ, რაღაც ბავშვი მალე უნდა. მომ-კვდარიყო, მღვდელს არ უნდოდა დაეხარჯა მირონი, რომე-ლიც მას ისე ვაი-ვაგლახით ნაშოვნი ჰქონდა. ბავშვი მალე გარდაცუალა. დედა რომ მწუხარებასა და სასოწარკვეთილე-ბაში იყო ჩავარდნილი, მისდა სანახაეად და სანუგეშებლად

მოვიდა მეორე მღვდელი. ეს მეორე მღვდელი თუმცა სწავლით თანასწორი იყო პირველისა, მაგრამ როგორც კი გაიგო, რომ ბავშვი მოუნათლავი გარდაცვალაო და დედაც ამას სჩივისო, — სრულებით სხვა აზრი გამოსთქვა, ვადრე პირველმა მღვდელმა, და იმის შეცდომის გასასწორებლად შეიმოსა მაშინვე და დიდის ამბით მონათლა მიცვალებული ყმაწეილი. აი მათის სწავლის შესაფერი საქმენი!

რაღა ვთქვა იმ დიდ - მშვენიერების შესახებ, რომლითაც ეს მოდგრა მღვდლებისა სწირავს! მაშინ, როდესაც ჩვენ ეს მშვენიერი მუხლი საღმრთო წერილისა: „შესაბამი აღვილი ჰქონდეს სამოსელსა შენსა, საკურთხეველის მსახურო“ გვავალებს, რათა დიდებულად ვწირავდეთ, იმათი ტიბიკონი, როგორც სჩანს, სულ წინააღმდეგს აწესებს, და ამიტომაც იგინი არც ნაკურთხი აღვილისა და არც შესაფერი სამღვდელო ტანისამოსის შესახებ არ ზრუნავენ და არც საკურთხეველს დაეძებენ. მართლაც, რაც შეეხება აღვილს, მათთვის სულ ერთია, სწირავენ ეკკლესიაში, თუ ვარედ: ხშირად, როცა მღვდელს ეკკლესია დაკეტილი დახვდება, გარედაც სწირავს, ოღონდ არ დაპყაროს საღილი, რომელიც ერთად ერთი მისი სასყიდელია. ხოლო საკურთხეველის მაგიერ ხმარობენ კარის ზღრუბლს, რომელიც ყველა-საგან ფეხით დათელილია ხოლმე. აქ ტიტველ შიწაზე დადგამენ ბარძიმის მაგიერ ხის კათხას, რომელსაც გადააფარებენ სახლში ნახმარ ხელსახლცს. ეს ხელსახლცი უწევთ შეთ ერთ და იმავე ღროს პარძიმის საწმინდის და დაფარნის მაგიერობას. იქვე ჯამით დადგამენ მოზღიულ პურს და დეინით საესე გოგრას. თავის ღროზე ამ ღვინით გაავსებენ კათხას, სჭამენ პურსა და სეამენ ღვინოს. ამ ნაირად ეს უბედურები ცდილობენ, რომ სხეული მაინც დააკმაყოფილონ კარგი საუზმით, რადგან სულს ვერ აკმაყოფილებს ამნაირი წირვა.

ასე მოწყობილს საკურთხეველს შეეფერება მათი სიმოსელი. შეუძლებელია კაცმა აღწეროს, თუ რა სხვა-და-სხვაობას წარმოადგენს ამ ლირსეულ შესათა სამოსელი წირვის ღროს. საუკეთევო სანახავაა, როცა ბერძენთა რჯულისამებრ მუელი

კრებული შეუდგება წირვას: ზოგს წამოხურული აქვს ძველი შალი, რომელიც მას სანახევროდ უფარავს ზურგს; ზოგს, ეინც უფრო საპატიო არის, უფრო გრძელი შალი აქვს და ზოგს კი, ვინც უფრო ღარიბია, მხრებს მისი საკუთარი ცხვირსახოცი უფარავს. რამდენად აკლიათ გულ-მოდგინება ღვთის მსახურებისაღმი და რამდენად მოურიდებელნი არიან ამ დროს, იქიდან სჩანს, რომ თუ რამე საქმე შეხვდა ამ დროს, იმის განხილვას და ვაკეთებას გვერდს არ აუხვევენ. მაგალითად, ერთ მღვდელზე ამბობენ, რომ ერთხელ წირვის დროს გაიგონა ჩურჩული, რომ ოსმალოს გემი მოსულაო (რასაც დიდი სიამოვნებით ელოდებიან მეგრელები). მღვდელმა მოჰკრა ყური თუ არა ამ ამბავს, მაშინვე მიუბრუნდება იქ მყოფთ და ჰყითხა, თუ მართალია ეს ამბავიო. როცა პასუხი მიიღო, ნამდვილიაო,—მთელ წირვის განმავლობაში იქ მყოფი ხალხისაგან ყოველსაცე გარემოებას ტყობილობდა: იტყოდა ზეპირად (რადგან უცოდინარობის გამო კითხვა არ შეეძლო) წირვის რამდენსამე ადგილს და მიუბრუნდებოდა ხალხს და ჰყითხავდა, როგორ ფასობს გემზე ქსოვილიო. მიიღებდა თუ არა პასუხს, წირვას განაგრძობდა. მერე გაახსენდებოდა ცვილის ფასი და იკითხავდა. როცა პასუხს მიიღებდა, კიდევ განაგრძობდა წირვას. შემდეგ კიდევ: მოაგონდებოდა რამე კითხვა გემის შესახებ და კიდევ იკითხავდა. თითქმის ამ კითხვა-პასუხში გაატარა დრო წირვის დასრულებამდი.

შეტად საძაგელი სანახავია, როცა წირვის დროს მღვდლები სჭამენ იმ პურსა და სვამენ იმ ღვინოს, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ,—თითქოს ღუქანში იყვნენ და არა ეკკლესიაში. ამ მღვდლებს უველას გრძელი წვერ-ულვაში აქვთ. როცა ბარძიშით ღვინოს დალევენ, მაჯი გრძელი ულვაშებიც კარგად დასევლდება და მერე ხელით შეიმშრალებენ. პურს რომ სჭამენ, დიდ-დიდ ლუკმებს ჰყლაპავენ და თავს არ შეიწუხებენ, რომ პურის ნატეხები აკრიფონ. მერე, დაასრულებენ თუ არა წირვას, მიდიან საღილის საჭმელად და გზაზე იცინიან და ხუმრობენ სხვებთან ერთად.

ამიტომაც საფუძვლიანად უნდა ჩაითვალოს ჩემი საყვე-  
დური, რომელიც მე ხშირად განმიცხადებია მათვეის, სახელ-  
დობრ ისა, რომ მათ ნათლობა დავიწყებიათ. რადგან ნათლობა  
კარიუჭ ყველა სხვა საიდუმლოებისა და ოუ ნათლობა დავიწ-  
ყებიათ, ყველა დანარჩენი საიდუმლოებაც დავიწყებული უნდა  
ჰქონდეთ. თვით მღვდლება არ არიან კანონიერად ნაკურთხი  
და არც მღვდელთ-მოქმედება ეკუთვნის მათ. ამისთანა მღვდლე-  
ბის ხელში რა პატივი უნდა ჰქონდეს წმინდა ნაწილებს.

წირვისათვეს ჩვეულებრივი სასყიდელი არის კარგი სადა-  
ლი, რომელსაც დაუმატებენ ხოლმე ერთ ტიკვიორა ღვინოს  
და ერთ კალათ ღომს. ხოლო მღვდლებს გამოსარჩენი წირა-  
ვისაგან კი არა, სხვა რამეებისაგან უფრო აქვთ. ამ სახსართა  
შორის პირველი ადგილი უჭირავს მსხვერპლის შეწირვას იმ  
სახით, როგორც ებრაელებმა იცოდნენ. მღვდლებს ხალხი და-  
უჯერებია, რომ ყოველმა კაცმა თავის სიმრთელის დასაცვე-  
ლად ხშირად უნდა შესწიროს ღმერთს მსხვერპლი, რომლის  
გამო მას ბევრი დაეხარჯება და მღვდელიც ცოტაოდენს გა-  
მორჩება. ამიტომაც არ არის სამეგრელოში ისეთი ღარიბი  
ოჯახი, სადაც მღვდელი ხშირად არ დადიოდეს მსხვერპლის  
შესაწირავად. მსხვერპლად ჩვეულებრივ სწირავენ ხარებს, ძრო-  
ხებს, ხბოებს, ცხვრებს, ბატქნებს და ციკნებს. მსხვერპლის შე-  
წირვა ასე მოხდება ხოლმე: დილა აღრიანად მოიყვანენ შე-  
საწირავ პირუტყვს იმ კაცის წინაშე, რომლისაგანაც დანი-  
შნულია შესაწირავი. იმ პირუტყვის თავზე პაპა იტყვის რამ-  
დენსამე ლოცვას, რომელშიაც მოხსენებულია მრავალი მსხვერ-  
პლის შეწირვა ძველის აღთქმის ისტორიიდან: აბელისა, აბრა-  
მისა, სოლომონისა და სხვებისა. შემდეგ ამისა პაპა იმ სანთე-  
ლით, რომელიც ანთებული უჭირავს ხელში, პირუტყვს შეუ-  
